ცესანი უშუალოდაა გადაქობილი ხელფასისა და საცხოვრებელი ბინის პრობლემა. იმს გამო, რომ ქ. სოსუმში ძალიან მწვავედაა ბინის პრობლემა, ამ თეატრის ქართული დასი ძალიან მძიმე დღე-ღამეა ჩაჯარდნილი. აქ ენერჯიული ზომების მიღებაა საჭირო, თუ საუკველთაო უკრადღების საგანი არ არის თეატრი, მაშინ იგი ძალიან მალე ქრება და თავს დანიშნულებას ჰკარგავს.

რუსთაველის თეატრის გახტარობები მოსკოვში საქმრისად გაშუქდა ჩვენი პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით ეს იყო კუმშარბრად ისტორიული მოვლენა ქართული თეატრალური ცხოვრების ისტორიაში, მოვლენა, რომელიც ახლაც ისახება საკავშირო პრესის ფურცლებზე. ამიტომ, ამ თვალსაზრისით აღარ შეეცებები ამ ფაქტს, შეეცებები ამ წარმატების პოლიტიკურ ასპექტს. არ არის დასაძალა, რომ მრავალი ობიექტული და ჩვენი რესპუბლიკის არაკეთილმოსურნე აგრესიების ხმას, საქართველოში სუსხი მშვიდვარებს, თავისუფალი შემოქმედებისთვის ასპარეზი აღარ არსებობს და ხელოვნებაში უყოველგვარი ძიება ძირითედაა ჩაუღლები. და აი, ჩავდა რუსთაველის თეატრი მოსკოვში და მტერ-მოუკავრმ თვალნათლივ დაიხანხანა, რომ აფგარი საქტეატრები, სადაც ფრანგის გაბელუბო ძიება, იმამხი ექსპერიმენტი და მართალი სიტყვა ერთმანეთს ერწყმის, სწორედ საქართველოშია შექმნილი. შემოხვევით არ განაცხადა საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრმა ახ. პ. დემირევა შემდეგ: დასავლეთის პრესა ჩვენ გვაცივიენებს, რომ საბჭოთა ხელოვნება ნეოლიტრებასა და სტერეოტიპს ემორჩილება, რომ საბჭოეთში გზა ელიობება ძიება. ეს სპექტაკლი (საშე ეტება „კავკასიური ცარტის წრეს“) ყველამ უნდა ნახოს, რათა ირწუნონ ჩვენი ხელოვნების მრავალფეროვნება.

რაკი გახტარობები ვახსენე, არ შემოძლია არ აღვნიშნო მეტების ასღღარადული ექსპერიმენტული თეატრის წარმატება პოლიონეთის ფესტივალზე. ამ თეატრის მმართველი კრიტიკის მარტბისი დაბედა ფრამალური ძიებების გამო, რომლებიც, ამავე დროს, გარკვეული პრეტენზიულობით და ამპიტიონ სასიამოდებოდენ თეატრის ხელმძღვანელი, პირველ რიგში ს. მრეკლიფილი, და მთელი დასი, როგორც ჩანს, სერიოზულად მოეცია და კრიტიკას და დასტუბიციტ ექედან გაკეთა. მათი ორი უაინასწელი სპექტაკლი — „კარასის „აღმოსწიბი“ და კლიაშვილის „უბედურება“ ამის ნათელი დადასტურებაა. თეატრი, როგორც ჩანს, თავისი სახის მიგნების გზაზე დგას და ამ მიმართულებით მისი ექსპერიმენტები შეიძლება უფრო შედეგიანი და ორიგინალური აღმოჩნდეს, ვიდრე დღეს ვეჭვობთ ამას.

ჩემს გამოსვლაში მსურს შევხუო მუსიკალურ თეატრებს. ამას სია. მოგებით ვაკაკეთებ, მით შეტბებს, რომ გარკვეული ძვრები ამ მხრივ ფრანგ თვალსაჩინოა.

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი ერთადერთია საქართველოში, რომელიც უაღრესად დემოკრატიულ და ხალხისათვის საუკრადღე ენარს — მსუბუქ, სხალისის, სატირისა და იუმორის შემოქმედებით.

ცველ ენარს ემსახურება დღია მისი ღვაწლი ამ მუსიკალური ფორმის განვითარების საქმეში. მრავალმა ქართველმა კომპოზიტორმა და დრამატურგმა შექმნა აქ საუკრადღებო ნაწარმოები და მის საფუძველზე თავისებური ტრადიცია. რით მიიქცევა უკრადღების ეს თეატრი? უპირატესად თავისი ერთგუნდობით — როგორც მუსიკის სასიამოთ, ასევე დრამატურგიული საშვარიით, ძალდატანებითი იუმორით, ცვევის, სიტყვის, ვოკალის, მუსიკის სინთეზით და, რაც მთავარია, ნიჭურ შემსრუბლებლ მსახიობთა მთელი თაობით. ეს თეატრი პოპულარული გახდა არა მარტო თბილისში, არამევე მთელს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარტოვ. მას წლების მანძილზე — როგორც ამბობენ ხოლმე, „თავისი“ მაყურებელი ჰყავდა. იგი ვველგან სასურველი სტუმარი იყო. მაგრამ წარინება და პოპულარობა ორღესულ მახვილითაა: ხშირად ჰყვეოს იმას, რამაც შექმნა იგი. ასე დაფართოა ამ თეატრისაკ — აქ მომძღვარდა შტამები — ყველა სფეროში: — დრამატურგიაში, მსახიობთა და სარტეოლორი ხელოვნებაში, საშუაი მასშტაბი მიიღო ხელოვნების ყველაფერი დღმა მეტრება — უგემოვნობა და პრივივიალიზმმა. თეატრი „თავისი მაყურებლის“ (რომელიც, საშუარაოდ, დღი გემოვნებით და განათლებით არასოდეს ბრუნყავდა) ტყვე ვადა, წვადა მასთან კომპრომისზე, გახდა შემგუბებული, შეიქმნა საშიშროება, რომ ქართველი ინტელიგენცია ზურგს შეაკცედა ამ თეატრს. აქ საჭირო იყო თამაში და უკომპრომისო ბრძოლა. ამ მხრივ, გამოცდილი და ენერგიული აკაკი შანიძე მწნდ იბრძოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭირო იყო თანამოარტე შემოქმედთა ჭგვეთის არსებობა ამ რუტინის დასაწრებლად. ერთგვარი გამოცდისლება, ძტრა განახლებიხავენ იკრინდობდა. თაამშის მიერ დაღმტო ს. გაბუნის „უკრავარეში“, ხოლო ნამღვილი, შესამწვევი პროცესი თეატრის შემოქმედებითი არსენალის რეფორმისათვის დაწყო თეატრში რევისრო გუარამ მღვიმის მოსვლა. ამ უაღრესად ენერჯიული, საქმისათვის თავდადებული, თეატრზე ფანტატიურად შეუყვარებული პროფესიონალის მოღვაწეობით. მისი თანამღგომნი არიან ასევე ნიჭიერი ახალგაზრდები — დირიჟორი ავთანდილ მანაცაშვილი და კორნეისებერი იური დღიანი, მხატვარი უნაიკე იმერლივილი. აქ არ შემოძლია არ მოვიხსენიო ასევე ენერჯიული და საქმის მიღწედ დირექტორი, პროფესორი თეატრტიკოდენ ანზორ ტრაპაიძე. უპირველესად რასაც მათ მაღღწეს და რაც უმაღვე იგმწინობდა, ეს იყო თეატრში შექმნილი შემოქმედებითი ატმოსფერო. განიშლა ინტენსიური მუშაობა სერიოზული რეპერტუარის შესაქმნელად. მსახიობ-ვოკალისტთა, კორღებალეტისა და მოცეკვავეების, ვენდლის, ორკესტრის პროფესიულ ჩარჩოში მოსაკცედა. სცენიდან თანდათან გაქრა უხანსობა, რევისროული ტრაფარეტი, მსახიობთა ფრიგოლური, რომ არ ვთვა მამბოტური ამპოკიდებულება მაყურებელთა დარბაზთან. მსოფლიო მითუხარის ერთ-ერთი შედეგის მიგნებლ და „ლამანაზე-ლი“ უაღრესად სერიოზულად განაცხადდა გახლდათ, აშკარად დღვინხეთ შრომის ნაყოფი — ორკესტრი ნორმალურად ღღერდა, მსახიობ-

ბები ბუნებრივად მოძრაობდნენ და მღეროდნენ — თუმც ანსლუ-ტურად განთავსდებოდნენ შტამპისსაგან კიდევ დაძაბულ შრომას მოითხოვს — ყველა აქსესორი მაღალ დონეზე იყო შესრულებულ-ში. შემდეგმა დადგენებმა — შ. მლორავას და ა. გვენასის „საემანს-ცაში“, შტარუსის კლასიკურმა ოპერებამ „ლმარისი“ (სხვათა შო-რის, ამ ენარის ეს მარკალიტი პირველად დაიდა ამ თეატრში), ს. ცინცაის „შევიტი, შევიტი, შევიტი“ — დადასტურა, რომ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი შეიკავშირებულა, ერთსულაგანა ამ განაზღვრისათვის ბრძოლაში.

ეს თეატრი ახლა ისეთ სტადიაშია, რომ მოითხოვს მეტ ყურად-ღებას, მხარდაჭერას და წახალისებას ჩვენი საზოგადოებისაგან. მით უნეტეს, რომ 1976 წლის დასასრულს იგი თავის 50 წლის იუბილეს იხიბებს.


ჩვენი კულუარებში, ზოგჯერ თავსართობებშიც, გამოიქვეყნა სპექტაკული ზარი ქუთაისში საოპერო თეატრის განხის თაობაზე. მართლაც, წარმოუდგენელ სიძნელებებს გაუძლია ამ თეატრმა და

ზოტენციური შესაძლებლობანი გვიჩვენა. ყურადღება ის ფაქტ-რომ თეატრი საყოთარი რეპერტუარის შექმნაზე მუშაობს, ხოლო კლასიკური ოპერების დადგენით მას სურს ამ რეპერტუარის გან-ჩოების გაფართოება. თეატრში აშკარად იგრძნობა შემოქმედები-თი აღმაშობა, თუმცა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავ ვერ არის სასურველ დონეზე: არ არის საჭიროადიო კლასები და სარეჟისიო დარბაზები, დეკორატივებზეა სპირდება ორკესტრის — რეჟორულ მუსიკოსებში, ასევე ინსტრუმენტებში, გუნდს, საბალეტო დასს.

ქუთაისის საქალაქო კომიტეტი, აღმასკომი და კულტურის სამი-ნისტრო კონკრეტულად უნდა შეეშველონ აღმაშობის გზაზე დაშ-დვარ თეატრს.

* * *

ხარაჩობეი ჩამოსწეს თბილისის საოპერო თეატრის ფსანდს, ის-ტორიულად ჩამოყალიბებული იერი დადებუნდა რუსთაველის პრის-პექტს. არ არის დღეს საქარვედლოში აღმანი, ვინც ღრმა დაინტ-



მისმა დასმა შესაფერი ბაზის უქონლობა, ორკესტრისა და გუნდის არასრული შემადგენლობა, მძიმე პირობებში აუცნებდა თეატრს. მაგრამ შეუპოვრობამ და დინტერესებულ ორგანიზაციოთა დახმა-რებამ თავისი გაიტანა — დასი თანდათან გამართა წელში, მან გაამრავლფეროვნა რეპერტუარი, დაოსტატდა წამყვან სოლისტოა-ჭველი. ამ პირობებში უპირველესი აღნიშვნის ღირსია თბილისის საოპერო თეატრის უოფილი სოლისტი და სარეჟისორო სამშროვე-ლის გამეფ გვიტ ტორიწაძე. მისი ენერგიული შეცადინებით და ზელშეუქონით ბვერი რამ გაკეთდა თეატრში, საშუაში ასევე დიდი წალოლი მიუძღვის შოავარ დირიჟორს, კვალიფიკაციურ მუსიკოსს რვეჯ ხურციღავას. ამ თეატრის უშოავრეს ღირსებად მიმართა რეპერტუარის მრავალფეროვნება, სადაც უპირატესი ადგილი ერთ-ველ ოპერას უქირავს. განვლილ სეზონში მოხდა ფრად სასხი-რული მოღვენა — ქუთაისის საოპერო თეატრის საბალეტო დასმა წარმოადგინა შტარუსის ბალეტი „ცისფერი ღუნაი“ და ასაფიციის „პახისხარის შადრევანი“, რომლებიც მსურველებმა მსურველად მიიღო. ჩვენ უნდა დავგზარდოთ თეატრის საბალეტო ჭვედუბის გაძლიერებაში, რათა მის ქორეოგრაფიულ რეპერტუარში ქართუ-ლი ნაწარმოებებიც გამოჩნდეს.

მუსიკათმოდუნებისა და საოპერო თეატრის სპეკიალისტების ერ-სუსულაგანი აღიარებითი, რეჟისორ და ნეოლაბის მიერ დადგმული ბუჩინის „ტოსკა“ ერთ-ერთი საუეთესი ნაწარმოებია, როგორც რეჟისორულად, ასევე ვოკალურად. ამ დადგმაში თეატრის ახალი,

რესების არ იჩენდეს როგორც საოპერო თეატრის აღდგენითი შე-შაობის, ასევე ამ თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების მიმართ. ეს დაინტერესება სახეებით ბუნებრივია. საოპერო თეატრის შენობის აღწვა მძიმე, ენით აუნერგილი დანაშაული იყო, რომელმაც არა მარტო დიდი ზარალი და ტრავმა მოგვყენა, არამედ შეადგინა თვით საოპერო ზელფუნების განვიითარება საქარვედლოში, რადგან, პირ-ველ რიგში, თეატრს უნდა ეზრუნა განადგურებულ, ტრადიციული რეპერტუარის აღსადგენად, ხოლო შემდეგ ახალი დადგმების გან-ხორციელებისათვის. თეატრალური საზოგადოების პლენუმებზე, სა-ქარვედლოს კულტურის სამინისტროს კოლეგიებზე და სპეკიალურ სანდომებზე მრავალჯერის იქნა განხილული საოპერო თეატრის მდგო-მაროების საკითხი, მრავალი კრტიკული შენიშვნა, კონკრეტული შე-თითება მიეცა თეატრის აღმინისტრაციულ და სამხატვრო ზელმძ-ვანელობას. ძირითადი საყვედური მდგომარეობა შემდეგში: თეატ-რის, მიუხედავად შოავრობის მიერ შექმნილი ზელსაერული პირო-ბებისა და დახმარებისა, ვერ მუშაობს ინტენსიურად, დასი დუტ-ლირათვია, რეპერტუარი ნელა, მიუთვეებლად ნელა იზრდება ახალი ნაწარმოებებით, არ მაღლებდა თეატრის შემოქმედებითი კოლექტი-ვის — სოლისტების, ორკესტრის, გუნდის ოსტატობა. მდგომარეო-ბა სწორდებდა, მაგრამ ეს პროცესი არ იყო საჭიროტებით წარ-მართული. მასში ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ სწენო საკი-თხის განხილვა ბიურორზე, რასაც საქმის ხანგრძლივი და გულდასმით შესწავლა უფლოდა წინ. მრავალი კონკრეტული ამოცანა დაა

სეა თეატრის წინაშე, საგრძნობი დახმარება აღმოუჩინა თეატრს ყველამ, ვინცდაც იყო ეს დამოკიდებული. ახლა, უწყვეტაა, თეატრში იგრძნობა ერთგვარი ძვრები, შემოქმედებით შრომაში ჩაება მთელი კოლექტივი. რ. ლალიძის ოპერის „ლელას“ წარმატებამ დიდი სტიმული მისცა თეატრს. მისი რეპერტუარი გამდიდრდა მსოფლიო საოპერო ხელოვნების შედეგებით—მოცარტის „ჩადონსერი ფლე-სტიო“ და ვენერის „მფრინავი პოლანდიელი“, რომლებსაც გუნდისა და ორკესტრის მზარდი ოსტატობა გვიჩვენა. განახლებულმა „აიდას“ კი, ამ ოპერებთან ერთად, ჩვენი მომდერლების ფრიალ დიდი შესაძლებლობანი ცხადჰყვეს, კრიტიკული შენიშვნები დღესაც საქმარისი სიმწვავით გაისმის ბოლშე ამ თეატრის მიმართ. ზოგჯერ ეს კრიტიკა სუბიექტურია, რაც ალექსე თეატრს, მაგრამ იგი არ უნდა განაწინიებდეს. შეიძლება ვინმე ცდებოდეს, მაგრამ თეატრის აღ-მავლობა რომ გვეთქვას წაფიდა. ეს ექვს გარეშეა. თეატრი ახლაც ძალიან სერიოზული ამოცანების წინაშე დგას. უპირველესად მან დიდი ტაქტი და გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოს რეპერტუარის შე-დგენისას. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას არა მარტო მუ-

სული მუსიკის ფესტივალები უნდა იქნას ჩაენებები ა. წ. ოქტობრში. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ალექსიძის მუშაობები ქართველ კომპოზიტორებთან ახალ სახალტო ნაწარმოებებზე. მძიმად, ს. ცინცაძემ მისი ლიბრეტოს საფუძველზე უკვე დაამთავრა ბალეტი „სენაური ლედიდა“, რ. გაბიჭავაძე ამთავრებს ბალეტ „მე-დიკურ“ მუშაობას. დრო და ვითარება ისეთია, რომ არაინ გვაპა-ტიბეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებით შე-დევნებას. ეს უნდა გვესმოდეს ყველას და თავდაზურავად უნდა ვინუშაოთ არათუ ძველ პრესტიჟის ანაზღვანად, არამედ ახალი ზღუდეების დასაძლევად.

კიდევ მრავალი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი ქართულ საოპერო და დრამატულ თეატრებს, საერთოდ თეატრალურ ხელოვნებას. მაგ-რამ მარადილია მისი ამოცანა: ხალხის სულიერი აღზრდა, მისი განსეტკევა კომუნისტური იდეალებისადმი ღრმა ჩრმენის ჩანერ-გვა და სოციალისტური საზოგადოების აქტიურ მოქალაქედან ჩა-მრეყალიბება. ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში ჩვენ მარტონი არ ვართ, ჩვენი გვერდით არიან ჩვენი თანამოძინი ხელოვნებაში —

სცენა ჭიათურის თეატრის სექტაკალი-დან „არცა ქალაქი სინდისა“.

სცენა თელავის თეატრის სექტაკალიდან „აღმართ-დაღმართი“.



სიკალური შესაძლებლობანი შემოქმედებით კოლექტივისა, არამედ ჩვენი ერსაქული მუსიკალური ცხოვრების ყველა ასპექტი და ქართველი ხალხის ტრადიციული გამოქმედებითი მიდრეკილებანი, რასაკვირველია, მიუტყეებელია, რომ „დაისი“ ასე სავალალოდ გამოიყურება, რომ დღემდე ვერ მოხერხდა „ახესლომ და დიერის“ ღირსეულად დღგვა, რომ რუსული კლასიკური ოპერა თავისი საუ-კეთესო ნიმუშებით ააა წარმოიხატა... მრავალგზის ვთქვივამ და ახლაც უნდა ვავიშოროთ — თეატრი ახალ შერობაში გაიხლუ-ბული რეპერტუარით უნდა შეადგას. ახლა მიმდინარეობს ინტენ-სიური მუშაობა „იკის ქალზე“, მზადდება „ახესლომ და დიერი“, სტეკალური კომისია მუშაობს პერსექტუარ რეპერტუარზე. ცენ-ტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, გადადგა კონ-კრეტული ნაბიჯი საოპერო ხელოვნების გამოჩინული მოღვაწეთა მოსაწყევად, კერძოდ, მუსორგისკის „ბორის გოდუნოვი“ საშუალოდ. თეატრის ყველაზე სუსტი ადგილია ეროვნული ოპერების ნა-ვლებობა რეპერტუარში. ყოვლად მიუტყეებელია, რომ ტრე და მოქ-მე ერების არცერთი თანამდროვე ოპერა არ არის გრძელვადიან და-სადგმულად გამოწული. როგორც ვხედავთ, ამოცანების ძალზე რთუ-ლი და მრავალი. ამ ხმერობი შედის სახალტო დასის რეპერტუ-არზე, შესანიშნავი სახალტო მინიჭებულების შემდეგ ვითრე ალექსი-ძემ ძალზე საინტერესო სექტაკალი შექმნა — დედების „კოლალი“ — ტუმარატი გრაციოზა და პოეტრობითი ანუბედილი, ახლა იგი მუშაობს „შრელკუნსჩეუ“, რომელიც „იკის ქალთან“ ერთად რუ

მატარები, მწერლები, კომპოზიტორები, კინემატოგრაფისტები. გონების თვითი მოვიზილოთ ეს პანორამა — რამდენი საინტერე-სო გამოფენა გამოართა ამ წლებში, რა საინტერესო სურათები გა-მოვიდა ჩვენს ეკრანებზე, როგორ გაიზარდა პრესტიჟი ქართული მუსიკისა, რომელზეც ახლა ევროპის ცენტრებსაც მისწვდა. დიან, ქარ-ული კულტურისა და ხელოვნების მუშაები ხელისშეზაღებულ-ები მუშაობენ ერის სულიერი პოტენციალის ასაძლევად. სა-სიანაულო და აღმავრთვანებელია, რომ არა მხოლოდ ზედადენ ამ ერისულოვნებას და მის შედეგებს, არამედ ჩვენი დიდი საშობი-ლოს დიდი პოლიტიკური მოღვაწეები მას ღირსეულად აფასებენ კიდევ. კიდევ ერთხელ გადავიცხოთ ღირსშესანიშნავი დოკუმენ-ტი. რომელიც შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტმა. აი, სიტყვები, რომლებიც მრავალშრივან საგულისხმო ჩვენთვის: „საქართველოს სსრ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები თავიათი ღირსეუ-ლი წველილი შეაკეთ შინაარსით სოციალისტური, სულსისცემითი ინტერვალიანალური და ფორმით ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების შედგომ განვითარებაში. ბოლო წლებს მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ნიჭიერი ნაწარმოებები, რომლებიც პარ-ტიული მოსუიციბებიდან დასაძ არის განაწლებული თანამდროვეო-ბის საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც უმდინარე შრომითი წარბატების პერიოდს და პარტის, შრომითი აღმავანების აქ-ტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასა და მაღალ წინეობრივ თვისებებს“



ახალი ამოცანები

გენო კალანია

საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების აფხაზების განყოფილების თავმჯდომარე

სბპ(მ)ს კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ჩვენს ხალხს მიზნად დაუსახა ახალი ამოცანები, ახალი პერსპექტივები.

ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდიანამ ლეონიდ ილიას მე ბრძენებმა თავის საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებით აღნიშნა შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში და მადლობით მოიხსენია ხელოვნების ოსტატთა თავდადება და უნაგარო მოღვაწეობა.

სწორედ ამ ისტორიული ფორუმის შემდეგ რუსთაველის თეატრმა მოსკოველ მაყურებელს უჩვენა თავისი მდიდარი ხელოვნება. თვითუფილი ჩვენთაგანი მღელვარებით კითხულობდა საკავშირო პრესის ფურცლებზე მოსკოველი მეგობრების წერილებს ქართულ თეატრალურ ხელოვნებაზე. სიამაყის გრძობით ვადევნებდით თვალს სატელევიზიო გადაცემებს ჩვენს საყვარელ თეატრზე.

ჩვენ, ვისაც არ გვიჩახავს კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო აბთეგელის შემოქმედება, გუმანთა და წაიკთხულით აღვადგინეთ ოცდაათიან წლებს და მერე ისევ ვუბრუნდებით დღევანდელ თეატრალურ ცხოვრებას და გვიხარია, რომ ქართული თეატრის მაყიყმე არ განულებულა, პირიქით, უფრო ძალმომად ფეოტავს. და თუ თეატრი სულის მშვენიერი დღესასწაულია, მაშინ რუსთაველის თეატრის გასტროლები ქართული ნიჭისა და სულის უმშვენიერესი დღესასწაული იყო.

ადამიანის სულის გამოღვიძებას, ადამიანში ნათელის გამოსხივებას ამ უკანასკნელ წლებში არა ერთი და ორი ღონისძიება მიეძღვნა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განუზრგელი ზრუნვა ქართველ ხელოვანს ოპტიმისტურად განაწყოებს. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ქართული თეატრი ისე არასოდეს არ ყოფილა დანიტრესკებული თანამედროვე ადამიანის ფსიქიკით, როგორც დღეს. გადახედეთ საქართველოს თეატრალურ რუკას და ყველა პარალელზე ნახავთ სამოცდაათიანი წლების ადამიანებს... მუშებს, გლეხებს, ინჟინრებს, ექიმებს თუ პარტიულ მოღვაწეებს.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ხელოვნებაში ძალზე რთულია შენი თანამედროვის მხატვრული პორტრეტის შექმნა. გამონაკლისი არც დღევანდელი დღეა. თანამედროვეთა დირსეულად დახატვა მოითხოვს თერთად გათენებულ დამეებს, გაუნელებელ წვასა და დაცხრომელ ძიებას, და მანაც ქართველ ხელოვანთა სახახელოდ უნდა ითქვას, რომ შემოქმედებითი წარმატებანი თვალსაჩინოა, გასაკეთებელი კი — უფრო მეტია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეშვიდე ყრილობიდან დღემდე საკმაო დრო გავიდა. ამ დროის მანძილზე აფხაზეთის თეატრალურ ცხოვრებაში გვექონდა გარკვეული წარმატებანი და შემოქმედებითი წარმატებლობაც. როგორც აფხაზურ, ისე ქართულ სცენაზე დაიდგა თანამედროვე ცხოვრების ამსახველი მრავალი ნაწარმოები. დაიდგა კლასიკა... სახლგარეეთული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები.

საინტერესო კინოფილმებითა და სატელევიზიო დადგმებით განვივიგრებული მაყურებელი, ცხადია, უფრო მომთხოვნეც გახდა. იგი ხანდახან ეჭვის თვლითაც უყურებს თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას, მაგრამ უფრო გულდასაწყვეტია ის გახლავთ, რომ ადამიანი, რომელსაც მთელი სეზონის განმავლობაში არ უნახავს თეატრის არცერთი სპექტაკლი, ჯიუტად გაიძახის: საინტერესო რა დიდგით, რომ მივიდეთ და ვნახოთ! მაგრამ, კიდევ კარგი, რომ ამგვარი ობიგატელების გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც ტკივათ თეატრის სატკივარი და ჭეშმარიტად უხარიათ თეატრის გამარჯვება.

ქართველი და აფხაზი ხალხების ათასწლეული ძმობის, ურთიერთ ერთგულების დასტურად ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ერთ ჭერქვეშ ორი კოლექტივი — აფხაზური და ქართული თეატრი საინტერესო შემოქმედებით მუშაობს ეწვეა. ორივე თეატრი ერთმანეთის მხარდამხარ მომბლიერ კულტურის განვითარების კეთილშობილურ და საპატიო საქმეს ემსახურება.

აფხაზეთი საქართველოს ჭიშკარია. აფხაზმა კაცმა, ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსისა არ იყოს, თავის „ოდა-სახლს

ქართლისკენ უქნა ფანჯარა¹⁴. ამდენად, ჩვენი სულიერი მოთხოვნილება აფხაზეთში გვემოდეს კარგი თეატრი. კარგად მოგვსენებიათ, რომ აქ, შტვისპირეთში, ბევრი სტუმარი ჩამოდის. და ძალიან ხშირია ის სტუმარი ამ ორი თეატრის ხელწერიტ მსვლელობს საქართველოს თეატრალურ კულტურაზე. და თუ ეს ასეა, ამის გამოც მეტი გულისყური გვმართებს ამ კოლექტივების მიმართ.

მაღალფარდოვანებაში არ ჩამოშრთმევა, ალბათ, თუ ვიტყვი, რომ დღეს ბედნიერია აფხაზი კაცი, ბედნიერია იმიტომ, რომ მოშობლიური თეატრის სცენიდან შშობლიურ ენაზე ისმენს შექაპირს, ოსტროვსკის, შილერს, იხსენს, ტენის ულიამს თუ კაკაბაძეს. ეს კონსტიტუციური უფლება მას ოქტომბრის რევოლუციამ მოტანა.

აქ, აფხაზეთის ულამაზეს სანახებში, ოდითგანვე ისმოდა აფხაზური ერგავება და ქართული ოლია. ეს ორი, ძველისძველი, ომხარია სიმღერა საუკუნეების მანძილზე უსურვაზეთი გადაცუნა ერთმანეთს. იყო დრო, ამ ხმას უცხო თესლის ხმაც გაერთოდა, მაგრამ ვერც ერგავება და ვერც ოლია ვერ ჩაკლა იმ უცხო თესლმა...

და მე, ქართველ კაცს, მისხარია ჩემი აფხაზი ძმის სულიერი კულტურის მონაპოვრის ხილვა, მისხარია პატარა აფხაზი ბიჭი შშობლიურ ენაზე რომ კითხულობს ქართულ მწერალთა წიგნებს. ასევე გულწრფელად მისხარია აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულის ძეგლის საპირკვლის ჩაყრა საქართველოს დედაქალაქში. და მწამს, რომ ამგვარმა ძმობამ დაგვაკავშირა ერთმანეთს სამყაროდ...

და თუ დღეს მკაფიო აფხაზეთის სიტყვა ისმის მოსოკვის, კიევის, დნეპროპეტროვსკის თუ სხვა ქალაქების სცენებზე, ეს ჩვენი ინტერნაციონალური პოლიტიკის განაგრძეების შედეგია, და თუ დღეს ამ მცირერიცხოვან ერს შესანიშნავი თეატრალური მოღვაწეები ჰყავთ, ამაში დიდი წვლილი ქართული თეატრის მოღვაწეებსაც მიუძღვით.

სოხუმს კარგად ახსოვს ერთი უჩვეულო სპექტაკლი. სიტყვას მოჰყვა, თორემ უჩვეულო არაფერი იყო. წარმოდგენა მიდიოდა ქართულ-აფხაზურ ენებზე. სცენაზე იდგა დიდი აკაკი ხორავა, მისი პარტიზონები იყვნენ აფხაზი მსახიობები.

და კიდევ, აფხაზეთის საზოგადოებრიობის ძალიან კარგად ახსოვს ერთი საიუბილეო საღამო. სცენაზე იმდენი სიტომბო და სინათლე იყო, რომ მომეჩვენა, მთელი თეატრი სიხარულის ცრემლიტ ტირის-მეთქი. ყოფილ სტუდენტებში ბერძნუხასებით ჩამდგარი აკაკი ხორავა კი მართლაც ტროლიდა. და ეს საიუბილეო საღამო უფრო აღმზრდელის შეხებდარს ჰგავდა აღმზრდელობას.

ჩვენმა დიდმა ხელოვანმა აკაკი ვასაძემ „რიწუს“ კორეისპონდენტთან მიცემულ ინტერვიუში კიდევ ერთხელ შეგვახსენა, სამართლიანად განაცხადა: აფხაზ მსახიობთა პირველი თამაზ რუსთაველის თეატრის სტუდიაში აღიზარდა.

დღეს აფხაზეთი ამაყობს აფხაზური თეატრის გამორჩენილი მოღვაწეებს: მინადორა ზუზბას, ანა არგუნი-კონოპოვის, ლევანსან კასლანძის, შარას ფაჩალიას, აზიზ და როზემბეი აგრბების, მიხეილ კოვეს და სხვათა სახელებით. დღეისათვის

აფხაზურ თეატრს ჰყავს დახვეწილი გემოვნების, თანამედროვე კულტურის რეჟისორები. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში აფხაზური თეატრისათვის საეტაპო სპექტაკლები განახორციელა ნელი ეშმა: კარგად დაწყებულ საქმეს კარგად აგრძელებენ ნიჭიერი ამხალგაზრდა აფხაზი რეჟისორი დიმიტრი კორტავა და მიხეილ მარკოლია.

აფხაზური თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს ფასდაუდებელი ამაგი დასდო შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალურმა ინსტიტუტმა. მის კედლებში აფხაზი მსახიობების რამდენიმე თამაზ აღიზარდა. გასულ სეზონში ამ ინსტიტუტის აღმზრდელობით შეიქმნა აფხაზური თეატრის კოლექტივი. აფხაზური თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებასათვის თეატრალური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ ეთერ გუგუნივს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო სამჭოთა კავშირის სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიძეს აფხაზეთის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

აფხაზეთში ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დავალი მიუძღვის საქართველოს სახალხო არტისტს ლეიფო ტელიძეს. ის წლებს მისხალხოებაში სათავეში ედგა ამ თეატრს და სოხუმის თეატრიც ერთერთ მოწინავე თეატრად ითვლებოდა რესპუბლიკაში. აქ მოღვაწეობდნენ ქართული თეატრალური ხელოვნების ცნობილი ოსტატები... ვასილ კუმიშაშვილი და გიორგი ვერული, სალომე ყანჩელი და ბუზუტი ზაქარიძე, ოთარ კობერიძე და ზურაბ ლავარძე, ლევან მირცხულავა და ანზორ ქუთათელი. ვიტყვი ნიშნად და ბორის წიფურია, ლერი პაქსაშვილი და ლეო ფილფანი, ვენერა ნუგარაძე და სანდრო მრეულიშვილი, შოთა გაბელია და გურამ ხერციკოვა და სხვ.

ლევან ტელიძე, მიხეილ ჩუბინიძის, ნიკოლოზ მიქაშვილისა და ყიფიანის თათბის შემოქმედია — თინათინ ბოჭვაძის, ნორა ყიფიანის, ბორის თოფურიას, ფლორა შედანიას ხელოვნებისადმი გაუნებლებელმა სიყვარულმა დიდი სამსახური გაუწია აფხაზეთში ქართულ თეატრს, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, სხვა ვითარებაა. ქართულმა თეატრმა თითქოს დაკარგა ძველი ძალა და ხიბლი...

მართალია, ამ ხნის მანძილზე თეატრში მოვიდა ახალგაზრდობა, მაგრამ ძალიან ცოტა გვაყავს მკაფიო, საკუთარი ხელწერის შემოქმედი.

იდგებმა სპექტაკლები, თითქოს სათანადო დონეც არის, პრემიერაზე მოდის მკურებელი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გარჩება, რომ მოდის უფრო მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად. როგორც მოგვსენებიათ, თეატრი სულის მშვენიერი დღესასწაულია და თუ ეს დღესასწაული ნიჭით, გონებით, ფანტაზიით არ განაღობა, მარცხი გარდუვლია. ქართული თეატრი დროდადრო ცდილობდა ამ მდინიერი დღესასწაულის შექმნას.

სოხუმელთა სპექტაკლებში ვიხილეთ გიორგი გვეჭკორი, კოტე მახარაძე, გივი ბერიკაშვილი, აფხაზური თეატრის სპექტაკლში გამორჩენილ გაგვასარა ჩვენი დროის შესანიშ-

ნაგმა აქტივობმა, უბერებელმა აკაკი ვასაძემ. ვფიქრობთ, ამგვარი შემოქმედებითი კონტაქტები უნდა გაგრძელდეს.

ქართული და აფხაზური თეატრის შემოქმედებითი თანამეგობრობის ერთ-ერთი მაგალითი მაგალითი იყო თეატრის მთავარი რეჟისორის დავით კობახიძის მიერ დადგმული ლეონიდ ზორინის პიესა „გარშავული მელოდია“, სადაც გელიას როლს ქართულად ასრულებდა ნიჭიერი აფხაზი მსახიობი სოფია აგუმაა, ხოლო ვიქტორს ქართველი მსახიობი სერგო პაჭკორია.

ვფიქრობთ, ეს კარგი მაგალითია და ამგვარი შემოქმედებითი ურთიერთობის ნათელ შუქზე უნდა გაიზარდოს ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა.

ორიოდე სიტყვით მინდა შეგვიჩვენო საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების საქმიანობაზე. განყოფილება აქტიურად მონაწილეობს თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ახალი სპექტაკლების განხილვა-გარჩევაში, ეხმარება სამხატვრო საბჭოს რეპერტუარის შერჩევაში, ხელს უწყობს საზოგადოებრივ აზრის შექმნას ამა თუ იმ სპექტაკლზე, მართავს შემოქმედებით და საიუბილეო საღამოებს, საზოგადოების წევრებს შესაძლებლობისამებრ აგზავნის შემოქმედებითი მივლინებით მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისსა და სხვა ქალაქებში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების განყოფილებაში ზედიზედ საიუბილეო საღამოები გაუმართა აფხაზური თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენლებს — საქართველოს სახალხო არტისტებს ანა არგუნ-კონოშოვს და შარახ ფაჩალიას. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. ჩვენი თეატრალური საქმიანობა ჯერჯერობით მოკრძალებულად გამოიყურება.

საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 11 დეკემბერს იმსჯულეს „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და მიიღეს დადგენილება, რომლის მეხუთე პუნქტში გარკვევით წერია:

„დაევალოს სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომ უახლოეს ხანში გამოუყოს საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილებას შესაფერის სამუშაო ადგილი“.

მიუხედავად ამისა, ჩვენითვის დღემდე ვერა და ვერ გამოინანა უბრალო სამუშაო ოთახივც კი. თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება კი უკვე ოთხი წელია არსებობს...



სცენა შაუმიანის თეატრის სპექტაკლიდან „სიამაჲო და ზეზარა“.



სცენა გრიგოლუკის თეატრის სპექტაკლიდან „დაივიწვეო ჰეროსტრატე“.



უპირველესი პირობა

ალექსანდრე ჩხაიძე

საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების აპარის განყოფილების თავმჯდომარე

საქართველოს თეატრალური საზოგადოების აპარის განყოფილების შექმნა თითქმის ზუსტად დაემთხვა ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ დიდ-მნიშვნელოვან ცვლილებებს და, ალბათ, სწორედ ამ გარემოებამ განასაზღვრა ჩვენი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები, რის პო-სიციებიდანაც ჩვენ ვიზილავდით ყოველ ახალ სპექტაკლს, ვზვდებოდით მასურებლებს, გამოვ-დიოდით რადიოთი თუ ტრიბუნაზე, ვკვდაცუ-ბდით ახალ იდეებს, რომელთა დასამკვიდრებ-ლად, ჩვენი ცხოვრების ბურჯების გასამაგრებ-ლად თავისი სიტყვა უნდა ეთქვა შემოქმედე-ბით ინტელიგენციას, უპირველეს ყოვლისა, თე-ატრს, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება სა-ზოგადოებრივი აზრის ტრიბუნა, სულის განსა-წმენდელი ტაძარი, სამრეკლო, საიდანაც ყოველ საღამოს გაისმის მართალი სიტყვა.

თეატრთან დაკავშირებულ ყველა სხვა ორ-განიზაციასთან ერთად, ჩვენი საზოგადოების ვალია ფიზიკურად და გულწრფელად იცავდეს ქა-რთული თეატრის ინტერესებს, მის ღირსებას არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის ყვე-ლა კუთხეში, ოცდახუთივე თეატრში, ვინაიდან ერთ არასწორად ნათქვამ სმას შეუძლია წააზ-ღინოს კარგი სიმღერა.

თუ კვლავ მუსიკის ენას მოვიმარჯვებთ და ხელოვნების მაღალი პოზიციებიდან გულახდი-ლად განვსჯით, საერთო თეატრალური ორკესტ-რის ელვრადობაში ხშირად გაისმის უსმენო კა-ცისათვისაც კი უსიამოვნო დისონანსები. მხედ-ველობაში მაქვს თეატრის ღონის ისეთი მასშტაბი, კართველი ხალხის უძველეს კულტუ-რას და დღევანდელ ხედვრით წონას რომ შეე-ფერება, თეატრალური ხელოვნების საერთო დო-ნე რესპუბლიკაში, თორემ დედაქალაქის თეა-ტრების წარმატებანი, რა შეფერვლებსაც არ უნდა მიაღწიონ მათ, მაინც არ კმარა თავის

მოსაწონებლად და არ გვადლებს თვითდამწვი-დების უფლებას.

აი, ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს თე-ატრალური საზოგადოების საქმიანობა ადგი-ლებზე, ეგრეთწოდებულ, პერიფერიის თეატრებში, რომელთაც საერთო ქართულ თეატრალურ პრობ-ლემებთან ერთად თავიანთი ადგილობრივი მნი-შვნელობის საზრუნავი და თავსატეხე გააჩნიათ, — საოცრად გაბერილი გვეგმება ეს, ახალგაზ-რდა მსახიობთა უბინაობა, შემოსავლის მინი-მალური წყაროა თუ ტექნიკურ მუშაკთა კვალი-ფიციური კადრების უკმარისობა და ა. შ.

აქ საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით ვი-ლაპარაკოთ ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუ-მის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების ავ-კარგზე, ფინანსური გვეგმების შესრულებაზე, მა-ყურებლებთან შეხვედრებზე, საშუაო მუშაობაზე, იმაზე, თუ თეატრის რამდენი მუშაკი გაეგზავნეთ შემოქმედებით მივლინებაში, რამდენს გაეუწი-ეთ მატერიალური დახმარება ან ვისი საიუბი-ლეო საღამო გაემართეთ, მაგრამ ერთი რამ თა-მამად შეიძლება ითქვას, რომ თეატრალური საზოგადოება მხარში უდგას თეატრს და მის ხელმძღვანელობასთან ერთად მსჯელობს საჭირ-ბორტო საკითხებზე, ყოველივე ამის თაობაზე საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს წარუვდგენთ ვრცელ ანგარიშს. დღეს კი, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ყურად-ღებას გავამახვილებთ ქართული თეატრის წი-ნაშე მდგარ პრობლემებზე, ვინაიდან მიიღ ჩვენს საქმიანობას მაშინ აქვს ფასი და ჩვენც შეიძლება კმაყოფილი მხოლოდ იმ შემთხვე-ვაში ვიყოთ, როცა მივადწევთ მთავარ მიზანს, შევექმნით მართლა კარგ სპექტაკლებს, რასაც, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ვაღწევთ, ხოლო



სცენა მარჩანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან „სოკრატე“.

თუ რატომ, სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი მსჯელობის მთავარი საგანი.

ერთი წლის წინათ, აი აქ, თეატრალური საზოგადოების პლენუმზე, რომელიც განხილული სეზონის შედეგებს იხილავდა, მომიხდა გამოსვლა ამ ტრიბუნაზე და, გამოთქევი დაეძგება, იმ თიხბოცამდე სპექტაკლიდან, რომლებიც სეზონის მანძილზე აღიდაგა რესპუბლიკის პერიფერიის თეატრებში, შეიძლება თუ არა დავასახელოთ თუნდაც ერთი სპექტაკლი, რომლის ჩვენა და რომლითაც თავის მოწონება შეგვეძლება თუნდაც თბილისში, თუნდაც ამ დარბაზში. რესპუბლიკის ფარგლებს ვართვის მის გატანას თავი რომ გავანებოთ-მეტიც, ეს ვთქვი და, მართალი გითხრათ, შიშმა ამიტანა, ვინაიდან დარბაზში ისხდნენ სწორედ ამ სპექტაკლების ავტორები, თეატრების ხელმძღვანელები, რომელთაც განაც მისალთდელი იყო საპროტესტო შეძახილები. მაგრამ დარბაზი დუმდა, თუმცა, იმ შემთხვევაში მე ვამჯობინებდი, რომ ვისმეს გაებათიღებინა ჩემი ნათქვამი. ის, რაც მაშინ ვთქვი, დღესაც რომ მეთვლა, ვინ იცის, ალბათ, არც ახლა ატყდებოდა დარბაზში დიდი საპროტესტო ხმაური, თუმცა ერთი თვალის გადავლებით წლევანდელი სეზონი თითქოს უფრო საინტერესო და ნაყოფიერი მოჩანს, და არა მარტო იმიტომ, რომ ამ განწყობილებას რუსთაველის თეატრის განმუშავებული გასტროლები აძლიერებს.

ჩვენს თეატრებში შეიქმნა რამდენიმე საყურადღებო სპექტაკლი. უამისობა დღერთმა ნუქნას, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს მასშტაბური მოვლენები, ისეთი სპექტაკლები, რომლებიც ბათუმელ მასურებელს ჩაიყვანს გორში, თელაველს — ქუთაისში, ახალიციხელს — სოხუმში და ასე შემდეგ, ისევე, როგორც, არაფრით

არ შეიძლება „კავკასიური ცარვის წრის“ სიმინდელის“ ან გიგა ლორთქიფანიძის და სოთარ მეღვინეთუხუცესის „ფირისმანის“ უნახობა მაგრამ ნურც ის გავაყოფოჩრებს ძალიან, მეგობრობის თეატრის წყალობით თბილისში ჩამოსული ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული თეატრების ზოგიერთ თეატრს თუ გავვიხიროთ და ვაკოებთ კიდევ, უმჯობესი იქნება, თუ უფრო მეტად ვიფიქრებთ, ტოვსტონოვოსეულმა სპექტაკლმა („ცხენის ამბავი“) რომ გავავიანა ყველანი და ახალი ნაკადი შეიტანა ჩვენს დრამატურულ, რეჟისორულ და არტისტულ აზროვნებაში. აი, ასეთი ეტალონები უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს საქმიანობას.

გულახდილად უნდა ითვყვას, რომ ჩვენ არ შეიძლება კმაყოფილი ვიყოთ ჩვენი თეატრების პროდუქციის მსატრული ღირებულებით. რითი უნდა აისხნას ეს? ან იმით, რომ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია, და, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა აღარაა, — რაც კიდევ შეიძლება ჩაითვალოს იბიექტურ მიზეზად, — ან კიდევ ყველაფერი რიგზე ვერ გვაქვს თეატრების ხელმძღვანელობის სფეროში, ვერ ვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს, რაც სკვე არასაპატიო მიზეზად უნდა ჩაითვალოს.

რა გვიშლის ხელს მუშაობაში, კარგი სპექტაკლის შექმნაში? რატომ ხდება, რომ ხელოვნების ისეთ დარგში, როგორც თეატრია, რომლისთვისაც უცხო და მიუღებელია სიყალბე, ჩვენ გვიძნელება აღამიანის ყველაზე უფრო კეთილშობილური თვისებების — გულწრფელობის, პირდაპირობის, პრინციპულობის გამოვლინება, უფრო მეტიც, პირეთი, პიესის შერჩევისას, ახალი სპექტაკლის მიღებისა და შეფასების დროს, სწორად ვპირფერობთ, მივდივართ კომპრომისზე, ვერიდებით ერთმანეთს წყენინებას, თავს ვიტყუებთ და ვატყუებთ სხვას, პირველ რიგში, **მაცურებელს, რომელიც, სხვათა შორის, სრული** —

თავ არ ტყუვდება, ჩვენზე უკეთ არჩევს შავსა და თეთრს, კარგსა და ავს, ჩვენ კი ამ დროს ვემგავსებით სილაში თავმარგულ სირაქლემას. ბათუმის თეატრში — დარწმუნებული ვარ, სხვა თეატრებშიც, — ხშირად იდგება პიესები, რომელთა დადგმაც არავითარი აუცილებლობით არაა გამოწვეული, ძირითადად რეჟისორების საექვეო კაპრიზებითა და გემოვნებით, სამხატვრო საბჭოსა და მიველი კოლექტივის შეხედულების გაუთვალისწინებლად, წყდება მისი მიღების ბედი, და, აბა, რა შედეგს უნდა მოველოდით, როცა თვით მსახიობს არ სჯერა როლისა, რომელსაც ის ასახიერებს, სპექტაკლისა, რომელშიც ის მონაწილეობს. ბათუმშიც — და, ალბათ, სხვა თეატრებშიც — ეფრავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სპექტაკლის ჩაბარების სახელმწიფოებრივი აქტი, მრავალი სუბიექტური და იბიექტური მიზეზის გამო, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია სამ-

სატერო საბჭოს, თეატრის ხელმძღვანელობის, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლის თავ-
ზე, ვიხსნა ვაძლევთ ნედლ საპეტაკოს იმ პირო-
ბით, რომ დარჩენილ ორდღანახეაში მოხდება
სასწაული, მოესწრება იმის გაკეთება, რაც არ
მოხერხდა ორთვენახეაში. და აქაც ყველანი
თავს ვიტყუებთ, რადგან შესანიშნავად ვიცით,
რომ იმ ორიოდე დღეში არც არაფერი გაკეთ-
დება, არც არაფერი მოესწრება.

ასეთ უპრინციპობას, ვფიქრობ, უპირველეს
ყოფისა, ხელს უწყობს არაოლიგარქიაობა, ხში-
რად კი კონკლათა და კინფლიტები თვით თეატრის
ხელმძღვანელთა შორის, უმეტეს შემთხვე-
ვაში, დირექტორსა და მთავარ რეჟისორს შო-
რის. ალბათ, კულტურის სამინისტროს უფრო
მეტე ფაქტები მოუპოვება ამის თაობაზე, მაგრამ
ისიც კი, რაც ჩვენთვისაა ცნობილი, გვაფიქრებინ-
ებს, რომ ამ უბანზე პირდაპირ საგანგაშო
მდგომარეობაა. არც ბათუმშია ყველაფერი რიგ-
ზე. მე არ მინდა ახლა მსაკულის როლში გამო-
ვიდე, შეიძლება სხვადასხვა თეატრში სხვადას-
ხვაგვარი საფუძველი უდგეს ამ კონფლიქტებს,
მაგრამ შედეგი კი ერთია — ნედლზეა შემოქმე-
დებით ცეცხლი, ირდევვა ერთსულენება, კო-
ლექტივის ერთ ნაწილს ეკარგება რწმენა, ხოლო
ზოგიერთი თეატრის ჭერას ცდილობს ამღვრეულ
წყალში, იწყება დაჯგუფება, რის საბაბადაც
ზოგჯერ საკმარისია ათიოდე მანეთის წამატება
მსახიობის ხელფასზე, რაც დირექტორს შეუძ-
ლია, ან მომგებიანი როლის მიცემა მსახიობი-
სათვის, რაც რეჟისორის უფლებაშია. საბოლოო-
ოდ კი ვინდებთ თეატრი, იგი ემსგავსება ჩვეუ-
ლებრივ დაწესებულებას, რომლის მუშაკებიც კი
ცხადდებიან სამუშაოზე, კი ასრულებენ მოვალე-
ობას, კი იღებენ ხელფასს, მაგრამ შთაგონება კი
არ ჩანს, ასეთი მდგომარეობა კი ეწინააღმდეგება
თეატრის პრინციპს, სადაც უშთაგონებოდ არა-
ფერი გამოვა. თეატრი ხომ ერთგულებასთან ერ-
თად ზოგჯერ მსხვერპლსაც მოითხოვს.

ვფიქრობთ, საფუძვლიანადაა გადასახედი სა-

რეპერტუარი პოლიტიკა, სახელდობრ, ცალკე
ლი თეატრების რეპერტუარის შედგენის საქმით
მოუქმელი პრაქტიკა, თუმცა ჩვენი კულტურის
სამინისტროს სარეპერტუარი კოლეგიის სასახე-
ლოდ უნდა ითქვას, რომ იგი მაინც შემოქმედ-
ებითად უდგება ამ საკითხს, ზოგჯერ მდის ისეთ
„დარღვევაზე“, რომ ცვლის მთელი სეზონისათ-
ვის წინასწარ ნაწარმდევ რეპერტუარს, თვკი,
რა თქმა უნდა, გამოჩნდება რაიმე ახალი ქარ-
თული თუ, საერთოდ, საინტერესო პიესა. მაგრამ
ის პრაქტიკა, რომ ყოველ სეზონში ყველა თეატრ-
მა აუცილებლად უნდა დადგას კლასიკაც, თა-
ნამდებროვე მოძმე რესპუბლიკების დრამატურგი-
ის ნიმუშებიც, საბავშვო პიესაც, მონაწილეობა
მიიღოს რომელიმე დემოკრატიული ქვეყნის დრა-
მატურგიის დათვალეირებაში და საიუბილეო
თარიღებიც გასათვალისწინებელია, ფაქტურად
ბოჭავს თეატრის შემოქმედებით ინიციატივას
და, რაც მთავარია, გზას უხშობს სცენისაკენ ქა-
რითულ პიესებს, რომლებიც, ხშირად, თავისი ხა-
რისხიით ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშებითა და მო-
ტივებით დადგმულ პიესებზე მაღლა დგანან. ერ-
თი დიდი თეატრის დირექტორმა ოცნებასავით
წარმოსთქვა, მოდიო, რაც იქნება, იქნება, მთე-
ლი ჩვენი წლევანდელი სეზონი მთლიანად ეროვ-
ნულ დრამატურგიას მივუძღვნათო. ღმერთმა
წუას! მოდიო, ასეთ თამამ სურვილს ნუ ჩავეთე-
ვლით მას რეპერტუარის შედგენის წესის დარღვე-
ვად.

რაკი ეროვნულ დრამატურგიაზე ჩამოვარდა
სიტყვა, მოდიო, აქაც გულახდილი ვიყოთ და
ჩვენს პიესებზე მსჯელობისას წარამარა ნუ ვლა-
პარაკობთ თანამდებროვე ქართული დრამატურგიის
ქრონიკულ ჩამორჩენილობაზე. იმ დონეზე მაინც
შევაფასოთ ჩვენი პიესები, მოძმე რესპუბლიკებ-
ში ან საზღვარგარეთ რომ აფასებენ. ანდა, საი-
დან განჩნდა ეს ქედმაღლური ტონი ქართულა
დრამატურგიის შეფასებისას, როცა ჩვენი თვითონა
ვართ ცოცხალი მოქმენი და მონაწილენი პრო-
ფესიული ეროვნული დრამატურგიის ჩამოყალი-

სცენა რუსთაველის თეატრის საპეტაკოდან „რას იტყვის ხალხი“.





სცენა გორის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „ფიროსმანი“.

სცენა მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლიდან „ჩემი მშენებელი ქალბატონი“.



ბებისა და, ის, რაც ამ თოხი ათეული წლის განმავლობაში შეიქმნა, მხოლოდ მისალმების ტრანსპორტი ყურადღების ღირსია. რომელიმე განმარტებული სპექტაკლის გარშემო ერთ თარგზე გამოჭერილი, ტყუილსადაც ერთმანეთის მსგავსი რეცენზიების ბეჭდავს, იქნებ აჯობებს გაუთავებლად კი არ ვილაპარაკოთ, არამედ მართლა რაღაც გავკეთოთ ჩვენი დრამატურგიის აღმავლობისათვის, თან იმასაც ნუ დავივიწყებთ, რაც გავკეთებულა, განსაკუთრებით თანამედროვეობის საკიბროლოტო პრობლემების სცენაზე გამოტანის მხრივ, რასაც ოცი-ოცდახუთი წლის წინათ აკეთებდნენ რევას თაბუკაშვილი, ვალერიან კანდელაკი, კიტა ბუაჩიძე, და სხვები, — ის დონე რომ დღესაც არ არის მიღწეული ბევრ მოძველებულ რესპუბლიკაში და თეატრალური კულტურის ცენტრებად აღიარებულ ბევრ ქალაქში. როდესაც იქაური კოლეგები კითხულობენ ჩვენს პიესებს, ცოტა არ იყოს, შურთ კიდევ ჩვენი, იმ ატმოსფეროსი, რომელიც გვაწერინებს ასეთ მართალ, გაბედულ პიესებს და, ასე გასინჯეთ, გებაძვენ კიდევ, თავიანთ რესპუბლიკებში მაგალითად მოჰყავთ ჩვენი პიესები. ვერ დავეთანხმები ნოდარ დუმბაძეს, რომელმაც მწერალთა ყრილობაზე თავის მოხსენებაში გადამეტებული მოკრძალებით თქვა, ჩვენს პიესებს იმიტომ დგამენ სხვა რესპუბლიკებში, რომ მათ თვითონ უჭირთ ამ საქმეში.

იქნებ ჩვენი რუსი კოლეგებისაგან გვესწავლა თანამედროვე პრობლემებისადმი მიძღვნილი პიესების პატივისცემა და მივლა-პატრონობა. „უცხო კაცია“, „პრემია“, „სახალიო ამინდი“ და ბოლო ხანებში მომრავლებული ამ რანგის პიესები სახელმწიფოებრივ დონეზე მსჯელობის საგნად გადაიქცა, ამ პიესებზე დისკრტაციებს იცავენ, ამ პიესებში სახელმწიფო პრემიებს ანიჭებენ, ჩვენ კი, უკეთეს შემთხვევაში, ვალის მოსახდელი ინფორმაციებით და რეცენზიებით ვკმაყოფილებით. ჩვენ არავის არ ვდვრებით და არც ვეჯობებთ, მაგრამ არც ისეა საქმე, ჯანსუღ ღვინჯილიამ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ წერილში (№ 5, 1976 წ.) რომ გადაუწურა წყალი მიფელს ქართულ დრამატურგიას („ყვარყვარე თუთაბერის“ გამოკლებით თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში ვერც ერთი კეთილისმსურველი ვერ დავისახელებს პიესას, რომელშიც მეტ-ნაკლები დოზით არ ბატონობდეს თემატიკობა, სქემატიზმი, კონფლიქტების ილუზია, ილუსტრირება...): რა ვართ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მაინც ასეთი, რომ არაფერი გავაკეთებ, თორემ მარტო „ლალატი“, „სამანიშვილის დედინაცვლით“, „ხანუმათი“, „ძველი ვოდველიებით“ შორს ვერ გავალთ, დღევანდლობის ასახვის გარეშე თეატრი კი ვერ შეასრულებს თავის ძირითად მისიას. ამ გაუ-

თავივედ პრეტენზიებს ჯობს, გამოცემებით უფრო სრულყოფილი ფორმებით კარგი პიესების შესაქმნელად. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ, რომ დრამატურგია ლიტერატურის უმაღლესი ფორმაა, ვაკრიტიკოთ მწერალთა კავშირის მისდამი უსურადღებობისათვის, მოვითხოვით ჩვენი პიესების დაბეჭდვა, ყოველივე ეს მაინც თეორიული მსჯელობაა, რადგან პიესა იწერება მხოლოდ და მხოლოდ თეატრისათვის, რეჟისორისათვის, მასახობისთვის, მაცურებლისათვის და არა გამომცემლობის დირექტორის, რედაქტორის ან მკითხველისათვის. ანდა, სხვაგვარად პიესა როგორ დაიწერება, თუკი დრამატურგი არ აზროვნებს სცენის კანონებით, არ გაითამაშებს თითოეულ პერსონაჟს! ვისი რეკომენდაციითაც არ უნდა იყოს მოსული, ყველაზე უსახელო თეატრის უსახელო რეჟისორიც კი ზღადაც არ შეხედავს პიესას, რომელიც მას არ მისწონს. მაგრამ საკმარისია, მას მოეწონოს პიესა, დადგამს კიდეც ვფიქრობთ, ეს ბუნებრივია და კანონიერიც. საერთოდ, რეჟისორი თეატრის ბატონ-პატრონია და სწორედ მასთან ურთიერთობით შეიძლება შეიქმნას სასურველი პიესა, — თეატრთან ურთიერთობით. იქნებ აჯობოს, რომ დრამატურგი თეატრში მიდიოდეს არა მზა პიესით, არამედ ჩანაფიქრით. ასეთი სტატისტიკა ალბათ არ არსებობს, მაგრამ პიესების უმეტესობა არ იდგმება, ისინი დაწერილია ჩანასახივით. უხეირო პიესის დანერგვა კი ზოგჯერ უფრო მეტი დრო და ჯაფა სჭირდება, ვიდრე კარგი პიესის შექმნას. ჰოდა, ასეთმა პრაქტიკამ, ჩანაფიქრშივე თეატრისა და დრამატურგის ურთიერთობა, იქნებ მართლაც გამოიღოს სასურველი შედეგი.

თავი და თავი კი მაინც ის გახლავთ, თუ რა უდევს საფუძვლად ამ ურთიერთობას. უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა იყოს თანამოაზრობა, ერთობლივი მსოფლმხედველობა, გემოვნებათა ნათესაობა და, რაღა თქმა უნდა, ის, რომ ორთავეს, თეატრსაც და დრამატურგსაც, ერთნაირი ტკივილი უნდა აწუხებდეთ, ერთნაირი სათქმელი ჰქონდეთ და იგი გამოხატავდეს ფიქრებს მაცურებლისას, რომელსაც, საბოლოო ანგარიშში, ხალხი ჰქვია. თავისთავად ცხადია, რომ ეს სათქმელი უნდა ითქვას პირდაპირ, გულწრფელად, გასაგებად, და არა ისე, რომ პაუვე გამოიყვანო სცენაზე და შემდეგ ირყევა, რომ ეს იგანეა, რომ პიესა ანტიკურია ხანის ამბებს ასახავს და თურმე, დღევანდელია უნდა ვიგულისხმობთ, იქნებ ასეთი მანიპულაციები არც იყოს საჭირო, მით უფრო, რომ ჩვენ ხშირად მაშინაც ვნიღბავთ სათქმელს, როცა ეს საჭირო სულაც არაა. თუ პირდაპირ და გასაგებად იტყვი სათქმელს, ეს თურმე პუბლიცისტიკა ყოფილა. კაცმა რომ თქვას, ეს დიდი პატივია პუბლიცისტიკისათვის, ვინაიდან ბევრი ძნელად სათქმელი პირველად პუბლიცისტიკამ კი არა, დრამატურგიამ თქვა თეატრთან ერთად.

აქ უკვე ითქვამ, ალბათ, ვიდრე ითქვამა მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლოგიკა შესაძლოა, ჩვენ, ქართველ დრამატურგებს გვეყინოს, რომ ჩვენი პიესა არ იყო წარმოდგენილი საგასტროლო რეპერტუარში, მაგრამ ასეთ დროს ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ სოლიდარულნი, უნდა ვიდგეთ საკუთარ პატივმოყვარობაზე უფრო მაღლა, ვინაიდან რუსთაველის თეატრის ეს გასტროლები კულტურის სამინისტროს მორიგი ღონისძიება კი არაა, არამედ საქართველოს ისტორიის მშვენიერი ფურცელია.

მაგრამ მე ესაგან კითხვას: ხომ შეიძლება და საქმე ისეც წასულიყო, რომ არ ჩატარებულიყო რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში? ძნელია ასეთ კითხვაზე კატეგორიულად პასუხის გაცემა, მაგრამ ნამდვილად იყო ასეთი საშოშირობა. რუსთაველის თეატრის გასტროლები რა იქნებოდა „ყვარყვარეს“, „გუმინდელის“, „კავკასიური ცარცის წრის“ გარეშე! გავიხსენოთ თუნდაც „ყვარყვარეს“ გარშემო ამტყდარი მიტქმა-მოთქმა, სხვადასხვა დონეზე ბარე ათერ მოწყობილი სპექტაკლის განხილვა-ჩაბარება და ბოლოს მაინც თეატრის გამარჯვება, რაც განაპირობა თეატრის ერთგულებამ თავისი შემოქმედებითი პრინციპებისადმი და, რა თქმა უნდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერამ.

დღეს ყრილობის ტრიბუნად გვინდა განვიცხადოთ, რომ თეატრთან დაკავშირებულ ყველა მუშაკს კარგად უნდა ითვისო ვილი და მოვალეობა ქვეყნის, ხალხის, პარტიის წინაშე, მაგრამ იმისათვის, რომ მაცურებელს, ესე იგი, ხალხს, პარტიის სახელით ვილაპარაკოთ, უნდა იყოს და არის კიდევ აბსოლუტური გავგება და ნდობა ჩვენსა და ხელმძღვანელობას შორის. ეს არის უპირველესი პირობა და სტიმული ნამდვილი შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ვინაიდან თეატრი ჩვენი პროფესიაა, თეატრის ჩვენი ცხოვრებაა, თეატრს იქით ჩვენ გზა არა გვაქვს და მხოლოდ ასეთი აბსოლუტური ნდობის, თეატრისადმი უმაღლესი რაწინს დონეზე ზრუნვისა და მხარდაჭერის ვითარებაში შეიძლება გაკეთდეს ის დიდი ეროვნული საქმე, რისთვისაც ჩვენ ვართ მოწოდებულნი.



ჩვენნი უბოლოებელი პროგრამა

ზინაიდა ჩაბიევა

საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების სამხრეთ ოსეთის
განყოფილების თავმჯდომარე

შპრმან, მისში საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამხრეთ ოსეთის განყოფილება. სამხრეთ ოსეთის თეატრალური საზოგადოების განყოფილებამ კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში აირჩია ორი რწმუნებული: ქართულ დასში — საქართველოს სსრ სახალხო არტიტი ი. შერაზდაშვილი და ოსურ დასში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ფ. ხარბოვა.

განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს თეატრალური საზოგადოების პლენუმის მუშაობაში, სადაც განხილული იყო კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის 1974-1975 წ. სესიონის შედეგები და სკკპ XXV ყრილობის შესახებდრად მზადება.

სამხრეთ ოსეთის თეატრალური საზოგადოების განყოფილება, შეძლებისდაგვარად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ოლქის კულტურულ ცხოვრებაში: მან ხელი შეუწყო კოსტა ხეთაგუროვის თეატრის ქართული დასის შეხვედრას თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან; მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო არტისტის ა. ჩხარტიშვილის საიუნილგო საღამოში; ერთმანეთს შეახვედრა ჩრდილო ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის თეატრების შემოქმედებითი კოლექტივები და ა. შ. განყოფილებამ თეატრის მუშაკები შემოქმედებით მივლინებით გაგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, მასჩაკალაში.

თეატრალური საზოგადოების განყოფილება ხელს უწყობს სახალხო თეატრის გახსნას მადაროფთა დაბა კვიისში. ოღონდ, უნდა ვთქვათ: საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლებმა, თეატრალური საზოგადოების სამხრეთ ოსეთის განყოფილებამ და ადგილობრივმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა გადახედეს კულტურის სახლის რეპერტუარს და გადაწყვი-

ტიეს თხოვნა შეცაბამის ორგანოებს გახსნან სახალხო თეატრი დაბა კვიისში, მაგრამ ეს საკითხი აქამდე ვერ გადაწყდა პროფსაბჭოში.

სახალხო თეატრად გადაკეთების სურვილი აქვს ცხინვალის რაიონული კულტურის სახლის შემოქმედებითი კოლექტივს და იგი ემზადება კიდევ ამისთვის:

1975 წლიდან ემზადდებიან სამხრეთ ოსეთის ქართული თეატრის 100 წლისთავისა და ეროვნული, ოსური თეატრის 70 წლისთავის აღსანიშნავად. თეატრალური საზოგადოების განყოფილება აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საოლქო საორგანიზაციო კომისიის მუშაობაში ორივე თეატრის იუბილეს მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

სამხრეთ ოსეთის თეატრალური საზოგადოების განყოფილება მთლიანად იზიარებს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთაც ითვალისწინებს სახელმწიფო თეატრალური საზოგადოების წესდება, იგი ყოველმხრივ ხელს უწყობს როგორც შემოქმედებითი დონის ამაღლებას, ასევე თეატრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებას.

ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩვენს თეატრზე.

კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრის როგორც ოსური, ასევე ქართული დასი ძირითადად დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. ოსური დასის უფროს და საშუალო თაობებს დამთავრებული აქვთ უმაღლესი თეატრალური სასწავლებლები ლენინგრადში, მოსკოვში, ხოლო მესამე თაობა, 18 კაცის რაოდენობით, რომელიც დამთავრებს მცირე აკადემიურ თეატრთან არსებულ პუშკინის სახელობის უმაღლეს თეატრალურ ინსტიტუტს, 1977 წლიდან შეაქვს დასს.

ქართულ დასში გვყავს მსახიობები, რომლებმაც დაამთავრეს რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინს-

ტიტუტი: რუსლან ოტიაშვილი, თეიმურაზ მეშვილდე, თენგიზ ხიდაშელი და სხვ.

ჩვენი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის შემადგენლობიდან 5 კაცი საქართველოს სსრ სახალხო არტისტია, 16 — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ხოლო 2 — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამასახურებული არტისტი.

მოელი ენერგიით მუშაობენ: ლ. ცხოვრებოვი, ბ. შერაზადაშვილი, ი. ტაუგაზოვი, ლ. ჩაბივა, ა. თედოვი, კ. ჩოჩივი, ვ. თარალაშვილი, რ. გასივა, რ. პლივა, ი. დარაბუაშვილი, გ. კოკოვი, რ. ჩაბივი, ზ. მედოვი, ი. ჯიკაივი, თ. ჰასანოვა, ფ. ხარბოვა, დ. გაბარაევი და სხვები.

ორივე დასში იზრდებიან იმედისმომცემი ახალგაზრდები: ი. ბჰაპია, გ. გიკაური, გ. ქრისტესაშვილი, ა. ჯუსოევი, შ. გაგოვი, რ. ხუგაევი, გ. ხასიევი და სხვები. დიდ იმედებს იძლევა ახალგაზრდა თეატრალური მხატვარი რ. ჩოჩივი, რომელიც ამჟამად თეატრის მთავარი მხატვარია და გ. ვერაძე.

1975-1976 წ. სეზონში კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ორივე დასის რეპერტუარში დამტკიცებულია შემდეგი პიესები.

ოსური დასი: ვენივის „კუბატიევიების პატარალი“, შერიანის „ღუწია“, ხუგაევის „სეტი და ბეტი“, შილერის „დონ კარლოსი“.

ქართული დასი: კანდელაკის „სოკრატე“, ცხოვრებოვის „ოსეთის მთებში“, ივანიშვილის „თეთრი მერცხალი“, სანაკოევის „მეზობლები“ და ვაკეის „შამილი“.

გემის მიხედვით თეატრს სეზონში უნდა ეწვეწებინა 8 პრემიერა, ვაჩვენეთ შვიდი, მათ შორის, ქართულმა დასმა — 4, ხოლო ოსურმა დასმა — 3.

გემის მიხედვით თეატრის ორივე დასს სეზონში უნდა ეწვეწებინა 285 სპექტაკლი, ფაქტიურად ვაჩვენეთ 264. გემა შესრულდა 92,6% -ით. თეატრი უნდა მომსახურებოდა 70200 მაყურებელს, ფაქტიურად მომსახურა 19 206 კაცს და გემა შესასრულა მხოლოდ 27,3% -ით.

მაყურებელმა და პრესამ კარგად მიიღო ოსური დასის

სპექტაკლები: ვანევის „კუბატიევიების პატარალი“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ტ. მამავემა, შილერის „დონ კარლოსი“, რომლის დამდგმელი რეჟისორია ა. ახარევიჩი, ხუგაევის „სეტი და ბეტი“, რომლის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს რ. ჩაბივას და ვაკელოევის „მიწიერი ღმერთები“, რომელიც დადგა მ. მამავემა.

ქართული დასის სპექტაკლთაგან გამოირჩეოდა: კანდელაკის „სოკრატე“ (რეჟისორი უ. მინდაშვილი) და ივანიშვილის „თეთრი მერცხალი“ (რეჟისორი საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე გ. ლალიძე).

1976-1977 წ. სეზონში თეატრის ორივე დასს დაეგმილი აქვს მაყურებელს უჩვეწის ათი სპექტაკლი. ქართული დასი: ბებქეის „სამგრონიანი ოპერა“, ლ. გოთუას „სამსახობა რაინდისა“, გ. ხუაშვილის „სეგდიანი გიტარები“, დ. კლდიაშვილის „ქაშაშაშის გაჭირება“ და ტაბორიძისა და მაზნიშვილის „რომელი რომელია“. ოსური დასი: სობოს „ბერლინის კომუნდანიტი“, ძაგოევის „ქალიშვილი მთებიდან“, მაკაროვის „ჩემებიანი კატა“, ხეთაგურის „გამოთხოვება გახაფხულთან“ და გოგოლის „რევიზორი“.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა შემოქმედებითი კოლექტივის შემადგენლობაზე. მეტად მძიმედ დგას კადრების მოზიდვის საკითხი. გვაკლია პროფესიული მსახიობები. ორი რეჟისორის ნაცვლად ავერ უვეე რამდენიმე წელია მოღვაწეობს მხოლოდ ერთი რეჟისორი. გვაშედეგს მხოლოდ ერთი რამ, 1977 წელს უნდა შემოგვემატოს 18 კაცი, რომლებიც თეატრალურ ინსტიტუტს ამთავრებენ. მანამდე კი ძალიან გვიჭირს თავი გავართავთ დავეგმილო რეპერტუარს. ოსურ დასში განსაკუთრებით მძიმედ იგრძნობა რეჟისორის უყოლობა, სადაც 5 წლის მანძილზე მხოლოდ რეჟისორი მ. მამავე უძღვეოდა საქმეს. ამ მხრივ, არც მომავლის იმედი გვაქვს. ეს კი დამღუპველია მოქმედებს თეატრის შემოქმედებით ზრდაზე და ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლინება-აღზრდაზე.

ქართულ დასში არცთუ იხე ბევრია უმაღლეს დამთავრებული მსახიობები და ეს უარყოფითად მოქმედებს სპექტაკლების შემოქმედებით ღირწე. მართალია. შევსებას ეს კოლე-

სცენა ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „რაიკომის მდივანი“.



ქტივეც ელის თბილისის რუსთაველის სახელობის თეატარ-
 ლური ინსტიტუტიდან, სადაც გახსნილია სპეციალური ჯგუ-
 ფი ჩვენი თეატრის ქართული დასისათვის, რისთვისაც დიდ
 მაძლობას მოვასწავებთ თბილისის თეატრალური ინსტიტუ-
 ტის ხელმძღვანელობას, საქართველოს თეატრალურ საზოგა-
 დოებას და კულტურის სამინისტროს, მაგრამ ჯერჯერობით
 ეს ჩვენს გაჭირვებას არ შეველის. ჩვენი თხოვნა იქნება გამო-
 გვეყოს ყოველწლიურად ორი ლიმიტირებული ადგილი თბი-
 ლისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტში
 სამსახიობო, საჩუქისორო და თეატრმცოდნეობის ფაკულტე-
 ტებზე.

თუ ახლო წარსულში ჩვენი თეატრის ქართულ დასში დი-
 დი დენადობა იყო რეჟისორებისა და მსახიობებისა, არცერთი
 მაჩვენებლით არ სრულდებოდა ვეგმა, ადგილი ჰქონდა შრო-
 მითი და შემოქმედებითი დისციპლინის დარღვევას, თუ რე-
 ჰურტუარი არ შესაბამებოდა თანამედროვე მაცურებლის
 მოთხოვნას, რაც აღინიშნა კიდევ საქართველოს კულტურის
და მისგანვე შედგენილი წარმოსადგენად ნებადართული პიესებისა (დასახელებულია 238 პიესა). ერთი წლის შემდეგ ამავე სახელწოდების მეორე წიგნი გამოვეყი. ამ წიგნის შედგენისას განვიზრახე მასში მომეთავსებინა სასცენო ხელოვნების შესახებ წერილი. ამისათვის მომართე ჩვენი სცენის დამსახურებულ მოღვაწეებს: ლადო მესხიშვილს, კოტე მესხს, კოტე ყოფიანს, მაგრამ ვერცერთმა ვერ იკისრა. ბოლოს, ისევე ვასო აბაშიძეს მივადექი, რომლისაგანაც ერთხელ უკვე დავაღუბებული ვიყავი. ვასო პაპიძემ გულდასმით მომიმინა და მითხრა:

— ქაჯან, ძალიან კარგი აზრი მოგსცლია, მაგრამ მოკლედ მითხარი, რაც ვინდა, თორემ ჩვენი სცენის მოყვარენი და აქტიორები რაც არიან — შეც ვიცი.

— მოკლედ ეს არის: მე მინდა მგავიო, გასაგებად დაწერილი ცნობანი სასცენო ხელოვნების შესახებ, ის თუ ახალგაზრდა სცენისმოყვარე ქალ-ვაჟთა რა უნდა იცოდნენ, რა მიეთხოვებათ, ვიდრე სცენაზე გამოვიდოდნენ.

იმვე დროს, გაფართოებულ ვასო, რომ გასამრჯელოს (პონორას) ვერ მივეცი.

— გასამრჯელო?! — შემომამერდა ვასო უფრო ცოცხალი გამოხედვებით: — ქაჯან, ოღონდ წიგნი დაბეჭდე როგორმე, რომ ჩვენს ღარიბ თეატრს გამოაღდეს და... რის გასამრჯელო, რა გასამრჯელო!...

და რა ბედნიერი იყო ჩემთვის ის დღე, როცა ვასომ თავისებური გარკვეული ხელით დაწერილი შემდეგი წერილი მიმიტანა: „მოკლედ ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ“ (გუშდენი იმ ყმაწვილ ქალთა და კაცთა, რომელთა შუაშტორ სცენას ემსახურნ) „ივერია“, 1894 წ., №171, 172.

ეს წერილი შეიცავს შემდეგს: სწავლა და განვიარება როლის მოწადება და ვარჯიშობა (რეპეტიცია).

III დაკვირება

IV დარიგება შექსპირის მიერ მსახიობებისა — ტანისათვის, გრიმი.

V გამარჯვება სცენაზე — კრიტიკა.

ამ წერილის შესავალიში ჩვენი დაუვიწყარი ვასო, სხვათაშორის, წერდა (მოწყავს, რადგან „სცოტრების სარკვე“ დიდი ხანია მიღლითარაფულე იშვიათობას წარმოადგენს და, შესაძლოა, მსურველს ხელში ვერ ჩავუვარდეს): „ვისაც სურს სცენას ემსახუროს, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამაირკვიოს და შეიგნოს, რას შეადგენს მსახიობის ხელოვნება.“

მსახიობის ხელოვნება იმას შეადგენს, რომ თავისი ვარგებით წარმოგვიდგინოს ის ადამიანი, რომელიც ავტორს ყავს პიესაში გამოყვანილი, ამიტომ მსახიობმა თავაშობის დროს უნდა დაივიწყოს, რომ იგი მსახიობია და მხოლოდ გვიჩვენოს და დაგვიხატოს ავტორის მიერ შექმნილი ტიპი.

ამისათვის საჭიროა, ყველამ, ვისაც კი სურს სცენას ემსახუროს და მსახიობად გახდეს, შეიმუშავოს: ა) მიხერა-მიხერა, ბ) ხმა, გ) მიმიკა, ვ. ე. ი. ს საშუალებანი, რომლითაც მსახიობი მაყურებლებზედ ჰმოქმედოს“ და სხვ.

წერილს ამთავრებს შემდეგი დარიგებით: „მხოლოდ დაუღალავს მუშაობას და ცხოვრების დაკვირვებას შეუძლიან შემქმნას არტისტ ხელოვანი“-ო („სცოტრების სარკვე“, II, 1901 წ., გვ. 366-384).

დღეს, როდესაც ჩვენი სათეატრო ხელოვნება სახელმწიფოს ზრუნვის საგანია, თეატრთა და მსახიობთა რიცხვი ერთი ათად და მეტად გაიზარდა, გვაქვს სათეატრო ინსტიტუტი, ყველა თეატრის დასს საკუთარი აღმზრდელ-გამწრთებელი, საგანგებო, სათეატრო ხელოვნების ცოდნით აღჭურვილი რეჟისორი ჰყავს, ზემოხსენებულ წერილში გამოთქმული აზრები თითქმის უკვე ღია კარებში ბრახუნს ემსაგავსება, მაგრამ ნაშევარი საუკუნის წინათ სცენის მუშაკთა ეს წერილი ცის მანანასავით მოველიან.

და მაინც ვფიქრობ, ამ წერილის ზოგიერთ აზრს ზოგიერთი მუშაკისათვის დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ამავე წიგნში მოვათავსე „სია სათამაშოდ ნებადართული პიესებისა“, ვასოსგანვე შედგენილი (46 პიესა).

როგორც ცნობილია, ვასოს ოჯახი — მეუღლე მაკო და ასული ტასო, — ქართული სცენის სიამაგე და მშენებელი იყო. მახსოვს, ვასომ რა გულის ფანქვალით გამოიყვანა სცენაზე თავისი სახელოვანი ასული ტასო, ეს იყო აიანის პიესა „ფული და ხარისხი“. პირველ წარმოდგენაში 1899 წ. მონაწილეობდნენ თვით ვასო აბაშიძე (ასრულებდა ვაჭარ არტემ შაბრათოს), თ. აფხაზიშვილი (ანეინა ბაბაღე), გ. შათირიშვილი (თავ. ლევანი), ს. სვიმონიძე (თავ. კოწია), ნ. გაბუნია-ცაგარლასი (სოფი), ტასო (მამო), ა. ადამიძე (მაგარტა), შ. საფაროვი (ივანე მუშტაძე), ა. მიწინარივი (ბოქაული), მათ შორის მეც (ვასრულებდი თავად ლამბაძის როლს). პირველ გამოსვლისას ვასომ ტასოს სცენის კარი გაუღო. სცენისაკენ მი-

ქურნალ „თეატრი და სცოტრების“ პირველი ნომრის პირველი გვერდი.



მავლს შვილს მარჯვენა ხელით ჯვარი გადასახა იმედის სა-
სობით. ისე მომჩვენა, ვასო იმ დროს რაღაც ზემოთაგონებული
გრძნობით იყო აღგზნებული. რა თქმა უნდა, საზოგადოება ტა-
ნის დიდი აღვრთოვანებით მიივება და მზურვალე ტაშით დაა-
ჯილდოვა, ვასოს თვალებში სისარულის ცრემლები აუციმ-
ციმდა და როდესაც ტასომ (მაშო) სცენაზე შესაფერი ისტა-
ტობით ხმა ამოიღო, ვასომ შვებით ამოსუნთქა.

1905 წ. რევოლუციის შემდეგ გამოფეხულ სასტიკი რეაქ-
ციის ხანაში, 1910 წ. იანვრიდან კვირეული სათეატრო-სახე-
ლოვანი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემა დავი-
წყე, არ მახსოვს მეორე კაცი, აკაკის გარდა, რომელსაც ისე
გახარებოდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ გამოშვება,
როგორც ვასოს.

ვასო აბაშიძე არა მხოლოდ უნიჭიერესი, თვითომქმედი მსა-
ხიობი იყო, არამედ მრავალმხრივი მოღვაწე ქართული თეატ-
რისა: ჟურნალისტი, დრამატურგი, პიესების გადმომკვებე-
ლი, რეჟისორი, ანტრეპრენიორი, სასცენო თეორიული წერი-
ლების მწერალი და სხვ. მშობლიური თეატრის მომავალს გა-
სო მუდამ ღიძის იმედით და რწმენით შეჰყურებდა, — ამ მო-
მავლისათვის ყოველგვარ საქმიანობას აღტაცებით ეგებებოდა.
ერთხელ ქართული თეატრის (აწ გრიბოედოვის სახ. რუსუ-
ლი თეატრი) კარიბჭეში ვასომ ერთი X უცნობს შეხასხვედ-
რა — გაიცან ტამარინი!

უცნობს ხელი ჩამოვართვი და ვასოს ჩურჩულით უთხარი
„ნამდვილი შიშაგაა“.

— მძინაროვი გახლავართ! — მომივო ასალგანობილმა
ელვარე თვალთა ისრის ტყორცნით.

— მძინაროვი თუ მძინარიშვილი?

— დიაღ, მძინარიშვილი.

ვასომ სამიკიტნოში მიიწვია ეს მძინარიშვილი-ტამარი-
ნი, მეც ამიყოლია. ნადიმის დროს ტამარინ-მძინარიშვილმა,
ვასოს უთხრა:

— ეკ, ვასო, ვასო, შენ რომ რუსეთში წამოსულიყავი და
რუსულ სცენაზე შესულიყავი, მთელ რუსეთის სათეატრო ვარ-
სკელები იქნებოდ!

— ეკ, მიშა, მიშა, შენ რომ საქართველოში დარჩენილიყავ
და ქართულ სცენაზე გემუშავნა, იცი, ჩვენი ქართული სცენა
როგორ იკავაშებდა!

რამდენად მართალი იყო ეს ერთიმეორესადმი მიძღვნილი
ქაითანური, ამის განხილვაში არ შევსულვარ, მაგრამ ის ვი ვი-
ცი, რომ მიხეილ მიხეილის ძე მძინარიშვილი — ტამარინი
რუსეთის სცენაზე განთქმული მსახიობი იყო, ხოლო ვასო აბა-
შიძე მშობლიური სცენის დიდება, ქართული ეროვნული თეა-
ტრის ერთი დედაბოძთაგანი. ვასო, ლადო, ვალიკო, ორი კოტე,
ბაბო, მაკო, ნატო, ფეფიკო, ნუტა, შალვა, ორი ალექსანდრე
და სხვ. აი, მოღვაწეთა თაობა, ვის ზურგზე აიგო ქართული რე-
ვოლუციამდელი თეატრი.

უკანასკნელად ვასო აბაშიძეს თბილისის II საავადმყოფოში
მეორე სართულის ცალკე ოთახის სასიკვდილო სარკველზე მწო-



ვასო აბაშიძე

ლიარეს შვეხვდი. მიმი-მიმიედ სუნთქავდა. გაუნძრევლად
თვალნი მომაპყრო. თანვე მყავდა ფოტოგრაფი ვარლამ ჩლაი-
ძე, ავადმყოფის სურათის გადასაღებად. ვარლამ ჩლაიძე შეუდ-
გა ფოტოაპარატის სამუშებზე დამაგრებას. სამუშეა გადასხლ-
ტა, აპარატი იატკას დაცვა. ვასომ უსიცოცხლოდ მომაპყრო
თვალეში. ძლივს სუნთქავდა: „ვარლამ, მგინი სულს
ლევს“ — წაგზურჩულე ფოტოგრაფს და ვასოს მოვებ-
ვიე. მაჯის სიცივე ვიგრძენი. როგორც იქნა, ფოტო აპარატი
დაამაგრა ვარლამმა და სულმოზრძავ ვასოს მოუზარჯა. ვასომ
ერთი ამოსუნთქა, პირი ოდნავ გააღო და აღარ შენძრეულა.
ეს წუთი ჩლაიძის აპარატმა აღბეჭდა. ვასოს შუბლს ვეამო-
რე... ჩვენი თეატრის მზე ჩემს მკლავებზე „ჩაესვენა“.

ტიციანი

„ჩემი ხელი და ფეხი რომ შესატყვისებოდეს იმ მნიშვნელოვან აზრებს, რომელნიც ალკუსენ ჩემს სულსა და გონებას, მამინ მართლმადიდებელი აღმსარებლები ჩემი მისწავლებას“ — შორეულად მიწის თავისი ხელოვნების შესახებ რენესანსის უდიდესი ოსტატი ტიციანი და ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მარკო ფედერიკო გონზაგასადმი მიწერილ ამ წერილში ლაპარაკია საქვეყნოდ სახელგანთქმულ ფერწერულ ტილოზე „მარიამ მადლადინელზე“. ამგვარი მომთხზველობით გვიღებდა თავის საქმეს მხატვარი, რომლის შესახებ მისი თანამედროვეები ამბობდნენ, რომ იგი ერთადერთია, ვისაც შეიძლება ფერწერით ეწოდოსო. „მხოლოდ მას, ერთადერთს შეიძლება ეწოდოს ბრწყინვალე კოლორისტი. ვერცერთი ძველი მხატვარი მას ვერ შეედრება, რადგან იგი თვით ბუნებას მიჰყვება კვალდაკვალ“. — ასე ახასიათებდა ტიციანს მისი ბიოგრაფი, XVI საუკუნის ვენეციელი მწერალი ლოდოვიკო დოლჩე.

ტიციანის შემოქმედება მის სიცოცხლეშივე იყო ღირსეულად დაფასებული და აღიარებული. იგი საყოველთაო აღტაცებითა და პატივისცემით სარგებლობდა. იტალიელ მხატვართა ცნობილი მემკვიდრე, ტიციანის თანამედროვე ჯორჯო ვაზარი აღნიშნავს: „ტიციანი, რომელმაც თავისი შესანიშნავი სურათებით დაამშვენა ვენეცია, უფრო მეტიც — მთელი იტალია და სხვა ქვეყნებიც — სიყვარულსა და ყურადღებას იმსახურებს“.

იტალიური რენესანსის ერთ-ერთმა თვალსაჩინო პიროვნებამ, ლევენდად ქველუმა მხატვარმა უმაგალითო შემოქმედება მოახდინა მთელ ქვერობულ ფერწერაზე. ამ დიდი კოლორისტის ხელოვნება თავისი სახელი და სამაგალითო იყო ყველასათვის, ვინც კი ჭეშმარიტ ფერწერას აფასებდა. ტიციანი — ეპოქა ფერწერის ისტორიაში. ერთმა მან იმდენი რამ გააკეთა ფერწერისათვის, რასაც მხატვართა თაობები თუ მოახერხებდნენ. ტიციანმა ცხრა ათეული წელი იცოცხლა და მისი გიგანტური ნიჭისა და მწქეფარე ენერგიის წინაშე თვით დროც კი უძლური აღმოჩნდა. სიცოცხლის ბოლო წლებშიც იგი კვლავ ახალგაზრდული შემართებით მუშაობდა და მისი ფუნჯი კვლავ ჯაბოსნური ძალით ქმნიდა ფერწერას, „რომელსაც ვერ შეედრება ვერც პატიოსან თვალთა ელვარება, ვერც ოქროს ბრწყინვალეობა“ (პიეტრო არეტინი).

ტიციანის სამშობლოა პივე დი კადორე, პატარა ქალაქი ვენეციის რესპუბლიკისა და ტიროლის საზღვართან. საინტერესოა მისი ოჯახის ისტორია, რომელსაც ვინმე ტომასო დი პოცა-

კიტი მარჩბელი

ლესთან მივყავართ, ვისი ერთ-ერთი ვაჟიც, სახელად ვერჩლო, თუ ვერჩლო კადორეს პოდესტად (ქალაქის თავად) იქნა არჩეული XIV საუკუნის პირველ ნახევარში. სწორედ აქედან მოიღო ოჯახმა თავისი გვარი — ვერჩლო.

ტიციანი — ერთი ხუთ შვილთაგანია ქალაქ პივე დი კადორეს ნოტიარისის, გრეგორიო ვერჩლოისი. ტიციანის დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. ტრადიციულად მიღებული იყო თარიღი, მოცემული XVII საუკუნის ავტორების — ანტონიმო დელ ტიციანელისა და რიდოლფის მიერ — 1477 წელი. ამჟამად მკვლევარები მხარს უჭერენ ჯორჯო ვაზარისა და ლოდოვიკო დოლჩეს ცნობების საფუძველზე დადგენილ თარიღს — დაახლოებით 1488-1490 წლები.

ცოტა რამაა ცნობილი ტიციანის ბავშვობის წლებზეც. ლ. დოლჩეს ცნობით, რვა თუ ცხრა წლის ტიციანი გაგზავნეს ვენეციაში, სადაც იგი მოხვდა სებასტიანო ცუკატის სახელოსნოში, სახელგანთქმული მოზაიკის ოსტატების, ვალერიოსა და ფრანჩესკოს მამასთან. ეს დურული ნაცნობობა მოზაიკის ტექნიკასთან დიდ ზეგავლენას მოახდენს ტიციანის ფერწერულ მსოფოგმრძებლაზე. ურთიერთობა ცუკატის ოჯახთან წლების მანძილ-



ჯვრის ტვირთა. ფრანგენტი.

ზე გრძელდებოდა. პატარა შვირიდი ემხარებოდა მასწავლებელს, სან მარკოს, ბაზილიკის მოზაიკებზე მუშაობაში. 1565 წლისთვის მათი სახელები კვლავ ერთადაა მოხსენებული პივედი დი კალორეს საარქივოაქონი ეკლესიის ფრესკებთან დაკავშირებით.

წერილობითი წყაროების ცნობით, ცუკატომ ჭაბუკი ტიციანი ჩააბარა ცნობილ ვენეციელ ფერმწერს ჯენტილე ბელინის, რომელიც იმ დროს თავის ძმასთან ჯოვანისთან ერთად მუშაობდა დოვენის სასახლეში. ჯენტილეს ხელოვნება ტიციანის გულგრილს სტოვებს, მის ფერწერულ სტილს იგი „ხისტს, მშრალსა და ნაწვალბეს“ უწოდებს, ამავ დროს კი იგი აღტაცებულია ჯოვანის ნამუშევრებით. ეს ნიშანდობლივია, რადგან ჯოვანი ბელინი, ანუ, როგორც მას თანამედროვეები უწოდებდნენ, ჯანბელინი, თავისი ეპოქის ფერწერულ იდეალებს განასახიერებდა და მასთან უკვე მადლო რენესანსის დიდებული და კარმონიული სტილის წინათგრძნობა ჩანს. იმ დროისთვის, როცა მასთან ტიციანი მივიდა, ჯანბელინი პირველია ვენეციელ ფერმწერთა შორის; მისი ნათელი, პოეტური, უაღრესად დახვეწილი ხელოვნება საოცარი ძალით იზიდავს დამწყვეტ მხატვარს.

სწორედ ჯანბელინისაგან აითვისა ტიციანმა მიდრეკილება ტონალური ფერწერისადმი, პეიზაჟის ემოციური შეგრძნება, რაც განხორციელდა და უმაღლეს საფეხურზე ავიდა ჯორჯონეს ტილოებში.

სწორედ ჯორჯონეში ხედავდა ტიციანი მასწავლებლის იდეალს და მივიდა კიდევ მასთან. ამ ბრწყინვალე მხატვრისა და უაღრესად განათლებული ადამიანის სახელისონიმი დაკყო ტიციანმა სამი წელი, ახალგაზრდა მასწავლებლის უფრო სიკვდილამდე. სულ სამი წელი მუშაობდა ტიციანი ჯორჯო დი კასტელფრანკოს გვერდით და ეს იყო მისი, როგორც ფერმწერის, ჩამოყალიბების ყველაზე მნიშვნელოვანი წლები. ტიციანმა დრამა შეითვისა ჯორჯონეს სწავლება და აღტაცებით ეზიარა მის ჯადოსნურ სამყაროს.

ჯორჯონემ გააგრძელა და განავითარა ჯოვანი ბელინის კოლორისტული ტრადიციები. მისი ტილოების ფერადონება განსაკუთრებული სიზოზობით და ინტენსივობით ხსიათდება. ამასთანავე, სრულიად განსაკუთრებელია მის მიერ ყოველი ფერის ემოციური განცდა, მათი ოსტატური შერჩევა, ყოველი ტონის მუსიკალური ელემენტობა. ტყუილად ხომ არ იყო ნათქვამი, რომ „ვენეციური ფერწერა პარმონიულ მელოდიას ჰკავს, იგი მოქმედებს არა მარტო თვალზე, არამედ გრძნობებზეც“. ყველაზე მეტად ეს ჯორჯონეს ეხება, მხატვარს, რომელმაც შესძლო გადმოეცა მზის შუქით გაელენილი ჰაერი, რომელიც ცვლიდა ფერის სიძლიერეს ჰაეროვანი გარემოს ზეგავლენით.

ასეთი მხატვრის გვერდით გამოიკვეთა ტიციანის ფერწერული ნიჭი; არსებითად, მისგან შეითვისა ახალი ფერწერული ხედავ, სამყაროს შეგრძნებისა და საგნობრივი გარემოს ასახვის განსაკუთრებული გზა. შემთხვევითი არ არის, რომ ტიციანის სახელი პირველად სწორედ ჯორჯონესთან ერთად არის მოხსენებული: 1508 წელს ოცდაათი წლის სახელგანთქმულმა ვენეციელმა მხატვარმა ჯორჯონემ და მისმა მოწაფემ, ჭაბუკმა ტიციან ვენეცილიმ შეამკეს მხატვრობით გერმანელთა ფუნდუკის — ფონდაკო დეი ტელესკია ფასადი.

ტიციანისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია ჯორჯონესთან გატარებულ წლებს. ჯორჯონეს გვიანდელ ნამუშევრებში მკაფიოდ გამოიკვეთა მის ფერწერული ხერხები, წერის მისწრაფა, რომლებიც ასე აახლოვენ ამ ორ მხატვარს და ხშირად ჭაბუკებზე მათი ნაწარმოებების გამიჯვნას. ორი მხატვრის ასეთმა სიახლოვემ შექმნა სირთულე

ნაწარმოებებთა იდენტიფიკაციაში და ხშირად მხედრება გვიანი ჯორჯონეს გარეგა ადრეული ტიციანისაგან.

ორივე მხატვრისთვის დამახასიათებელია ნახატისა და ფერის სრული შერწყმა. ორივესთვის მთავარი იყო მუშაობა ფუნჯით, ამიტომ იყო, რომ ვაზარი სავანგებოდ აღნიშნავდა ტიციანისთვის ჩვეულ ფერწერულ ტექნიკას, რომელიც თითქმის სრულიად გამორიცხავდა წინასწარი ესკიზებისა და მოსამზადებელი ნახატების აუცილებლობას.

ტიციანის ხელოვნება, მისი ფერწერული ნიჭი ჩაისახა და განვითარდა ვენეციაში, იტალიური რენესანსის გვიანდელ კერაში. მისი შემოქმედება — ვენეციური კულტურის ერთ-ერთი მკაფიო და დამახასიათებელი გამოვლინებაა, ვენეციაში ჰუმანისტური იდეალების ყველაზე ნათელი და სრული განსახიერება. ამავე დროს, ტიციანის ხელოვნება იტალიური რენესანსის უკანასკნელი და აკურდენია. მისმა შემოქმედებამ მოიცვა ტრაგიკული და უაღრესად მრავალფეროვანი XVII საუკუნის სამი მეოთხედი; იგი იტალიური კულტურის უდიდესი აღმავლობისა და მისი დაცემის მომწერე იყო, მაგრამ ეპოქის ქარტეხილებმა ვერ შეასუსტეს მისი სიყვარული სიცოცხლისადაც, ვერ ათქმევინეს უარი სამყაროს მშვენიერებით ტკბობაზე. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იგი რენესანსის ტიტანად დარჩა.

ვენეციას თავისი საკუთარი განუმორბელებლი სახე ჰქონდა. თვით ქალაქის სახეიშო, ბრწყინვალე ხასიათი დაღს ასვამდა მის მკვიდრთა ხასიათსა და განწყობილებას. ცხოვრება იქ მუდმივ დღესასწაულს ჰგავდა: ბრწყინვალე პალატები — ვენეციელ დიდებულთა სასახლეები — პალატო აენარო, ვენდრამინ კალერჯი, კა დ'ორო, კორენერი. თეთრი მარმარილოს ელვარება, მოზაიკით მოპირკეთებული ფასადები, ფერადი მარმარილოს ინკრუსტაცია; ქალაქის ელვარება ათევედებოდა, რადგან რეალურ ქალაქს ემატება ურიცხვი არხის მომწვანო-ლურჯ სარკვებში არეკლილი მთორე ილუზორული ქალაქი: პიაცეტა — მუდამ ხალხით აღსავსე, მრავალხმიანი, ტრეული, მხიარული, წმინდა მარკოზის ვერცხლისფერი გუმბათი რომ აგვირგვინებს. მაღალი სასახლეების ჩრდილში მომწყვდეული ვიწრო არხები, პატარა კუზინაი ხიდების ქვეშ შავი გედებივით მოსრიალვ გონდოლებით.

განსაცვიფრებელია ვენეციის ფერადობება; ფერთა ნამდვილი დღესასწაული, უაღრესად ცხოველბატული არქიტექტურა, რომელიც თითქმის ფერადოვან ლაქებზეა აგებული. ქალაქის ბრწყინვალეობას ემატებოდა ვენეციელი პატრიციების ფუფუნებით აღსავსე ცხოვრება, ქალაქის ქუჩებში გამოსული დოჯებისა და სენატორების სახეიშო მსვლელობანი, რელიგიური პროცესიები. მხოლოდ აქ, ვენეციაში ხდება გასაგები, თუ რატომ მაინც და მაინც აქ ქალაქში უნდა წარმოიზობილიყო ვენეციელ ფერმწერთა უბადლო კოლორიტი,



ღვთისმშობლის ამალბება. (გასუნტა).

ცეცხლოვანი, ელვრადი, საზეიმო ფერწერა. სწორედ აქ, ვენეციაში ხდება გასაგები, რამ განაპირობა ბელონის ოჯახის მატატარია, ჯორჯონესა და ტიციანის ხელოვნების თავისებურება.

ტიციანის შემოქმედება ვენეციის ჰუმანისტური იდეალების ყველაზე ნათელი და სრული განსახიერებაა. ვენეციის რესპუბლიკის განსაკუთრებული ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გამო, აღორძინების იდეალები მტკიცედ იკიდებენ აქ ფეხს და დიდი ხნით განსაზღვრავენ მისი კულტურის განვითარებას. ვენეცია შექმნა რენესანსის საკუთარი, განუმეორებელი სახე, რეალური ცხოვრების განსხვავებული აღქმით. ტიციანის მასწავლებლების ჯოვანი ბელონისა და ჯორჯონეს ხელოვნება წარმოადგენდა ადრეული რენესანსიდან მაღალი რენესანსისკენ გადასვლას. თვით ტიციანი კი უკვე მაღალი რენესანსის ხელოვნებას ეკუთვნის.

შემოქმედებითი გზის დასაწყისში ტიციანი თავისი მასწავლებლების ჯანბელონისა და ჯორჯონეს ძლიერ გავლენას განიცდის. მაგრამ ისეთი დიდი და თავისთავად შემოქმედს, როგორც ტიციანია, არ შეეძლო დიდხანს ყოფილიყო ვინმეს შემოქმედების ქვეშ. მისი მწვეფარე ტემპერამენტი, სამყაროს თავისებური შეგრძნება განსხვავებულ მხატვრულ გზეხს მოითხოვდა. მძაფრი ემოციებით, უსაზღვრო ენერჯია დიაბეტურაღრუად განსხვავდებოდა ჯორჯონეს შვიდი, ინტიმური, ოცნებით აღსავსე ხელოვნებისაგან. იმ სურათებშიც კი, სადაც ჯერ კიდევ ჯორჯონესული განწყობილება სუფევს, დახვეწილი და ნატიფი გრაზობების ჩარჩოში შემოიჭრება მძლავრი განცდა, განსაკუთრებული პათეტიკა. თავისი ტალანტის ბასიათით ტიციანი უკვე სხვა სამყაროს ეკუთვნოდა — იგი მაღალი რენესანსის ნამდვილი პირმოყოფი.

ტიციანისათვის პადუაში გატარებულ დროს უკვალოდ არ ჩაუვლია. 1511 წელს იგი ჩადის პადუაში. იქ ეზიარება იგი რენესანსული ფერწერის ფუძემდებლის, დიდი ფლორენციელის ჯოტოსა და პადუაელი დიდოსტატის, მანტენიას ხელოვნებას. პადუაში, სკუოლა და სანტომი შეასრულა ტიციანმა სამი ფრესკა, სადაც პირველად სცადა თავისი ძალა მონუმენტურ ხელოვნებაში. თუმცა ამ ადრეულ მოხატულობაში ბევრი რამ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, დაუსრულებელია, ტიციანს მასში შეაქვს ვენეციელისათვის ჩვეული კონკრეტულობა, ცხოვრებისეულობა. რელიგიური სცენა ისტორიული თხრობის კონკრეტულობას იღებს. პადუის ფრესკებში ტიციანმა უკვე გამოამჟღავნა გარკვეული მიდრეკილება პორტრეტისადმი.

ვაზარის გადმოცემით, ტიციანის ადრეული პორტრეტები ახლთა ჯორჯონეს ხელოვნებასთან. არაკითარი განცდა, მწუხარება არ აღულებს მის პერსონაჟებს. არ იცნობს ძლიერ განცდებსა და სულიერ მიღწევარებას თვით მხატვარიც. მშობ-

ლიური ვენეციის მსგავსად ტიციანის ცხოვრებაც დღესასწაულია, რომელსაც იგი გადმოსცემს ნათელი, კამეკამა ფერების ელვრადიანი, საზეიმო განწყობილებით.

ტიციანი იშვიათი ბუნების ადამიანი იყო, სი-ცოცხლის ოვერჟული აღსავსე, მხიარული, გულ-ღია, მისი ცხოვრება თავიდანვე ბედნიერად წარმართა. მას არ აკლდა აღიარება და დადასტავა, მის შემეკვეთთა შორის იყვნენ მეფეები და პაპები, დოქტორები და პერსონები. მისი სახელი იმდენად იყო განთქმული, რომ ჯოვანი ბელონის გარდაცვალების შემდეგ (1516 წელს) იგი აირჩიეს ვენეციის რესპუბლიკის ოფიციალურ მხატვრად და ეს თანამდებობა მას ბოლომდე შეერჩა. XVI საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისთვის ტიციანი ვენეციური ფერწერული სკოლის აღიარებული მამამთავარია.

ამ ადრეულ პერიოდში შექმნილი ბრწყინვალე ფერწერული ტილო „სუევიცი და მიციორი სიყვარული“. ამ სურათის სიუჟეტი დღესაც კამათს იწვევს. მაგრამ რა მითოლოგიური ან ლიტერატურული წყაროც არ უნდა დადებოდა მას საფუძვლად, მთავარი ისაა, რომ ტიციანმა აქ შექმნა მშვენიერების აღსავსე, დიდებული ფერწერული სამყარო. თუმცა ამ სურათში მხატვარი ჯერ კიდევ არ იყენებს ფერს ისეთი სრული დატვირთვითა და ემოციურად მგზნებარებით, როგორც მომდევნო პერიოდში, მაგრამ ფერი აქ უკვე გარკვეულ სიღრმეს იძენს. იგი ჯერ კიდევ ნატიფი, ფრთხილი მონასმებით ფარავს ტილოს ზედაპირს, ფერს ჯერ კიდევ ამ დაუკარგავს ლიკალობა, მაგრამ ცალკეული ფერადოვანი ლაქები უკვე ისტატურად ეთითანდება ერთ პარზონულ ტონალობად. ეს თითქმის ადამიანის მშვენიერების დიდებაა, ოცნება ბუნებასთან მის სრულყოფილ შეწყვეტაზე, თავისებური თავჯანსიყვება ქალის სხეულის მარადიული სილამაზისა.

ამ პერიოდში უკვე ყალიბდება ტიციანის მძლავრი ფერწერული ტალანტი, თავისუფალი ყოველგვარი ზეგავლენისაგან, მაღალი რენესანსის იდეებით შთაგონებული.

ვენეციის ბევრი კუთხე, ბევრი ტაძარი და სასახლე დაკავშირებული ტიციანის სახელთან. მაგრამ ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ნიკოლო პოზანოს ვეგემით აგებული ეკლესია სანტა მარია გლორიოზა დე ფორაი — ქალაქის თავისებური პანიონი. აქ კპოვებდნენ უკანასკნელ განსასვენებელს ვენეციის დოგები, ქალაქის დიდებულები. აქა დაკრძალული თვით ტიციანი. ტაძარში შემსვლელზე უდიდესი ძალით მოქმედებს ზეფიოტენ მისწრაფებული, მძლავრი რიტმით ატყორცნილი ინტერიერი. სწორედ ამ ინტერიერში, თავისებური არქიტექტურით შექმნილი ჩარჩოში მოთავსებული ტიციანის გასაცხარი სურათი „ასუნტა“ („დღათისმშობლის ამალეობა“). ეს კოლოსალური სურათი (სიმაღლე — 6.90 მ., სიგანე — 3.60 მ.) ფრანცისკანელი ბერების შე-

ვეითი იყო შექმნილი საგანგებოდ ამ ინტერიერისათვის. მხატვარს უთუოდ გათვალისწინებული ექნებოდა სურათის მდებარეობა ეკლესიაში, რადგან იგი უცნაურის ძალით ახდენს ზემოქმედებას სწორედ მისთვის განკუთვნილ ადგილზე. იგი იმ-ვითი მაგალითია სურათის საოცარი ჰარმონიისა გარემოსთან, რაც ათუგეხებს მის გამომსახველუ-ბას.

შორიდანვე გიზიდავთ სურათის ფერადოვნება — ოქროსფერი თითქოს სურათის სიღრმეიდან ვფინება საკურთხეველს. უცნაური ძალით გიპყრობთ მუქი წითელი სამოსელით ვირტუოზულად დრამატიკული მარიამის ფიგურა, ანგელოზთა გუჟღით შემოხვეული. რადენი განცდა, რა სუ-ლიერი სიღრმეა ამ მშვენიერ სახეში. გავიწყდებ-ათ, რომ თქვენს წინაშე რელიგიური სურათაა და აღიქვამთ მას, უწინარეს ყოვლისა, როგორც ადამიანის წმინდა გრძობათა, საუკეთესო მისწ-რაფებათა სადიდებელ ჰიმნს, რადგანაც მარიამის სახეში, სურათის ქვედა რეგისტრში მოთავსებუ-ლი მოციქულების ფიგურებში ხედავთ ჩვეულებ-რივ ადამიანთა გრძნობებსა და განცდებს. ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს ტიციანის ეს დიდებუ-ლი ქმნილება, მას არასდროს დაავიწყდება ღრმა განცდით აღბეჭდილი მოციქულთა სახეები, მათი დაძაბული მოძრაობები, რომელნიც ადამიანური ემოციების გამოვლენის სხვადასხვა სტადიასა და სხვადასხვა ხარისხს გადმოგვცემენ. ყოველი მათ-განი — განსაკუთრებული ხასიათია, ყოველი მათ-განი — დაუვიწყარი ადამიანური ემოცია: წინა პლანზე — ახალგაზრდა მოციქულის ზეაწეული მგზვნებარე სახე, შინაგანი ცეცხლით ათეულები; ზურგით მდგომი წითელმოსასხამიანი მოციქული, რომლის დინამიური, იმპულსური მოძრაობა, იმე-დით აპყრობილი კუნთოვანი მძლავრი ხელი წარ-მართავს თქვენს ყურადღებას მარიამისაკენ; წვე-როსანი მოციქულის (მარჯენი) დამახასიათებელი პროფილი, რომელზეც ნათლად იკითხება ის გრძნობები, მძლავრად რომ უბიძგეს მას წინ.

დაძაბული, ექსპრესიული კომპოზიცია მყარ კლასიკურ, რენესანსულ წყობაზეა დამყარებული; გრძნობათა ჰარიზმული მკაცრად აგებულ კომ-პოზიციურ ჩარჩოშია ჩაყვტილი. კონტრასტი მკვეთრად გამოყოფილ ნაწილებსა და ამ ნაწილ-ების მჩქეფარე დინამიკას შორის განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს სურათს.

ამ სურათის ღრმა აზრის გამოსაკვეთად უდი-დესი ძალითაა გამოყენებული ფერი, რომელიც გამოთქვამს კომპოზიციაში მთავარს, ფერადოვანი ლაქების განაწილებას ქმნის სურათის დინამიკასა და წონასწორობას.

„ასუნტაში“ მოელის ძალით გამოჩნდა ტიცი-ანის ფერწერული და კომპოზიციური ნიჭი. სუ-რათმა გამოაჩენებელი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე, რადგან ეს იყო სრულიად ახ-ალი სიტყვა ფერწერულ ხელოვნებაში, ახლებე-უ-

რი მიდგომა რელიგიური ფერწერისადმი. ტიცი-ანის ეს სურათი იმდენად უჩვეულო იყო თანა-მედროვეთათვის, რომ მისმა შექმნომმა ბერებმა იგი თავდაპირველად მკრეხლობადაც კი ჩათვა-ლეს.

ღე ფრანის ეკლესიისათვის არის შესრულე-ბული, ეპისკოპოს ჯაკოპო პეზაროს ოჯახის შეკ-ვეით, საკურთხეველის სურათი „პეზაროს მადო-ნა“ (1515-1526 წ.), რომელიც ღირსეულ მეტო-ქეობას უწევს „ასუნტას“. დიდებული მონუმენ-ტური კომპოზიცია (4,78X2,68) მძლავრ რიტმ-ზეა აგებული, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ფერადოვანი ლაქების განლაგებას და მათ ურთიერთდაკავშირებას. კომპოზიციის ცენტ-რი — მარიამი ჩვილით — სურათის მარჯვენა



კაენი და აბელი

მხარეს არის გაწეული და მრავალფიგურიანი სუ-რათის სტრუქტურა ამ აზრობრივი ცენტრის გათ-ვალისწინებით არის აგებული. უდადესი ოსტატო-ბითაა გამოყენებული არქიტექტურა — ორი გრანდიოზული სვეტი არღვევს სურათის ჩარჩოს და ზევითაა ატყორცნილი. სვეტების მასშტაბე-ბი თითქოს სახს უსვამს სურათის დედააზრს, ჩვე-ულებრივ, თითქმის ფანრულ სურათს განსაკუთ-რებულ გამომსახველობასა და მასშტაბურობას ანიჭებს.

აქვე, ღე ფრანის ეკლესიაშია ბელინის ერთ-ერთი „მადონა“, ლირიზმითა და სიმშვიდით აღ-



სასვე, უნაწესი ფერწერული ნიუანსებით შესრულებული. და, მასთან შედარებით, ბელნის მოწაფის მძლავრი, დიდებულო ფერწერული სახეები, ღრმა ემოციებით აღბეჭდილი, უკვე სრულიად სხვა სამყაროსა და სხვა მსოფლმხედველობაზე მეტყველებენ.

„პეტაროს მაღინაში“ ყურადღებას იქცევს სურათში ჩართული ვაგუფი — პეტაროს ოჯახის წევრები; რენესანსული პორტრეტის საუკეთესო ტრადიციებია განხორციელებული ამ სახეებში. ადამიანის ხასიათის გახსნა, მისი სულიერი სამყაროს გადმოცემა ხორციელდება ტიციანთან ფერისა და ტონის უნატიფესი ნიუანსირებით. ინტერესი ადამიანისადმი, მისი განუმეორებელი პიროვნული თვისებებისადმი ტიციანს ახასიათებდა შემოქმედების მთელ მანძილზე. ამით აიხსნება პორტრეტების დიდი რაოდენობა მის შემოქმედებაში, რასაც ხელს უწყობდა ვენეციის ფეოდალური მხატვრის წოდებაც.

ადამიანის ფსიქოლოგური დახასიათებისადმი ინტერესი გამოვლინდა ფერარის ჰერკოლის ალფონსო დ' ესტესთვის შექმნილ სურათში „კეისრის დინარა“ (1516 წ.). რელიგიური სიუჟეტი აქ მხოლოდ საბაბია ადამიანურ ხასიათთა დრამატული დაპირისპირებისათვის. სურათი გარეგნულად მშვიდი და აუღელვებელია, მაგრამ რა შინაგანი დაძაბულობა კონტრასტებზე აგებულ ამ მონუმენტურ კომპოზიციაში: ქრისტეს დიდებული ფიგურა, შექმნილი კაშკაშა წითელი და ლურჯი ლაქების მძლავრი მოდერლებით, შექმნილით ოსტატური ძერწვით. და ფარისკვლის მდებარე, უხეში სახე; ქრისტეს ნატფი ხელთა კეთილშობილებით აღსასვე ქესტი და წინა პლანზე გამოტანილი ფარისკვლის მუხზე დამწვარი, დაკოვრილი ხელი. ორი პერსონაჟი — ორი სამყარო.

ტიციანის პორტრეტები მხატვრის ოსტატობა-სა და განსაკუთრებულ ფერწერული ხედვის რთულ ევოლუციას გვიჩვენებენ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ტიციანისეული პორტრეტები XVI საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში. ამ პერიოდის პორტრეტებში ტიციანი სრულყოფს თავისი ფერწერის იმ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რომელნიც ასე მკაფიოდ გამოიკვეთა 20-იანი წლების პორტრეტებში: კეთილშობილება ფერთა შერევაში, კომპოზიციური ოსტატობა, შინაგანი განცდის გადმოცემა, დახვეწილი კოლორეტი („ჭუბუკი ხელთათმანით“, „უენობი მაშაკაის პორტრეტი“ — ლუკრი, „ვიზინცო მონტის პორტრეტი“ — ფლორენცია, პიტის გალერეა).

გაღრმავდა ხასიათთა გახსნა, გამდიდრდა პალიტრა, დაიხვეწა ფერწერული მეტყველება, გაიზარდა შინაგანი დაძაბულობა. განსაკუთრებით მახვილი გახდა მხატვრის თვალი. და მისი პორტრეტები, რომლებზეც უპირატესად უკვდავყოფილი არიან ძლიერმა აქ ქვეყნისანი, ისტორიული

საბუთების ძეგრადობას იძენენ. იმათ შორის, ვისაც ხატავდა ტიციანი, იყვნენ: პაპი პავლე ფარნეზე, იმპერატორი კარლუს V, მისი ვაჟი ფილიპე II, კარდინალი გრანველა, პიერ ლუიჯი ფარნეზე, ტიციანის მეგობრები — ცნობილი ენეციელი მწერალი და ჰუმანიზმის არტეინო, ისტორიკოსი ბენედეტო ვარკი.

პიეტრო არტეინოს პორტრეტში უდიდესი ძალითაა გახსნილი რენესანსის ეპოქის მეტად კოლორიტული ადამიანის რეალიზმი. ტიციანის უახლოესი მეგობარი და მრეწველი, ვენეციის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი, სახელმძღვანელო დამატურე პიეტრო არტეინო იმითაც არის „ცნობილი“, რომ სწორედ მან მიავლია მას, რომ მიქელანჯელოს „განიტხვის დღე“ სისტემს კაბელში დამახინჯვებით ეკლუპოსის მსახურთ. ოდესღაც მიქელანჯელოს კეთილმუნარეული და მეგობარი, იგი მის უპირობეს შტრად იქცა. ეს მეტად თავისებური, ძლიერი პიროვნება მთელი თავისი სილიადი ჩანს ტიციანის პორტრეტზე. პორტრეტი თითქოს ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი. მასიური მონუმენტური ფიგურა მძლავრად ავსებს სურათის სინტაქსს, მომუხანო-მოწითალო-ისფერი ტონების ციმციმს პორტრეტის ზედაპირს განსაკუთრებულ მითროლოკარებას და სიცოცხლეს ანიჭებს. თავის მოზრუნებაში, გამოხედვაში დაუოკებელი ენერჯია ჩანს. პიეტრო არტეინოს სახეში მთელი მისი ბიოგრაფია იკვირება.

ტიციანის პორტრეტული ხელოვნების უდიდესად მნიშვნელოვანი ნიმუშია პაპის პავლე III-ისა და მისი მდილმეოლების ალესანდრო და ოტავიანო ფარნეზუს ვაგუფური პორტრეტი (1545-1546 წწ. კაპოდომონტეს მუზეუმი). პაპის მიერ შეკვეთილი პარადული სურათი მხატვრამ და ისტორიულ ტილოდ აქცია. კომპოზიცია უჩვეულო და უაღრესად თამბია. მაყურებლის თვალწინ თითქოს შუასაუკუნეების ფოლკლორი იტალიის რომილადუ ტრავადის ფერცული იშლება. მოხუცებული პაპის კუთხოვანი დაძაბული მოძრაობა, პატივმოყვარე ოტავიანოს რბილი, შემპარავი მიზმობა, კარდინალის ალესანდრო ფარნეზუს მდიდრული გულგრილობა — აქ განწყობილება და ხასიათთა უსასრულო ნიუანსებია გადმოცემული. მთავარი ამ უნიკალურ კომპოზიციაში მაინც ფერია, როგორც ფსიქოლოგურია დახასიათების ძირითადი საშუალება.

ამ პერიოდის პორტრეტებისათვის დამახასიათებელია გაგაღებულ ფერწერულობა, დაძაბულობა და დრამატუზმი. „კარდინალი იპოლიტო მედიჩი“ (1533 წ. პიტის გალერეა, ფლორენცია) — ენერჯიული, წინააღმდეგობათა დაძლევას მიჩვეული ადამიანის მკაცრი, დაუნდობელი ხასიათი. ამ პორტრეტშიც, ამ პერიოდის სხვა პორტრეტების მსგავსად, ერთი მძლავრი ფერადოვანი აქცენტია გამოკვეთილი, რომელსაც ექვემდებარება

სურათის ტონალობა. დომინანტობს ლილის-ფერი დაძაბული გამა.

ტიციანისეული პორტრეტებიდან განსაკუთრებული ძალითა და კეთილშობილებით გამოირჩევა ფერარის იურისტის იპოლიტო რომინალდის პორტრეტი (1510 წ. პიტის გალერეა, ფლორენცია), აგებული ფარულ კონტრასტებზე. ოდნავ ასექტური, გამხდარი სახე შინაგან ვნებათა ლეღვასა და უდიდეს ფსიქოლოგიურ დაძაბულობას ამჟღავნებს. მწვანე თვალების ცივ, მკაცრ გამოხედვაში შეკავებული ძალა იგრძნობა. მარტვიან იპოლიტო რომინალდის პორტრეტი, მაგრამ ამ სიმარტივეში უდიდესი სირთულეა. ტიციანი ახალგაზრდა კაცის სახეს წერს თავისუფალი, მოციმციმე მონაამებით, ხან გამკვივრალე და ხან სქალად დადებულ ლაქებით. ასეთი ტექნიკით იგი სახეს სიცოცხლის სუნთქვას ანიჭებს. არცერთი მკაფიო სახე, არცერთი მკვეთრი დეტალი. ამ პორტრეტზე დაკვირვებისას გასაკვირ ხდება, თუ რატომ მოჰყავდა ალტაცებამი ტიციანის ნახელავს მისი თანამედროვენი, გასაკვირ ხდება, თუ რა ჰქონდა მხედველობაში დოღჩეს, როდესაც წერდა: „ტიციანი ერიდება თავის სურათებში უსარგებლო დეტალებს და მხოლოდ კოლორიტის შესანიშნავ ფლობას გვიჩვენებს. მის სურათებში არ არის არავითარი შეღამაზება, მხოლოდ ოსტატის სერიოზუ-

ლობა იგრძნობა. მის სურათებში შუკი მეტოქეობს ჩრდილთან, ნათელი ელემენტება ჩრდილებს. სინათლე იცვლება და ქრება მის სურათებში, მსგავსად იმისა, როგორც ეს თვით ბუნებაში ხდება“.

ხელოვნებათმცოდნეები ძალიან ხშირად პარალელს ავლებენ იპოლიტო რომინალდისა და შექსპირის კამლეტს შორის. შექსპირის მოსენიება ტიციანის გვერდით შეთხვევითი როდია, მათ აერთიანებთ ეპოქა — მაღალი რენესანსის იდეალების რღვევის დასაწყისი, ჰუმანისტური იდეების ტრაგიკული კონფლიქტი სოციალურ სისტემასთან, მათ აერთიანებთ ღრმა ჩაწვდომა თავისი ეპოქის არსში და მისი სრულყოფილი ასახვა. რენესანსის ამ ორი გიგანტის სახელთა დაკავშირება ხშირად გვხვდება მკვლევართან.

პორტრეტი — ორმოციან წლებში ტიციანის შემოქმედების მთავარი თემაა, მთავარი პრობლემა — პიროვნების ხასიათის გახსნა. ეს არის მისი კოლორიზმის აყვავებისა და თავისებური გარდაქმნის პერიოდი. ყოველი პორტრეტი უნიკალურია თავისი ფერადოვნებით, ყველაფერი აგებულია ტონის უნატიფეს ნიუანსებზე ყოველი პორტრეტისათვის იგი არჩევს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფერს, რომლის საშუალებითაც უფრო სრულყოფილად ხსნის ადამიანის ხასიათს.

ტიციანის შემოქმედებაში რელიგიურ სურათებ-



კიოსის დინარო.
ფელერეკო დი სასონიას პორტრეტი.
ფრაგმენტი.
იპოლიტო რომინალდის პორტრეტი. ფრაგმენტი.



თან და პორტრეტებთან ერთად დიდი ადგილი უკავია მითოლოგიურ სურათებს. ამგვარი სურათების ბრწყინვალე სერია შეასრულა ტიციანმა ალფონსო დ'ესტეს შევევით; ისინი განკუთვნილი იყო პერციოსის სამუშაო ოთახების შესამკობად („ვენერას დღესასწაული“, „პაქოსი და არიადონა“ „ბაკქანალია“). ანტიკური თემა ტიციანთან თავისებურადაა გახსნილი. ანტიკურ სიუჟეტებში — სიციცილის, ბუნების დღესასწაულია, ფერთა საზეიმო ელვაკრება.

რენესანსის სხვა ოსტატებისგან განსხვავებით, ტიციანი უადრესად თავისუფლად იყენებს ანტიკურ მოტივებს, ანტიკურობა მისთვის ახლობელი და გასაგებია სულიერი პარამონით. შინაგანი თავისუფლებით, ცხოვრების მშვენიერების განდიდებით. იგი ჩაწვდა ელინური ხელოვნების სულს. თუმცა რენესანსის სხვა მხატვრებისაგან განსხვავებით მას არასდროს შეუსწავლია საკანკებოდ ანტიკური ქანდაკებები და რელიეფები.

ურბინოს პერციოსისთვის, ფრანკესკო დელა როვერესთვის შეასრულა ტიციანმა ერთ-ერთი უმშვენიერესი სურათი — „უროზინოს ვენერა“, შთაგონებული ჯორჯონეს „მძინარე ვენერას“ კომპოზიციით. მითოლოგიური ჭალმერთის ნაცვლად ტიციანი გამოსახავს მშვენიერებით აღსავსე ოქროსთმიან ვენეციელ ქალს; ანტიკური სიუ-

ჟეტ ვანრულ სურათად იქცევა. მკაცრად ატყუვლ კლასიკურ კომპოზიციამ პორზონიტალებისა და ვენერტიკალების მწეობრი მონაცვლები კმის ბრწყინვალე ჩარჩოს მშვენიერი ქალის ფიგურისათვის. ქალის ვარდისფერი სადაფისებრი სხეულის ნატივ ხაზები მუსიკალური აკორდებით ჟღერს ფარდის თბილი სიმწვანისა და მწუშული ხავერდის ფონზე. ოთახის სივრცე უშუალოა და პაერიტაა სავსე. ამ სურათში ტიციანის პალატა უკიდურესად დაემშველი და თამშვევებელია.

გადილა დრო... იტალიაზე გადავლილი ქართველები ვენეციასაც შეიხი. რენესანსული კულტურის კრიზისის გამომახილი ჯაც გამისმა. მავრამ ეს ბრწყინვალე ქალაქი კიდევ დიდხანს არ კარგავს მსოფლიო ქალაქის მნიშვნელობას, თუმცა მისი სული. მისი სასათი მინც შეიცვალა. ქვეყნის მწიღებდობამ ვენეციურ ხელოვნებასაც დააჩნია თავისი კვალი. უშფოთველ, ბედნიერ ცხოვრებას რთულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა ერთგვარად იერი შეუცვალეს. ვენეციელებიც ჩაწვდნენ ცხოვრების ჩრდილოვან მხარებებს და მათი ხელოვნება თანდთან უფრო მჭერჭელობითი და ემოციური ხდება.

ეს ახალი განწყობილება ტიციანსავე დაუვიღა. საუკუნის შუახანისთვის მხატვარმა მეფიდე ათეულს გადააბოჯა, მაგრამ ეს მისთვის მხოლოდ ახალი ამოცანებისა და ახალი მიზნების განხორციელებისათვის შრომის ახალი ეტაპია. ამ დროს მის ნაწარმოებებში ახალი ძალით ჩნდება ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი ბევრი მოტივი და ამასთანავე ახალი განწყობილებები და ტენდენციები. განსაკუთრებით მძაფრდება მისი ფერწერის ფსიქოლოგიური სიღრმე, მატკლობს ფერის ემოციური ძალა. ეს იყო ტიციანის ოსტატობის საოცარი მომძლავრების ხანა. მისი ხელოვნება თითქოს ახალ ხარისხში გადადის.

ამ პერიოდის საუკეთესო ნამუშევრებს ტიციანი ქმნის არა შეკვეთით, არამედ თავისთვის; იგი თითქოს ცდილობს ტილოზე აღბეჭდოს ყოველივე ის, რაც კი დაუგროვდა მრავალწლიანი შემოქმედების გზაზე. იგი მუშაობს ფანატკური გატაცებით. საკვირვლია მოხუცი მხატვრის ენერჯა, ჭალანტის სიმძლავრე, მისი ფუნჯი ვირტუოზული ოსტატობით ქმნის შედევრებს.

ტიციანს განსაკუთრებული ძალით იზიდავს მითოლოგიური სიუჟეტები („დანაია“ — 1554 წ., „ვენერა და ადონისი“ — 1554 წ., „პერსესი და ანდრომიდა“ — 1555 წ., „ვენერა სარკისთან“ — 1555 წ.). ამ სურათებში მხატვარი განადიდებს ბუნების უმშვენიერეს ქმნილებას — ქალის სხეულს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ მითოლოგიურ სურათებს იგი „პოზიას“ უწოდებდა. აქ ჩანს მისი დამოკიდებულება თემისადმი, ანტიკური ეპოქის ადამიანის მსგავსად, იგი უთავყანება მშვენიერებას, ტკბება მისით. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის გრწმობა, რომლითაც



შექმნილია ტიციანის ფერწერის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში „ვენერა სარკესთან“⁴. ეს სურათი მხატვრის სასელოსონოში ადრია ბოლომდე, მხატვარმა ვერ გაიმეტა იგი. ამ ტილოში უკვე მთელი სისასით მოჩანს ის ფერწერული ფენოქენი, რომელიც ასე აოცრდა მის თანამედროვეთ. მხატვარს უდიდესი სიფიქსიდა აქვს შეგრძნებელი ყოველი ფერის უნაჭევად გადასვლები, ამასთანავე, იგი ქმნის ფერწერული რელიეფის სრულიად განსაკუთრებულ სახეს, თითქმის პლასტიკურად ძირვას სურათის ზედაპირს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თვით ტილოს ფაქტურას, რომელიც ოსტატურად გამოიყენებოდა ფერწერული ფენის გვერდით.

მითოლოგიურ სურათებში თანდათან ჩნდება ახალი განწყობილება; უმფთიველი, საზეიმო ანტიკური იდილი იცვლება პათეტური, დრამატული სურათებით. ეს ახალი, მიუღვარე მოტივები, უპირველეს ყოვლისა, ფერწერული ხერხეზების საშუალებით ვლინდება. ფერი სრულყოფილად გადმოსცემს მხატვრის ჩანაფიქრს.

შემოქმედების ამ ბოლო პერიოდში ტიციანის ყურადღების ცენტრშია კვლავ ადამიანი, მისი გრძნობები, განცდები. განსაკუთრებით იზიარებს მხატვარს გმირული ხასიათები; რელიგიურ სიუჟეტებშიც კი იგი პეროიკულ თემას ეძებს. ასეთ გმირებად სახავს ტიციანი წმინდანებს, რწმენისთვის წამებულთ. მისი წმინდანები ძლიერი გმირებია, რომელნიც ქედს არ იხიან უხეში ძალის წინაშე. ასეთებია: წმ. ზუსტანე — ისრებით განკმირული გმირი სასჯელ სიმძვინვარე და სულის ძლიერებით. მისი მშვენიერი სახე — თითქმის რენესანსული გმირობის სიმბოლოა; წმ. ლავრენტი, რომლის მთავრი მოძრაობა, დაძაბული პოზა უდაოდეს სიმტიცესა და სულოვ ძალზე შეტყვევებს. ყველა სურათში კომპოზიციის წამყვანი ელემენტი ფერია, იგი განაპირობებს სურათის საერთო ხასიათს, მის ემოციურ წყობას. ყოველი ფერადოვანი ლაქა, ყოველი მონასმი ზუსტად გააზრებული და ლოგიკურია. განსაკუთრებული ძალით შემოიჭრება ტიციანის კომპოზიციებში შუქი — მშვიდი და ნათელი, როდესაც ეს მხატვრული ამოცანით არის გაპირობებული. — მღელვარე და ექსპრესიული, როდესაც მან შინაგანი დაძაბულობის თანხმიერი შუქ-ჩრდილის პარმონია უნდა შექმნას.

პარადოქსულია, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ტიციანის ფერწერული ნიჭი მწვერვალს აღწევს, იგი კარგავს თავის თავყანისმცემლებს, კარგავს შეკვეთებს. რენესანსული იდეალების ერთადერთი მოხუცი მხატვარი XVI საუკუნის მეორე ნახევარში ვეღარ პოუვებს მიმდევრებს, მისი ფანტასტიკური ფერწერული ოსტატობა მის თანამედროვეებზე დაუმთავრებლად შთაბეჭდილებას ტოვებს. გაზარი ბრალად სდებს სახელოვან დიდოსტატს ნახატის დაუდევრობას. მხატვრის ე. წ. „გვიანი მანერა“⁵, რომელმაც წარმოუდგენელი სიმძალეზე

აიყვანა ფერი, მისი მნიშვნელობა, ღრმა შინაგან ლოგიკაზე დაფუძნებული. ფორმას იგი ფერით აგებს. ფორმა, კოლორიტი, ფაქტურა — განუყოფელ მთლიანობადაა შერწყმული.

ვენეციელ მხატვართა ცხოვრების აღწერის კარგო რიდიოღის (XVII ს) თავის წიგნში „ხელოვნების საოცრებანი“ მოტანილი აქვს ტიციანის აზრები ფერწერის ხელოვნებაზე: „ფერწერის თავის ნაწარმოებებში უნდა ცდილობდეს ჩაწვიდეს საკანთა დამახასიათებელ თვისებებს, გადმოსცეს მათი აზრების ნიშნები, გამოსახოს სულიერი მოძრაობა და სრულად დაეკმაყოფილოს მათურებელი.“⁶ „უკვე ღრმად მოხუცებული ტიციანი, — გადმოგვცემს რიდიოღი — სახელგანთქმული აპელესის მსგავსად, არცერთ დღეს არ სტოვებდა ისე, რომ რამე არ გამოესახა ნახშირით ან ცარცით“⁷.

გვიანი ტიციანის ყოველი სურათი — თავისებური სამყაროა, მხატვრის ექსტრაორდინალური ფერწერული ტექნიკით გასულდგმულებული. ოთხმოცი წლის მხატვარი ქმნის სურათებს, რომელნიც ცეცხლოვანი კოლორიტით, ფერადოვანის ფენის უდიდესი დინამიკით გამოირჩევა. მისი სურათების ფერწერული ფენა ფერადოვანი მოხასიებების ქარიშხლისებური ამოფრქვევითაა შექმნილი. ასეთია, მაგალითად, „ტრაკვირეზი და ლუკრეცია“, რომელშიც ანტიკური ლეგენდის გმირები თანამედროვე ადამიანის ტრავმადიას ახასიათებენ. ტიციანის ფერწერული ტექნიკა აქ კულმინაციას აღწევს. ალბათ, ეს სურათიც ჰქონდა მხედველობაში გაზარის, როდესაც ის ახასიათებდა ტიციანის უკანასკნელ ნამუშევრებს და აღნიშნავდა, რომ ისინი „დაწერილია თავისუფალი მანერით და ლაქებით იმგვარად, რომ ახლოდან მათა გარჩევა არ შეიძლება და მხოლოდ შორიდან ჩანან ისინი დასრულებული“. ამ სურათის მოციმცივე, მოძრავი ზედაპირი უცნაური ძალით არის გამოცხლებული. იქმნება შთაბეჭდილება, თითქმის იგი ერთი ამოსუნთქვით არის შექმნილი. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მაცდურია, განაწინ ტიციანის მოწაფის, პალმა უმეროსის წყალობით დღეს კარგადაა ცნობილი ტიციანის გვიანი ფერწერის შექმნის დამახასიათებელი პროცესი. ეს ცნობები შეიმონახულია ვენეციელი მარკო ბოკაჩინის ნაშრომში „ვენეციური ფერწერის მდიდარი საგანძურა“ (1674 წ.): ტიციანი ტილოს ფარავდა საღებავის ფენით, რომელიც მომავალი გამოსახულებისათვის საფუძველს წარმოადგენდა. ასეთ დაფერვას იგი ასრულებდა ხალხის წიოელი ტონით ან თეთრით. იმავე ფუნჯის საშუალებით, თანამიმდევრობით — წითელი, შავი და ყვითელი საღებავის გამოყენებით იგი მოხაზავდა განათებული ნაწილების რელიეფს. ასეთივე უდიდესი ოსტატობით, მხოლოდ ოთხი მონასმით მშვენიერი ფიგურის მოხაზავს ქმნიდა. ჩაუყრიდა რა ამგვარად საფუძველს მომავალ სურათს, იგი მას მიატრიალებდა კედლისკენ და ხშირად თევობით სტოვებდა ისე, რომ

თვალსაც კი არ შეავლებდა; ხოლო, როდესაც ხელ-
მეორედ მოჰკიდებდა მას ხელს, ათავაიერებდა ისეთი
მკაცრი ყურადღებით, თითქმის მის წინაშე
მისი უსასტიკესი მტერი იყო, ათავაიერებდა, რა-
თა დაუნდობლად გაიშურებდა მის ნაკლოვანე-
ბებს. თუკი თანდათან აღმოაჩნდა ნაშენებს,
რომლებიც არ შეესაბამებოდა მის ჩანაფიქრს, იგი
კარგი ქირურგივით უწყალოდ ამოიღებდა ყველა-
ფერს, რაც, მისი აზრით, ხელისშემშლელი იყო.
ამგვარად, თანდათან შექმნიდა მას შესწორება
ფიგურებში, აღწევდა მათ გამოსახვაში იმ უდი-
დეს პარმონიას, რომელსაც ძალუძს გადმოსცეს
ბუნებისა და ხელოვნების მთელი მშვენიერება...
ამგვარად შექმნილ საფუძველს, რომელიც თაი-
ქის ყოველივე არსებობის შერწყმას წარმოადგენ-
და, იგი ხორცს ასხამდა, განმეორებით მოხამე-
ბით მიჰყავდა გამოსახულება იქამდე, რომ მას
მხოლოდ სუნთქვალა აკლდა. იგი არასდროს არ
ხატავდა ფიგურას alla prima (ერთი ხელის
მოსმით), რადგან ამტკიცებდა, რომ იმპროვიზა-
ტორს არ შეუძლია შექმნას სწორად აგებული,
კარგი ლექსი. უკანასკნელ მონასმებს ტიციანი ოი-
თებით ასრულებდა, არბილებდა გადავლებს კაშ-
კაშა გამონათებებიდან ნახევარტონებზე, შეაზელ-
და ერთ ტონს მეორეში. ხანდახან თითითვე დაა-
ტანდა ღრმა ჩრდილს რომელიმე კუთხეში, რათა
გაემლიერებინა ეს ადგილი, ხან კი წითელი ტო-
ნით, როგორც სისხლის წვეთებით, აცოცხლებდა
ფერწერულ ზედაპირს. ამგვარი ხერხებით აღწე-
და იგი თავისი ფიგურების სრულყოფას. სიცოცხ-
ლის ბოლო წლებში, — პალმა უმცროსის თქმით,
— იგი უფრო ხშირად თითებით ხატავდა, ვიდრე
ფეხებით.

ტიციანის ფერწერული ტექნიკა მსოფლიო ხე-
ლოვნების ერთ-ერთი საოცრებაა. მის შემოქმე-
დებით პროცესზე დაკვირვება საშუალებას გაძ-
ლევს ჩავეჭვდეთ მის ჯადოსნურ ფერთა საიდუმ-
ლოებას. ის, რაც ზედმიწევნითი თავისუფლებიანა
და სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ქმნის, სინამდვი-
ლეში ტიტანური შრომის შედეგია.

ტიციანის ფერწერის უკანასკნელი ნიმუშები
(„ველის გვირგვინის დაღმა“ — 1570 წ.) უკი-
დურესად დაძაბული და ექსპრესიულია. მათში
უკვე ტრაგიკული ნოტები გაისმის. ყოველი ტონი
განსაკუთრებულად დაძაბულია, შუქისა და ჩრდი-
ლის მძლავრე მონაცვლეობაში ღრმა სულიერი
ტკივილი გამოკრთის.

თხზომცდათ წელს მიღწეული მხატვარი ქმნის
საკუთარ ძეგლს — ფერწერულ ტილოს „ქრის-
ტეს დატირებას“, რომელიც განკუთვნილი იყო
სანტა მარია დეი ფარის ეკლესიისათვის. სურა-
თი დაუმთავრებელი დარჩა (იგი დაასრულა მის-
მა მოწაფემ პალმა უმცროსმა). შავი ჭირის ეპი-
დემიამ შეიწირა მცხოვანი მხატვარი. ეს მოხდა
1576 წლის 27 აგვისტოს. დაასრულა თავისი ცხო-
ვრების გრძელი და რთული გზა რენესანსის ერთ-
ერთმა უდიდესმა მხატვარმა, სწორუპოვარმა

ფერმწერმა, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო
ვეროპული ფერწერის განვითარებას. არ არსებობს
არც ერთი დიდი მხატვარი, რომელიც რამდენიმე მა-
ინც დავალებული არ იყოს ტიციანის ფერწერი-
საგან. ტიციანის მნიშვნელობა შესანიშნავად დაა-
ხასიათა ეფენ დელაკრუმა: „სწორედ მან შექმნა
მის წინამორბედთა სიხისტისაგან სრულად თა-
ვისუფალი, წერის ფართო მანერა, რომელიც ფერ-
წერის გვირგვინად გვევლინება“. იმდენად სრულ-
ყოფილია ტიციანის ფერწერული ტექნიკა, იმდენად
ვირტოზულია მისი ყოველი მონასმი, ყო-
ველი ფერადოვანი ლაქა, რომ დელაკრუმა მას
მხატვრობას „გამოუხუნობ საოცრებად“ მიიჩნევს.
გავიდა ოთხი საუკუნე ტიციანის გარდაცვალები-
დან, და ამ „საოცრებას“ კვლავ უდიდესი ზემოქ-
მედების ძალა გააჩნია. მხატვართა თაობები იზრ-
დებოდნენ და კვლავაც გაიზარდებინ წმინდა კო-
ლონისტულ საფუძველზე დამყარებულ, რენესან-
სის ამ გიგანტის მიერ შექმნილ ფერწერულ სის-
ტემაზე.

წმ. სებასტიანე. ესკიზი.



ტრაგიკუმლის შრომობრობა კომიკუმრობან

(ტრაგიკომედიის ნანამედიკობი)

L., 1961), რობერტ ბეხტოლდ ჰეილმენის „უცნულს დამტარებელი, ცეცხლის წამიდებელი და ტანჯული ადამიანი ქმედობის ტრაგედია და მელოდრამა თანამედროვე სცენაზე“ (R. B. Heimen, The Icceman, the Arsonist, and the Troubled Agent. Tragedy and Melodrama on the Modern Stage, Seattle, University of Washington Press, 1973).

ამ გამოკვლევების ბათობის გასაგებობა, თუ მხედველობაში გვეყენება ტრაგედიის დიურენმატიკული ოსტრაკიზმი (თანამედროვე თეატრში ტრაგედია ფრიდრიხს დიურენმატის მიერ შექმნილად მინიწეული, ვინაიდან თავად რეალურ სინამდვილეში „უსახო სახე-ღმწიფო მანქანის“ მძივნეარების წინაშე ადამიანის პასუხისმგებლობის გრძობისა და ღირსების საურდენებო აქვს გამოცლილი, რამეთუ ახლა „ანტიგონეს საქმეს კრეონტის ნაცვლად განსჯის კრეონტის მდივანი“) და, განსაკუთრებით, ახსურდისების „გლობალური ტრაგიფარსი“, სადაც ტრაგიკუმლის ბუნებრივი ურთიერთობა კომიკურთან საბოლოოდ დამსხვრევს ტრაგედიას და შემოაკვევს მას „გრანდიოზულ კლოუნადად“.

ტრაგედიის ასეთი გრანდიოზული რქვივის პირისპირ, ჩვენი მზანა სრულიად კონკრეტულია: კომედიასთან კომედიკაცია ავსნაო ტრაგედიის შინაგანი ესთეტიკური ბუნებით და მოვიმარკვრობის დასახებოფობად.

1.

მიუხედავად თეორიული კვლევის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა, ტრაგიკუმლის და ხელოვნებაში მისი გამოკვლენის უველაზე სრულყოფილი, უმადლესი ფორმის, ტრაგედიის არსი ჭედაც არაა ბოლომდე დახსენებელი. მკვლევარები ტრაგიკუმლის თავანთი ფილოსოფიური, ზოგადესთეტიკური კონცეფციების შესახამისა და ამიტომ განხვავებულად განმარტავენ. ბოლო ტრაგედიის საყოველთაოდ მისაღები ისეთი ცნება, რომელიც ამ ურთულეს თეატრალურ ეანრს მთელი სისრულით მოიცავდა, ფაქტურად ჭედაც არ გაავანია.

ტრაგედიის საფუძვლიანი ხანა ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში პირველად არისტოტელემ სცადა. „ძველი მსოფლიოს ჰეგელი“ თავის „პოეტიკაში“ ტრაგედიის შემდეგ ფორმულირებას იძლევა: „ტრაგედია არის ასახვა დიადი და დასრულებული მოქმედებისა, რომელსაც გარკვეული სიღრმე აქვს, — ასახვა შემობოლინით, მისი სხვადასხვა სახეებით ცალ-ცალკე სხვადასხვა ნაწილში, ასახვა მოქმედებით და არა თბრობით, ასახვა, რომელიც შეცოდებისა და შიშის აღმტრის საშუალებით აშგვარ ვნებათაგან განწმენდას აღწევს“.1 ეს განსაზღვრება, რომელიც სარწმუნოდ გამოითერებოდა საუკუნეების მამიწულ და მამწეურობილად იმეორებდნენ არისტოტელეს მომდგრების აღებებში, დღეს უკვე კვლარ დავგამპოყოფილეს. მართლაც „პოეტიკა“ ტრაგედიის ირგვლივ შეიცავს საღივლილად ღრებულ უხე მასალას, გარდაუვალი მრავალმობის ნაწარს, მაგრამ ძნელი არაა დავინახოთ, რომ ტრაგედიის თვად ეს განსაზღვრება ამ ეანრის რაობას ვერ მოწურავს, ტრაგედიის არსი ბოლომდე ვერ განიფორება იმით, რომ ტრაგედია დიადი და დასრულებული მოქმედების ასახვა, ვერც იმით, რომ არის „ასახვა შემოკბილი ენით, მისი სხვადასხვა სახეებით ცალ-ცალკე სხვადასხვა ნაწილში“. ბოლო ფორმულის მეორე მხარე, რომლის დირიგებულბა საუფელთაოადა აღარებული, შეეხება „კოარჩოსს“, ტრაგედიის მიერ განმცდილ სუბექტში გამოწვეულ სულიერ პროცესს და არა თვად ტრაგიკუმლის ფენომენს. ამ ფაქტს ურადებდა უკვე ფენომენოლოგიური ესთეტიკის აღებებში მ. გაიგერმა მიაქცია. კიოხებზე — რა არის ტრაგედია? — არისტოტელე ვკანახებებს, რომ ეს არის ის, რაც იწვევს შიშს, თანაგრძობისა და მათი საშუალებით „აშგვარ ვნებათაგან განწმენდას“. სასხუი, გაიგერის აზრით, დოლოგიკურად გაუმარტებელბა: კიოხებზე — რა არის? — მდებრულია სასხუი, რომელიც შეესახამება კიოხებს: რას იწვევს? თუმცა, ესთეტიკური მსჯელობის წიაღში შესახამობა მარქსმულია და არ არის იყე აშკარა, როგორც, მაგალითად, ფრეიკაში იქნებო-

ვანტანგ ქართველიშვილი

ტრბბმპუმლის ესთეტიკური ფენომენი და ტრაგედია — სათვადტრო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ეანრი — ანტიკური ხანიდან მოყოლებული აშკარბს მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებბას. ტრაგიკუმლზე მსჯელობს წარსულის არაერთი გამოჩინული მზაზროვე.

ტრაგედიისამში ინტერესი არც ამჟამინდელ თეატრალურ სიტუაციაში შენელებულია. თანამედროვე სცენაზე მისი შესაძლებლობის, მოდელირების თუ პერსპექტივის საკითხი სრულიად აქტუალურია როგორც საბჭოთა, ასევე დასავლური თეატრმცოდნეობისათვის.

თანამედროვე დასავლური თეატრალური კრიტიკის დიანტერესება ტრაგედიით, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია იმ კრიზისითაც, რასაც თუ ეანრი რეალურად ვანიცდის მოდერნისტულ ხელოვნებაში. თეატრის ამერიკელი თეორეტიკოსი ფრენსის ფერეიგოსონი აღნიშნავს, რომ თანამედროვე დრამა, უეთეს შემოხვევაში, შემოოგამლევს „ტრაგიკული რიტმის შეკვეცილ ვერსიას“. ტრაგედიის ბედით შემოფოთებას ვამოხატავს აგრეთვე თეატრმცოდნე ზიგფრიდ მელონეგრის „თანამედროვე თეატრი“ (S. Melchinger, Modernes Welttheater, Bremen, 1956), ულიამ მაკკოლუმში „ტრაგედია“ (W. McCollum, Tragedy, NY, 1957), გეორგ სტიუნერის „ტრაგედიის სიკვდილი“ (G. Steiner, The Death of Tragedy,

და კიბვაზე — რა არის ელვა? — ვინმეს რომ ეძახებოდა ეს არის ის, რასაც შეშვთა შეგარბოთს, შეგანზობს, ჩვენ უარსმანოდ ვიძულებო, რომ პასუხს ავღებინათ კიბვას. კიბვაზე თავისი შინა-არსით ფურკას უკუფრის, პასუხი კი უსაქლოვდება. შექსპირის ტრაგედია, გაიგერის თქმით, ის კი არ არის, რასაც იგი მითხველ-სა თუ მაურბერტში იწვევს, სუბიექტის შგემატარებას კი არ ეწოდება ის სახელი, არამედ ობიექტურ ფენომენს, ამ შემთხვევაში მხატვრულ ქმნილებას.²

ტრაგედიის სხვა ატორიტეტულ განმარტებას მოტანავ შეი-ძლებოდა, მაგრამ უმარობის გარნძობას, აღბათ მონც ვერ გავეცევი, როგორც ვერ გავეცემა მას ბერნარ შოუ, როცა ერთ თავის სტატიაში (მას საფუძვლად უდგეს ინსტუციო-პოლიმწ წარმო-ქმობი სიტუა და ტოლსტოის შესახებ) საქორთუდ მიიჩნია მსგე-ლოდის იფორმისებულ ტალღაზე ვაგარბთა და ასეთი სტენდენცია შემოგვამტია: „გავრცელებული განსაზღვრების მიხედვით, ტრაგე-დია — მიმედ პიესაა, რომლის უანასტეულ მოქმედებაში უკვლას უდებენ ანდრას...“³ აქ ისიც უნდა ითქვას, ტრაგედიის იტვალუ საქორთო აზრი, ერთიანი პოლიცა ჩვენს ესთეტიკასაც არ აქვს მხატვრული. ძენელი დავუწავით ერთობლივ, თუნცად, ი. ბორცვისა და მ. კავანის შეხედულებანი. თუმცა, ეს არის საქთხის მხოლოდ ერთი მხარე.

ტრაგედიის არათუ არსზე, კონკრეტულ ნაწარმოებებზე აზ-რთა დამატარებელი სხვაობაც არც იმ იშვითია თორითულ ლტერებარებას და თეატრალურ პრაქტიკაში.

არტებაში (საქეტილი არ შემდეგარა) ღორის ვერცხლი სწორედ ზემარას ხსენ გახლდათ აქმედებებელი. საკრიტიკო აღნიშვნები რომლის ჩაწერა არილ მხარებეზებს უწარმოებია, ვიციტელნიცა „ზემარა ცენების და ტირის დიდ ზემარის დროს. ზემარა იწყებს ტრაგიკიას, ღორი კი ამოვარტება. მთელი ღორის კამერების ხსენებას კავილი პირველ მოქმედებაში. ზემარას სიცილ ტრაგიკულია იგი საშუალებებს ამაღლებს ტრაგიკიასათვის... იგი უნახსარმეტყველია იმ ტრაგიკიასა, რომელიც ღორის გარშემო უნდა დატრიალდეს. ღორიცა კრტბა ადამიანი იღიბებს, ზემარა ქჩენას“³⁶ დაიხ. ზემარას ღირსე მოლოდინ მას შემდეგ, როცა ღორში იღიბებს ადამიანი, როცა ღორი დამარცხებს შეუფარებლად გამოხატულ კომიუტარს და თავის „ტრაგიკულ დრისებში“ ამკვიდრდება.

შექსპირის შემდეგ ტრაგიკულია და კომიუტარის ერთმანეთისაგან მიწვევება, მათი უთითობისაგან იზოლირება მოხდა კლასიციტურ თეატრსა და ერთგვარად ფილოსოფიულად დაფუძნებულ დრამის კლასიციტურ თეატრთან, რომელიც თავგამოვლები იცავდა თეატრალური ეარტების იტარებასა და ეარნის „სინაზღებს“, მაგრამ ეარნის განვითარების გზაზე ეს მოლოდინ გამოაკლიოს შემოხვევა. უკვე სინტიმენტალიზმთან და კიდევ უფრო განვითარდა რომანტიციტებმა მოხებულ კლასიციტების მიერ მარბაროსად მონაწილე შექსპირისაგან და აღადგინეს თავის უღებესობა ტრაგიკულია და კომიუტარის შერწყმის შექსპირული პრინციპის, შეღინგი „ხელოვნების ფილოსოფიაში“ აღნიშნავს, რომ „სახლდრამის (ფელსოსებმა რომანტიკულ დრამა-ჟ. კ. როგორც პრინციპის საფუძვლად უღებს წინააღმდეგობა საქციელის, უწარმებს ტრაგიკულია და კომიუტარის შერვა“³⁵ იგივე აზრს განვითარებობიკო „კრომევილის“ წინახებვაობაში, — თავის თორიულ მანერეცტში, რომელმაც რომანტიციტებისათვის ისეთივე წარმართველი როლი თამაშა, რაც ზუალის „პოეტურ ხელოვნებაში“ კლასიციტებთან. რომანტიკული ისეთ დადამწვეტ მნიშვნელობას ანიჭებს საწინააღმდეგობა საქციელის დახებებს, რომ სინტიმენტალად დაშუაგებას გროტესკის არაშეულებს. თვით მიუღას ნატივული ტრაგიკული სრულიად წარმოადგენელია კომიუტარის თანხლების გარეშე, — კომიუტარს აქ ხაზს უსვამს, რომ მოცულელ ტრაგიკულ სინტიციტის შინაარსი არ არის დასრულებული და ამოქრული, ვინაიდან ყველად მოვლდა მუდმივი ცვალებადობისა და განვითარების მიზნარებას ჩარბული.

რომანტიკულმა ეარტების კომუნიკაციის იმდენად სარწმუნო საფუძვლად შექმნა, რომ ამირადებ ტრაგიკული ხელოვნება კომიუტარის უღებესი ითვალისწინებს უკვე არსებობდა. აქ ვთქვათ, როგორმარბებულ სახით. თანამედროვე გერმანული ისეთიკორის ნიკოლა პარტეტი შეგვაგონებს, რომ კომიუტარს ახლა სახაგებობა ფუნქციას იქნის ტრაგიკულ ქსოვილსა და ეს ერთობ სახასიათო ხდება „მთელი უზახები ხელოვნებისათვის. აშვეარიც, ეკრბოდ, ღრმა სიონში უღრბი ბრინდლისა „როსმერსკოლში“ — კომიუტარის არსებას, როცა იგი გარკვეულ შემდეგს პიესის მთავარ მოქმედებას აძლავს. დაახლოებით ასეთივე კომიუტარ ანტიკორებს: აი-ფერტი ჩრინდისა და გრეგერს ვერტლს „გარკულ იხში“, ან კიდევ ტენესილას „ჰედა გაღორწი“³⁶ თუ რა მნიშვნელობა იან უნახსენებლ კომიუტარს და რამდენად აუცილებელი მასხიობის მერის მისი წყდობა მთლიანად „ჰედა გაღორწი“ სწორად გახსრებისა, ნადალდ გამონად იმხსენს ტრაგიკულ პარტეტიკასთან პანევიციტის თეატრის შეხედებისას. რეტიციტის დროს (ჩვენ მას ვე-სწეროლით და საშუალება გვექნად ჩავეყრთ იგი) საქციელის რეციტისა ორს მიღებისმა ტრს ასე ჩამოაკლებია მასხიობის როლზე მუხიობის მისი რწმენით ერთი უცილებელი პრინციპის მიხედვით სკავანდირია მვენიციტის მსგავსად უნდა მიიღებულდ დრამატურტიკის მიერ პიესაში ჩაიქრულ სულიერ ფსახელობა სა-უნახსიან, უნდა ჩაწვედეს მას და ამოზღოს იგი სცენოგრაფიით შეშაღებულად. განათხილვ სცენურ მოცდაწურ“. შემდეგ კი უსუა-ვლად იორგედ ტენესილას როლის შემხრულდებლად. დაქმტბას მიმარ-თა და მოსოხვა „ჟუფრინად ჩავეყრთა პიესაში“, „ქვეტიციტის წყდადღებლად გამოქმეტიანა თავისი გმირის კომიუტარს“, რათა ამი-მთა-მთლიანობის ტრაგიკული ფინალი უფრო დასამართებული გამოხდარიყო...

ტრაგიკულია და კომიუტარის ერთმანება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება პირანდელის თეატრას (მხედველობაში გვაქვს უწინარეს ისეთი პიესები, როგორიცაა „ქენრი შემდეგ“ და „ავტო-



რის მძივებელი ექვსი პერსონაჟი და „იუმორიზმის“ პირადღეოსეულ ესთეტიკაში. თანაც, პირადღეოსეულ დრამატურგია და მისი თეორიული კონცეფცია ტრაგიკულია და კომიურის მარტო შერწყმა-შერევის როდ ემყარება. „იუმორიზმის“ არის ტრაგიკულია და კომიურის, ილუზორულია და რეალურის მონაცვლებაში მდგომარეობს. პირადღეოსეულ ცილებს დასაბუთო ილუზიის რეალურ და რეალბის ილუზორული ხასიათი, ტრაგიკულია კომიზმი და კომიურის ტრაგიკულია ხუნება. მისი აზრით, ის, რაც ერთი შეხედვით ტრაგიკულია გვეხსნება, საბოლოო ვაშო კომიულია შემოიქცევა, და პირიქით — კომიურის, ფაქტობრივად, ტრაგიკულს ნიღბება.

ტრაგიკულია და კომიურის ერთიანობის სურათს ვაწვდის ბრეტის დრამატურგია, განაჯივადებს რა ეთიური სახელწვლის პაქტატებს, იმეორი თეატრის თიერაშია ბრეტის გვეტყვის, თამ სენწაზე ეთიური პრინციპით წარმოსახული ერთი და იგივე მოვლენა „განაჯივდება ხან ტრაგიკულ, ხან კომიურს ხასიათს“, რომ „სტირორულ სენწებზე თავისით მიიღებენ კომიურ თიერს“ და „კომიურის პაქტატს გამოაშვირავდება ტრაგიკულია, ტრაგიკულია კი — კომიურში, როგორც შინაგან წინააღმდეგობა“.37 ამ ერთი სურათის შეხედვრა ბრეტის თეატრში ხორციელდება სხვადასხვა გზით. ამათვან უკველზე საინტერესო და ეთიური თეატრისათვის სხვიფორუარაფი, რამოხებზე „გაუსტობის ფეფტი“ ვაგვძლენ. კომენტარი ან ზონგა, რომლის დრამას მასხაბით თავის მოქალაქობრივ პოლიტიკურ შევიდრდება და ამ პოლიტიკურ შეფასებებს თავისი გმირის საქციელს, ხშირად გვევლინება ტრაგიკული მოტივის კომიურ რეფერენსად. როცა „კრიტიკოსის“ ბატალურ სენწებში ეცვლება უაღი „გაპოდის“ რომელი მხედარმოთავის სახადან და მისდამი კრიტიკული დამოკიდებულების აშვადანებს, — ის არა მარტო მოხსნის გმირისადმი მათეურტონის თანაგრძობას, არამედ იმეორი რაჯურსითაც შემოაქცევს მას. ამიარად, „გაუსტობის ფეფტი“ აქ იძენს ტრაგიკული კონკრეტულ მნიშვნელობას და შესარტლებს „ანარტული სხვაფორმაციის ფეფტის“ რომს.

კომიურის ფეფტს ტრაგიკული ფართო იუნგები ვაგვძენ საბჭოთა დრამატურგია. ასე ვაგვძლენ: ვიწვეტის „მოხტობის ტრაგედიაში“ კომისარი ქალის კომიურისაგან „დაზღვევის“ ფუნქციის ანარტული ალექსი. კომისარი ქალი ანარტებს შეუფარულია ვაგვძლენ კომიზმს, სძლენ მას და მათეურტონული ვაგვძლენ ვალბება პიეტის გმირის ტრაგიკული დრისტიკის შეგებობა.

ახლა ეთიურის არსებობს თუ არა ხელწვლების ისეთი დარჯი, სადაც ტრაგიკული არ დუაქვიმარდება კომიურის, სადაც ტრაგიკული არ ემყარება კომიურს უაუქცევა. ის პარტბანი სოხლს, რომ ასეთ დარჯი მუსიკა წაოხრავდება.38 მართლაც, კომიურის ვაგვძლენა მუსიკა მუსიკის (იგულისხმება „წინადა მუსიკა“) ნაქლებად იხერტება, მუსიკის საუღელს მომტებულად პოზიტიური ემციების სეგროა. მაგრამ ეს ქერ კიდევ არ მეტყველებს კომიურის „შეუვალობაზე“ მუსიკაში.

ამწივრე ტომას „ჰამლეტთან“ დაკავშირებით ჩაიკოვსკი აღნიშნავს: მუსიკისათვის, რაოდენ ძლიერც არ უნდა იყოს იგი ადამიანის სულიერი ვაგვძლენობებათა ვაგვძლენობა, სასტიკით მოუწვევებელია ჰამლეტისათვის დამახასიათებელი ერთი მხარე, სახელდობრ, მისი გულმანო ირონია. ამით, ვიგვძენ, ჩაიკოვსკი უფრო თავე იმართლად, ვიგვძენ ვაგვძლენობა, — როგორც ცნობილია, მისი „ჰამლეტის“, ერთობ ლეგიტიური ტრაგიკული ნაქლებად, დრამატურგული პირტბატის კონცეივალური ვერ ვაგვძლენ. მუსიკალური ტრაგიკული ქსოვილი კომიურ ნეგატების და ირონიას, ჩვენი აზრით, უფროდ იტენს. ამ მოსარტბანის ნათესალოდ ვაგვძლენ ვაგვძლენა, თუნდაც, გუსტავ მალორის სიმფონიური შემოქმედება. კომიზმი ნათლად ვაგვძლენობს მეორე, მეექვსე, მეშვიდე და მეცხრე სიმფონიის სერკიში (ვანკლარული აღსანიშნავი „სამგლოვიარო მარში კალის მანერაში“ პირველი სიმფონიადან). ეს ფრაგმენტები სიმფონიის ნეგატური მხარე შეადგენს და უაღვირვებლად აღვირვებს მათ ტრაგიზმს. თეთი მათური შენიშნავს, რომ პირტბული სიმფონიის კომიურის „სამგლოვიარო მარში“ აღსანიშნავი ნაწილის ტრაგიკული აფრეუქება და აღწეებისათვის ვაგვძლენებს.

ტრაგიკულია და კომიურის ურთიერთობა ხელწვლების ყოველ დარჯიშა შესაძლებელია. თუმცა მთელი სიღრმითა და სიმაფრის იგი თავს იჩენს ძირითად თეატრში. ტრაგედია და კომიდიის სიმედროვე აქ მით უფრო საწინწინ ვაგვძლენ, თუ ვაგვძლენ

სენები, რომ ისინი ანტიკური ციკლიკალიწის ერთი საუღელს ტრატლის დონისტრა საწინწინად ვაგვძლენ და ვაგვძლენდენ ტრაგედია და განიარადენ ტრაგედია დასახამი მისიკა დიორამაში, ხოლო კომიდიის იერუმს სიმედრობა.

* * *

თეატრალურ ხელწვლებაში ტრაგიკულია და კომიურის შერწყმა, მათი სრული სინთეზი საბოლოოდ ვაგვძლენობს ირონიანდერ ვენანს — ტრაგიკულია (ერთიორ ვაგვძლენ იგი მონიარადენდის თავისებური ფორმასაც ნიშნავს) ეს რთული, ამაგად სასიყვარსო ფანჩი, თავისთავად ცხადია, ცალკე შესწავლას საჭიროებს. წინაშე ვარე ვაგვძლენდენ ეს ასეთი შესწავლის მარტოდღედ წინაპირობა. ტრაგიკულია და კომიურის წარმოსახული კომიურაციით ჩვენ დავაქცივთ მხოლოდ ტრაგიკომიების წინააღმდეგობა. და ამას ისიც დავუშვებო, რომ ეს ვენჩი ახლა ფრად აქვს დარტლებუბა ჩვენთვის: მართლაც, ქართული თეატრში მას არა უკვე დიდი ტრადიცია, მაგრამ სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს თანამედროვე ეტაზე.

ქართული თეატრის უანაგვანელი წახლის სპექტაკლებიდან ტრაგიკომიების ვენარული თვისებებით სახიათდება რუსოვადენდის „სანან ურგო ვაგვძლენდებმა“ მხივით თუშანიშვილის რეჟისურით (სადაც სერგო ზაქარიაშვილმა შექმნა ტრაგიკომიურის ესთეტიკურ დამაწიურებელი ავაბის ბრწინაზედ სცენური სახე), „სამანიშვილის დღეისადეკალი“ (რეჟისორები თ. ჩხეიძე და რ. სტურუა), იქმირი სცენარის „რევისორი რ. სტურუა“ და, რაც ათქმა უნდა, რომებზე სტურუას მიერ ვანსორცილებული ბერტოლტ ბრეტის „კავკასიური ცარის წრე“.

რუსოვას თეატრის სცენაზე ახლანან ნამდვილ ტრაგიკომედიად წარმოვიდა მაქს გორკის „ბილბრანი და ცეცხლის წაქვივებელი“ (რეჟისორები გ. ანაძია, ხოლო ფურა აცერ — ელვარაშვილი დე ფილიპის „კომედიის ხელწვლება“ (რეჟისორი ი. კაუკულია). გროტესკულ ფაქტობრივ აგებულ „უროვად ნათალი დილოვგა“, პრეფექტის (მ. მისიურაძე) წინაშე ვამეწებს (გ. სიხარულიძე) დასის მიერ ვაგვძლენობული სენწები თეატრში უაუვლებლის ისეთ ხასიათში შემოვივადი, სადაც წაშლა ზეჯარი ექტიორულ იმარტობა და თავად ცხოვრების რეალბის შორის. მისტიკური მტკიცული დარჩა, ცხოვრების სიმძიმეობით ილაქაქვებულმა მეათეობი ქიკოლოზო პიკამ (ლ. მიწევაძე) მართლად მოკლა თავი, თუ მხოლოდ ვაგვძლენობა თვითმკვლელობა პრეფექტის შესაძლებელია. მაგრამ, კამეწ-სიხარულიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამაგა სულ ერთი არ არის, ნამდვილი მეათეობა ჩვენს წრეზე თუ მონივრებზე მოწივებითი მკვიდარი უფრო შემარტებულად. როცა სცენაზე გვეხება მასხაბით, ეს იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეშიც, იმავე მიზეზის გამო, უკვე მოკვდა ვინმე, ეს არადა მალე მოკვდება. მთავარია — საერთო მეგობრება, ცხოვრების პირობები, რაც ადამიანს აძლენდებს... და ვინ უწევს, რას არ აძლენდებს ეს უწესი, რა ფრინდელი, თუნდაც, პრეტიულ ცესულად კინტო მასტის, რომლის სცენური პირადლო უნდა ანთავშე ვაგვძლენობა „იუმორიზმის“ ესთეტიკისათვის ხასიათი (დე ფილიპი აქ პირადღეოსეულ უაღვირვებელი ტრაგიკულია და კომიურის სინამდვილე. ანათის გმირი შეხედვებითაა პაქტივობი ყოველთვის სასწაულს ხედავდენ იქ, სადაც, ფაქტობრივად, ვაგვძლენობს ექიმის ხელი იმარტებებს. ცოცხლ მიწაზე სასწაულს ადამიანი სჩადის. მადლობას ის ქრისტებს უხდენან. და ეს უანარტბანის ალექსიკად, კინტო ხასტებს ღმერთობა გვძლენება ვანსარტბანს. ეს იმეოხის არც ჩვენი „დღისხატის“ გმირის — კონსტანტინე არსაკიასათვისაა უფრო, რომელსაც „თავი უნდა ვაგვძლენ შემოქმედებელი უფლის მეტოქე“. მაგრამ თუ ვამსახირიანათაა უველადფერი საყურთივ ტრაგიკული ჰლასტშია ვაგვძლენობი, დე ფილიპისთან „კომედი აიკობის თავის მრისხან ღმერთობა თუ ჰმედილი“ ტრაგიკულიან ერთად კომიურისაც ახმდებს და ტრაგიკომიების კონტრასტებით შევადგენდებ, ვინაგან აქ ვაგვძლენ უკვე მნიშვნელობას იძენს ამავე სცენური გმირის ხასიათი, ის ვაგვძლენობა, თუ ვის სურს და რა მზრთის სურს „შემოქმედებელი მეტოქეობა“...

თანამედროვე სცენაზე ტრაგიკულია თანდათან იქცა აქტუალურ თეატრალურ ვარაუდს, ეს სახსობით ბუნებრივია. მისი მარტობა მითიკაა იმითიკა ვარაწივებელი, რომ დღეს ვანსარტებობს გართლდა მოვლენებისადმი ერთიონიანი ესთეტიკური შეფასების მცდეა. დიან, ტრაგიკომიები უნდა მტკიცდებოს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი უთანაქვებებს სხვა ვარტებს. ტრაგიკულია



კომედია ვერ შესცვლის ვერც კომედიას და, მით უმეტეს, ვერც ტრაგედიას. ტრაგიკომედია არ აუქმებს თანარს. ტრაგომედიის მთავარ პირობას მანრი და არ პირობის მანრის მისაზღვრავია.

დრამისა და თეატრის განვითარების მთელი ისტორია — დრამისა და თეატრის თანარულ ფორმებში განვითარების ისტორიაა. სხვა ამავთუ, რომ იცვლება ამ ფორმების ტევალობა, მათი განქვრადობისა და ურთიერთშემტრის ინტენსივობა. თანარების ასეთი „ცენტრისკენული“ თუ „ცენტრიდანული“ მოძრაობა თანარული ფორმების პერიოდებს აღნიშნავს, თანარული ფორმების მხოლოდ სიციცხლისუნარიანობაზე მეტყველებს და მათ ურასაყოფად ვერ გამოვლდება. რა ზომითაც არ უნდა ხორციელდებოდეს ერთი თანარის მიერ სპირისპირო თანარის ელემენტების დასესხება, ეს უკველთვის

ხდება ამ თანარის არა განმარტვის, არამედ გამდიდრების, დასაბუთების მიზნით.

და ტრაგედული ცოცხლობა და ამიტომ ცვალებადი ფენომენია. თანარის არსებობის მანძილზე იგი უკველთვის იძინდა ახალს, ჩაწოცილებდა დროშოქმულს. მაგრამ მას არასოდეს დაუცარგავს სუბსტანციური, ის ძირითადი, რაც მას ტრაგედიის როგორც ასეთის უფლებებში სტოვებს. კომიკურთან ურთიერთობაც, რაც ამ თანარის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეგზომ სახასიათოა მისთვის, კი არ მოხსნის და გააუქმებს ტრაგედიას, კი არ „ჩაქრობს“ მას თანარში (როგორც ეს „ახსურდის თეატრმა“ მოიშოქმედა), არამედ პირიქით, — გამდიდრებს მას, ცხოველყოფილობას შემატებს და ახალ პერსპექტივას დაუსაბავს.

შენიშვნები

1 არისტოტელე, პოეტიკა, 6, 1449 В.
 2 იხ. ანგია ბოკორიშვილი, ფენომენოლოგიური ესთეტიკა, თბ., 1966, გვ. 7.
 3 ბერნარდ შოუ. О драме и театре, М., 1963, стр. 520.
 4 Шеллинг, Философия искусства, М., 1966, стр. 439—440.
 5 იქვე, გვ. 449.
 6 ბერნარდ შოუ, О драме и театре, стр. 437.
 7 იხ. Томас Манн, Собрание сочинений в десяти томах, т. 10, М., 1961, стр. 450.
 8 К. С. Станиславский, Статьи и речи, беседы, письма, М., 1953, стр. 150—151.
 9 «Гоголь и Мейерхольд» (Сб. «Нивитские субботники»), М., 1927, стр. 42.
 10 П. Марков, Правда театра (Статьи), М., 1965, стр. 464.
 11 იხ. А. В. Февральский, Мейерхольд и Шекспир.— «Вильям Шекспир» (Сборник), М., 1964, стр. 391. იქვე-რალსკი თავის მხრივ მიითითებს წყაროზე: В. М(азинг), Мейерхольд на трибуне (Доклад в зале Союза), «Красная газета» (веч. вып.), Л., 20 сентябрь, 1927 г.
 12 Бертольд Брехт, Театр, в 5-ти томах, т. 2, М., 1963, стр. 421.
 13 Гегель, Сочинения, т. XIV, М., 1958, стр. 387.
 14 В. В. Венслов, Проблема прекрасного, М., 1957, стр. 177.
 15 კობხანი თელის, როცა ევლკანიდან ამოხეტილი ლავა წალკავს ეუნახს, ეს არ არის ტრაგიკული. ხოლო თუ იგივე ლავა შეიჭრება უღრან ტყეში და გაანადგურებს ასწლეული შემხარს, — ეს უკვე ტრაგიკულია. როზენგრანცი და ციხინიცი კომიკურად უწოდებენ კაქტუსს. უბრხორსტი კომიკურს ხედვას ბუნების ბრმა არაიანაზომიერებაში — ევება გიგრა პატარა ყლორტზე. რუვე კომიკურად მიიჩნევს მაიმუნის საცეკვლს.
 16 იხ.: I. Volkelt, Aesthetik des Tragischen, München, 1897, S. 10—11.

17 И. Кон, Общая эстетика, 1921, стр. 179—180.
 18 არისტოტელე, მეტაფიზიკა, წიგნი მეცამეტი, თავი მესამე, 1078 ბ.
 19 ბერნარდ შოუ. О драме и театре, стр. 522.
 20 იტ. წიგნილან: «История эстетики. Памятники мировой эстетической мысли», т. 3 М., 1967, стр. 529.
 21 პლატონი, ნაღიმი, თბ., 1964, გვ. 79.
 22 „კოტე მარკანიშვილი. შემოქმედებითი შემვიდრება“, ორ ტომად, ტ. 1, თბ., 1972, გვ. 3ან.
 23 «К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве», в двух томах, т. 1, М., 1957, стр. 53.
 24 იქვე.
 25 კ. მარკსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 1, თბ., 1953, გვ. 268.
 26 იხ.: Ю. Боров. О трагическом, М., 1961, стр. 254.
 27 «К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве», в двух томах, т. 1, стр. 53.
 28 იხ.: «Вопросы литературы», 1968, № 1, стр. 103—104.
 29 Томас Манн, Собрание сочинений в 10-ти томах, т. 10, стр. 137.
 30 ბ. წიწონავა, მარქსისტული ესთეტიკის საკითხები, თბ., 1968, გვ. 111-112.
 31 გ. ლომიძე, კომედიის განრული თავისებურების პრობლემა, თბ., 1969, გვ. 71-72.
 32 მ. კვესელავა, ფაუსტური პარადიგმები, წიგნი პირველი, თბ., 1961, გვ. 59.
 33 იქვე, გვ. 149.
 34 Бертольд Брехт, Театр, в 5-ти томах, т. 5/1, М., 1965, стр. 367.
 35 Шеллинг, Философия искусства, стр. 425.
 36 Н. Гартман, Эстетика, М., 1958, стр. 641.
 37 Бертольд Брехт, Театр, в 5-ти томах, т. 5/2, М., 1965, стр. 273.
 38 იხ.: Н. Гартман, Эстетика, стр. 566.



„მორეზენებანი“



მარჯანიუჭილის თეატრში

გივი მალულარია

ჰმნრიპ იმსზნი „ახალი დრამის“ მამამთავრად ითვლება. მას შემდეგ, რაც მისი პიესები სცენაზე დაიდგა და საყოველთაო აღიარება ჰპოვა, საფუძველი ჩაეყარა თეატრალური ხელოვნების თანამედროვე სისტემას. პ. იმსენის დროის მიერ წამოჭრილი მწვავე პრობლემების სწორად აღქმის განსაზღვრისა და კრიტიკულად შეფასების დიდი უნარი შესწევდა, სათქმელის გამოსახატავად ყოველთვის პოულობდა შესაფერის ფორმას და ფუნქციონირებად იდგა კაცობრიობის კულტურული ცხოვრების მოწინავე პოზიციებზე. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დიდი და მტკივნეული საკითხი, იმსენი რომ არ გამოხმაურებოდა. იგი შეესწრო ინდივიდუალიზმის როგორც აღორძინებას, ასევე კრიზისს, რომანტიზმისაგან ჯერ ნატურალიზმისაკენ გადაიხარა, შემდეგ იმპრესიონიზმისაკენ, ბოლოს კი მის ნაწარმოებებში ექსპრესიონისტული და სხვადასხვაგვარი სტილის დამამკვიდრებელ შემოქმედად თუ ერთმანეთს შევადარებთ „ბრანდს“ და „მოჩვენებებს“, ცხადად დავინახავთ იმსენის მიერ ინდივიდუალიზმის კრიზისამდე განვლილ გზას. „მოჩვენებებში“ ნორვეგიელმა დრამატურგმა დიდი ფსიქოლოგიურა სიჰაუტით, მკვეთრად და მტკივნეულად გამოხატა ინდივიდის სულიერი ცხოვრების, მისი პიროვნული შეგნების კრიზისი.

არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, სადაც თეატრი არსებობდეს და არ დაედგათ იმსენის ენა თუ ის პიესა. და რადგან საქართველოში პროფესიული თეატრალური დასი მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან არსებობდა, იმსენის პიესებიც დიდი ინტერესით იდგმებოდა. ქართულ ენაზე უთარგმნიათ იმსენის ყველაზე გამხაურებელი დრამა „ბრანდი“, მაგრამ მისი დადგმა ვერ მოუხერხებიათ. პირველი პიესა, რომელიც ქართულ სცენაზე დაიდგა ქუთაისში 1898 წელს, იყო „ნორა“, ანუ „თოჯინების სახლი“. სპექტაკლი დადგა ლ. ალექსი-მესხიშვილმა. ნორას როლს ასრულებდა ცნობილი მსახიობი ქალი ნ. ჩხეიძე. 1903-1905 წლებში არაერთხელ იქნა წარმოდგენილი „ხალხის მტერი“ ანუ „ექიმი შტოკანი“, იმავე ხანებში ითარგმნა და დაიდგა „მოჩვენებანიც“.

ამგვარად, პ. იმსენის შემოქმედება ქართული სცენისადმი უცხო არაა. ინტერესი მისი დრამებისათვის დროის სულისკვეთების მიხედვით ხან მატულობდა, ხან კლებულობდა. და, აი, მარჯანიუჭილის სახელობის თეატრის სცენაზე წლევეანდელ სეზონში კვლავ დაიდგა პ. იმსენის ერთ-ერთი საუკეთესო დრამა „მოჩვენებანი“.

მაყურებელი სცენაზე ხედავს დასავლეთ ნორ-

ვეგის დიდი ფიორდის ნაპირზე აშენებული კეთილმოწყობილი სახლის სასტუმრო თთახს, რომლის წიაღშიც დაბუდეულია ლოდინი, შიში, უამინდობა, ნაცრისფრა და განფენილი სვედა და ნაცრისფერი აჩრდილები, რომლებიც, მიუხედავად გარდაცვალებისა, მაინც ებღუდებიან ცხოვრებას და ცოცხლებს ისეთ რამეს აღენიანებენ, რაც მათ არ სურთ, დაუშვებლად მიანჩინათ.

სპექტაკლი დადაგ რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ, რომლის შემოქმედებით კონცეფციას და გემოვნებას ქართული მაყურებელი კარგა ხანია იცნობს. იგი იღვწის თეატრში თანამედროვე ფორმებისა და ახალი გამომსახველობითი ხერხების დანერგვისათვის. თემურ ჩხეიძემ შესძლო ნოვოვეგილი დრამატურგის ნაწარმოების თანამედროვე ადამიანის თვალთ წაითხვა და ყურადღების გამახვილება ისეთ ეპიზოდებზე და დეტალებზე, რომლებიც უკეთ გამოხატავენ საერთოდ ადამიანის, და ამის შესაბამისად, ჩვენი დროის ადამიანის სულიერ ტკივილებს.

რადგან პიესა ღრმად ფსიქოლოგიურია და ადამიანთა შორის წინააღმდეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებაზეა აგებული, რეჟისორს გმირთა სამოქმედო სფერო და საერთო განწყობილების ფონი არ შეუცვლია. ამ შემთხვევაში მისთვის მთავარი იყო რეჟისორის ყოველი სცენური ეპიზოდის ელემენტობა, ფსიქოლოგიური ინსუტით გადმოეცა გმირთა ურთიერთდამოკიდებულება და მოქმედების განვითარება ტალღისებურად რხევადი გაუხადა. თემურ ჩხეიძემ ისეთი სულიერი დაბაბულობა შექმნა სცენაზე, რომ მზარდ სიმძაფრეს სპექტაკლის ყველა პერსონაჟი ემორჩილება და მოქმედების განვითარების დინამიკა ყველა კომპონენტის განწყობილების შესაფერის ტრანალობას იძენს.

ოთახის ცენტრში დგას მრგვალი მაგიდა, მაგიდის ირგვლივ და მაგიდიდან მეტ-ნაკლები დაშორებით განლაგებულია საჯარძლები. აივნისა და რომლის წინ ჩამოფარებული გამჭვირავალ ფარდები სცენურ სივრცეს აგრძელებენ, ოთახში იჭრება წარსული, შემავსოფთებელი ლოდინი და ნესტით გააუქმებული მტკვნარება, საჯარძელში მოკალათებული ადამიანები კი ერთმანეთს უყვებიან თავიანთი ცხოვრების, განვადების, გადატანილი სულიერი ტკივილების ამბავს, იხსნიან ნიღბებს და გვიჩვენებენ თავიანთ ზნეობრივ სახეს.

სპექტაკლის გმირები ვაიკლებით მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე მოქმედებენ. თითოეული მათგანის ბუნებ დამოკიდებულია მეორე ადამიანის პედი და ამიტომ რეჟისორს ღრმად უნდა გააზრებინა პერსონაჟების ქცევის ყოველი მოტივი, თანაც გააზრებინა ისე, რომ არ შეენელებინა

მოქმედების განვითარების სიმძაფრე და არ დაერღვია მოვლენათა თანამიმდევრული ლოგიკა. თ. ჩხეიძემ იმთავითვე გაითვალისწინა, რომ პ. იხსენის პიესისათვის უნდა შეენარჩუნებინა საერთო კოლორიტი, საერთო ტონი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დრამა დაკარგავდა იხსენისეულ განწყობილებას და ამიტომ ჩრდილო დარჩა, სპექტაკლის ბედი მიანდო მსახიობებს, რაც გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მსახიობებმა იმედი გაუმართლეს.

მხატვრულად სპექტაკლი გაფორმებულია სადად (მხატვარი მ. ჭავჭავაძე), იმ საერთო განწყობილების გათვალისწინებით, რომელიც მიუღწეველ ნაწარმოებს თავიანთ ბოლომდე გასდევს. სინათლე შემრიბებულია, ფერები ტონალურად ერთმანეთს დაქვემდებარებული, რაც შესაფერ კოლორიტსა და ფონს ქმნის. მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მთელი სამყარო, სადაც სპექტაკლის პერსონაჟებს უხდებოდა მოქმედება, ნაცრისფერ ბურუსშია ჩაძირული.

სპექტაკლში ხუდი ხუთი მოქმედი პირია, მაგრამ სასიათით სულე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი მე, საკუთარი დამოკიდებულება სხვა პერსონაჟთან და საკუთარი წინააღმდეგობითი სახე, რათი და ძლიერი ხასიათი. სწორედ ეს ანიჭებს სპექტაკლს იმგვარ სიმძაფრეს და დრამატუზმს, როგორც იხსენის შემოქმედება მოითხოვს. მკვლევარებს და რეჟისორებს დღემდე ვერ დაუდგენიათ, ვინ არის „მოჩენებანის“ მთავარი გმირი — ფრუ ალვინგი თუ ოსვალდი, ვისი სახეა უფრო კოლორიტული და მოქმედების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი. ზოგი ოსვალდს ანიჭებს უპირატესობას, ზოგი ფრუ ალვინგს. ჩვენი აზრით კი, ამ სპექტაკლში თითქმის ყველა მთავარი გმირია და რომელიმე მთავანის უგულვებლყოფა ნაწარმოების მიუღ ქარგას დაარდევდა. პერსონაჟთა დასასიათებას და მათი შინაგანი ბუნების გახსნას ჩვენ ფრუ ალვინგისაგან დავიწყებთ.

ქალთა ემანსიპაციამ იმდენი რთული საკითხი წამოჭრა ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომ საჭირო გახდა ძველი ზღბედულებების რადიკალურად გადაფარვა, განსაკუთრებით კი ქალისა და კაცის, ცოლისა და ქმრის ურთიერთობისა. ინდივიდუალიზმის აღორძინების დამსაშინეს საკითხი ოდნავ მიიჩქალა, მაგრამ როცა ინდივიდუალიზმის კრიზისი დაიწყო, ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ თითქმის ვერც ერთმა დიდმა დრამატურგმა ვერ აუარა დაფერდი. ამ საკითხს სწავლობდნენ, რეალობა ავსებდნენ და მხატვრულად ანუზოგადებდნენ იხსენი, სტრინდბერგი,

შოუ, კენტ ჰამსუნი და სხვები. მათ იმდენი რამ აღმოაჩინეს და ისე ღრმად ჩაწვდნენ ქალისა და კაცის, ცოლისა და ქმრის ურთიერთობას, რომ მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიქცევს. თუ პირველად იბსენი ნაწარმოებებს აგებდა ძლიერისა და სუსტის ურთიერთდამოკიდებულებაზე, „მოჩვენებანში“ მან ერთმანეთს დაუპირისპირა ორი ძლიერი პიროვნება --- ქალი და კაცი, ცოლი და ქმარი და თავისი თვალსაზრისი ამ დაპირისპირებში გამოხატა.

ოკასურ ცხოვრებაზე დაკვირვებაში, ადამიანის სულში ღრმად ჩახედვამ, იბსენი იმ აზრამდე მი-

ნა, მოსალოდნელი ბრძოლის სისასტიკით შეძრწუნებული ქალი ისევ ცირკის არენაზე შეაგდო და შემდეგ მისი ხვედრით არც დაინტერესებულა. მხოლოდ ამის შემდეგ დარწმუნდა საბოლოოდ ფრუ ალვინგი, რომ თავისუფლებისმოყვარე, ცხოვრებაზე გულბრუნული ქმართან შეტრიალებას ვერაფრით ვერ აარილებდა თავს და რომ არ დამარცხებულიყო, კაპიტან ალვინგზე უფრო მიბილიზებული, სასტიკი და დაუნდობელი გახდა. კაპიტანი სვამდა, ფრუ ალვინგი კი ფულს უყრიდა თავს და მტკერიალური დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდა. ცოლსა და ქმარს შორის



პასტორი --- ა. ე. ვასაძე.
ენკიტრანი --- გ. ბერეკაშვილი.

იყვანა, რომ სხვადასხვა სქესის ორ ძლიერ წარმომადგენელს შორის, თუნდაც ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ, იმართება დაუნდობელი ბრძოლა, სადაც ერთს ან იმორჩილებენ და თავის ნებაზე ატარებენ, ანდა სპობენ.

ფრუ ალვინგი სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალიშვილი იყო, როცა ცოლად გააყვა სიცოცხლემოწყურებულ, დაუღეკარ, ქალების მადეკარ, ქეიფის მოყვარულ, ზნეობრივი ნორმების უგულვებელმოყვარულ კაცს, რომელმაც არ იცოდა სად წაეღო ჭარბი ენერჯია და როგორ დაეღწია თავი იმ სულისშემწუთველი გარემოსათვის, სადაც ცხოვრება უხდებოდა. როგორც კი ფრუ ალვინგი მიხვდა, რომ შინაგანად თავისუფალ, ძლიერ მოყვანადღედეგესთან აქვს საქმე, შეშინდა, ქმარს გაექცა და პასტორ მანდერსის სთხოვა შემწეობა და თავშესაფარი. მაგრამ პასტორმა ადამიანურ გრძნობებზე მაღლა მოვალიობის გრძნობა დააყ-

დაიწყო საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რადგან ერთ გალიაში, ნესტიანი ფიორდის ნაპირზე აშენებული სახლის კედლებს შორის იყვნენ გამოკეტილი. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი შეეძინათ, უკან არცერთს არ დაუხვეია, შინაგანად გაშვილებულნი აღარაფერს ერიდებოდნენ, ერთმანეთის გასაწამებლად სულ უფრო და უფრო დახვეწილ მეთოდებს იგონებდნენ. შვილი რომ მამის გავლენისაგან ეხსნა, ფრუ ალვინგმა იგი გააბარა, სხვებს აზრდევინებდა. ამ ბრძოლაში ცოლი ქმარზე უფრო ამტანი, წინდახედული, შეუბრალებელი აღმოჩნდა და, რადგან ფრუ ალვინგმა კაპიტან ალვინგის მოთოკვა, დამორჩილება ვერ შესძლო, სიცოცხლე მოუსწრაფა. თვით ფრუ ალვინგი ამ პროცესს ასე აკვიწვრს:

„შეიძლება შევძამა შემაძლებინა. მაგრამ, როცა ეს დაცინეაც მომემატა, ჩემი მოახლე... მაპაინ დავიფიცე, რომ ამ ამბავს ბოლოს მივოვლებდი.

მთელ მმართველობას ხელი მოჰკიდო, მე გაგხდით ოჯახის, მისი და ყველას უფროსი... ახლა ხელს მჭონდა საწინააღმდეგო იარაღი, კრინტსაც ვერ დაძაბდა. აი, მაშინ მოვაშორე სახლს ოსვალდი. მეშვიდე წელში იყო გადამდგარი, ყველაფერს ამჩნევდა, შეკითხვობდა, ასე იცინა ბავშვებმა. მიჭირდა ამის ატანა, მანდრეს; მეგონა, რომ ბიჭი ყოველ ჩასუთქვაზე იზხამებოდა. ახლა იცით, რატომ არ მოუდგამს ფეხი მას სახელში მამამისის სიცოცხლეში. არაგინ იცის რად მიღირდა ეს...“*

ფრუ ალვინგმა ქმარი კი მოინება, მაგრამ ამით არაფერი დამთავრებდა. დამარცხებული მიჩვენებდა იქცა და ისევ მონაწილეობდა ცხოვრებაში, ისევ განაგებდა სხვების ბედს, ხოლო იმ არსებში, ვინც მას სიცოცხლე მოუსწრაფა, დანაშაულის გრძობას იწვევდა. გაორებულმა, შეგნებაგლეხილმა ადამიანმა სხვებიც გააორა, მათი ურთიერთობა მყიფე და მსხვერვადი გახადა. გამარჯვების შემდეგ ფრუ ალვინგმა ქვეყნობიერად იგრძნო, რომ იყო ცხოვრებაში რაღაც ისეთი, რაზედაც თავს ხუჭავდა, უარყოფდა, იმ ყოფაზე უფრო მნიშვნელოვანი, როგორითაც თვითონ ცხოვრობდა, ხოლო ოსვალდის ჩამოსვლის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა ამაში და ყოფილი ქმარიც უფრო ნათლად დაინახა: „შენ რომ მამა-შენი ხალისიანი გინახა! აი, ცხოვრება ვის უხარდა... მისი დანახვა გასაფხვლის ნათელი დღეს აგონებდა ადამიანს. თანაც ისეთი ენერჯული იყო, სისხლსავსე... და აი, ასეთი ხალისიანი ბავშვი, დიახ, იმხანად ბავშვს გაედა მამაშენი, — ისე მოხდა, რომ ამ პატარა ქალაქში ჩარჩა, სადაც თავს თუ გაირთობდა რაიმეთი კაცი, თორემ სიხარულზე ზედმეტი იყო ლაპარაკი. უმიზნო ცხოვრება, მხოლოდ სამსახური. ისეთი არაფერი, რასაც ადამიანის სული და გული მოითხოვს. ერთადერთი — საქმეები. ირგვლივ კი ერთი ამხანაგიც არ ჰყავდა, გაეყო მისთვის, რა არის სიცოცხლის სიხალისე, უსაქმური თანამიერხენი ყავდა მხოლოდ, ჰოდა, მოსახდენი მოხდა... მამაშენის არაჩვეულებრივად ხალისიანმა ბუნებამ აქ ნამდვილი გასაქანი ვერ ჰპოვა. ვერც მე ვაგაბედნიერად ვაგაბახისე მისი ხალისე...“

დიდი საქმეებისათვის, მოქმედებისა და მზრძანელობისათვის დაზადებულნი კაპიტანს ალვინგი ვერ იტანდა ცხოვრების იმ პირობებს, როგორიც სასოუკადობამ თავს მოახვია, იმ შეზღუდულ, მემწანურ ყოფას, რომელიც კლადა მის სიცოცხლისადმი სიყვარულს და ეს შემოშოჯავი ჯაჭვი რომ გაეწყობოდა, პირველი რიგში ცოლი უნდა დაემორჩილებინა ან თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ყველაზე მწარედ სწორედ ცოლთან ბრძოლაში დამარცხდა და ბოლომდე დასტანო.

ფრუ ალვინგმა ერთ თავგანთარ და აღდევარ ბავშვს კი მოუღო ბოლო, მაგრამ ხელთ შერჩა

* ციტატები მოტანილია გ. ნუცუბიძის თარგმანიდან — სპექტაკლი დადგმულია ამ თარგმანის მიხედვით.

კიდევ უფრო სიცოცხლისმოყვარული, პროვინციული ყოფის ფარგლებიდან საბოლოოდ გასული შინაგანად თავისუფალი ბავშვი, მისი საკუთარი შვილი, რომლის დაკარგვა არაფრით არ უნდა და იგი ისეთივე რეორგანიზირების ოსვალდის გადასარჩენად, როგორც ქმრის დასაბრუნებლად იბრძოდა. მათ შორის იმხელა უფსკრული აღმოჩნდა, რომ მისი ამოცხება არც შვილს შეეძლო და არც დედას.

აი, ასეთი რთული, მძაფრად დრამატული როლის შესრულება მოუხდა ვერიკო ანჯაფარიძეს. იყო დრო, როცა მსახიობები ფრუ ალვინგის პიროვნებაში შედარებით ცხოვრებაში გაწაფებულ, მარტო დარწმუნე კეთილშობილ, მწუხარე ქალს, რომელმაც მთელი სიცოცხლე და სისარტული მოვალეობის გრძობას შესწირა. ზოგს იგი მიანდა იმ ადამიანად, რომლის სიკეთისკენ სწრაფვამ მის ახლობელ ადამიანებს უბედურება მოუტანა და მხოლოდ სიბერეში აეხილა თვალები, ზოგი კი მას ხუნდებისაგან განთავისუფლებულ, მეამბოხე ქალად თვლიდა (სხვათა შორის. ასეთად თვლის ფრუ ალვინგს პასტორი მანდრისცი). ვერიკო ანჯაფარიძემ ფრუ ალვინგს შეუნარჩუნა ხასიათის სირთულე, მისი ცხოვრების გამრუდების მრავალმიჯნობრიობა, მაგრამ იგი უფრო გაადამიანურა, მწუხარებით გააძლიერა და შვილის ბედით შეწუხებული დედის სახით წარმოვიდგინა.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ მსახიობის თანამედროვეობაზე, თამაშის ახალ სტილზე, ახალ სტილებზე, მაგრამ ნიჭიერ, თვითმყოფად შემოქმედის არაფრით არ შეიძლება ენებოდეს, რადგან ზოგჯერ ახალგაზრდა მსახიობი შემოქმედებითად უფრო ჩქარა ბერდება და იფიტება, ვიდრე ძველი თაობის წარმომადგენელი. მთავარია, ხელოვანს გააჩნდეს შემოქმედებითი პოტენციალი, შეცდომის სათქმელის თქმა და დრო მას ადვილად ვერ დააბერებს. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლმა ცხადყო, რომ ვერიკო ანჯაფარიძეს ასეთი პოტენციალი ჯერ კიდევ გააჩნია. თუ ამას დავუბრუნებთ იმ დიდ პროფესიონალიზმს, რაც მან დუღალავი შრომით და გამოცდილებით მოიპოვა, ჩვენს სახელმწიფოებრივ მსახიობს არა მარტო მისი ნიჭის საკადრისად თამაში შეუძლია, არამედ სპექტაკლის წაყვანაც.

ვერიკო ანჯაფარიძემ რომ არა, რეჟისორი ალბათ ვერ გაბედავდა ისეთის „მოქმედების“ დადგმას. სპექტაკლის მთელი სიმძიმე სწორედ ფრუ ალვინგს აწევს მხრებზე. მსახიობის მეტყველებამ სცენაზე გამოჩენისთანავე იგრძნობა ფარული სულოერი ტკივილები, შემამოთხებელი ლოდინი, გამოუთქმელი ჯავრი, მის არსებში ჩასახლებული მოჩვენების სიმყარე და მოქმედებად ქცეული შვილის გადარჩენისათვის თავგანწირული ბრძოლა. მსახიობი ინიწმანდობლივად ატარებს შეე ტანსაცმელს, თითქმის მისი მარტობა სინებულეში იშვად და რადგან ნათელ სამყაროში კარის გაჭრა ვერ მოახერხა, სინებულეშივე დარჩა.

ვერიკო ანჯაფარიძის ერთდროულად რამდენიმე პერსონაჟთან აქვს საქმე და ყოველი მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ პერსონაჟთან, ერთსა და იმავე დროს გარკვეულ ინტონაციას, შესტს, გამომეტყველებას და იმ განწყობილების შენარჩუნებას მოითხოვს, რომელიც სცენურ მოქმედებას საერთო ტონს უქმნის. მსახიობმა ჩვეული ოსტატობით გაართვა თავი ამ რთულ საქმეს და დავანას ძლიერი ქალი, რომელიც შინაგანად გატყეობილი და მორღვეულია, მაგრამ ამას არავის აჩვენებს, შვილის გარდა არავის უშვებს მეტისმეტად ახლოს. მისი მუნწი შესხები, გრძობის თავშეკავებულად გამოხატვა და დრამატულად მტყუარად ხმა გიბრის სახეს კიდევ უფრო კოლორიტულსა და შიამშებულად ხდის.

განსაკუთრებით ძლიერია ვერიკო ანჯაფარიძე შვილთან ურთიერთობაში. იგი ოსვალდის ცხოვრებით სუნთქავს, მის სურვილს საკუთარ სურვილად ხდის, ყველაფერს უჯერებს და ყველაფერში ეთანხმება. მზადაა წარსული გადაფასოს. შეხებები შეიცვალის, მაკოვსტებელი ძალა შთაბეროს მის სულსა და სხეულს, მაგრამ როცა ოსვალდი ჭკუიდან გადადის, ისევ ძლიერ პიროვნებად გადაიქცევა და მაყურებელს სჯერა, რომ ასეთი ქალი არაფრის წინაშე არ დაიხეხს უკან.

ვერიკო ანჯაფარიძეს საქმეებში დრამატრუზთან ერთად შეაქვს ლირიზმიც, იმ წმინდა აღმინანური გრძობა, რის გარეშეც მისი გიბრი სქემა უფრო იქნებოდა, ვიდრე ცოცხალი ადამიანი, რომლისთვისაც ცხოვრებას შინაგანი გათიშვისა, მწუსარებისა და მარტობის მეტი არაფერი მოუტანია და ეს მწუსარება მსახიობს მაყურებელამდე ლამაზად და დამაჯერებლად მიჰყვება.

სანამ საქმეების მეორე მნიშვნელოვანი პერსონაჟის, ოსვალდის შინაგანი უფერის განხნას შეუდგებით, გვიჩვენებს ვერიკო ანჯაფარიძის თათბის მეორე მსახიობის, აკაკი ვასაძის მიერ შექმნილი გიბრის სახეზე შეგრძობა. საქმეებში აკაკი ვასაძე თამაშობს მოძღვარ მანდერსის როლს. მოძღვარი მთლიანი და ძლიერი პიროვნებაა. მისთვის არაფერი არ დგას ორთოდოქსური რელიგიის მორალურ დოგმებზე მაღლა. ამიტომ პიროვნებას სჯობს არა იმის მიხედვით, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს იგი, არამედ, მისი საქციელით. მანდერსი იმდენად დარწმუნებულია რელიგიური მოსოფლმეცოდნეობის ქუმპარტებში, რომ არავის არ უტოვებს ზნეობრივი არჩევანის უფლებას. არჩევა, იმის აზრით, უკვე გადადგომაა. ხელოვანს იმიტომ უყურებს ეჭვის თვალთ, რომ იგი ზნეობრივი არჩევანის უფლებას ყოველთვის იტოვებს თავისთვის. მანდერსს სურს ხალხის სულიერი ცხოვრება ერთ ადგილას გააყინოს, ირგვლივ არაფერი არ შეიცვალოს, რადგან ყოველგვარი ცვლილება საზოგადოებრივი წყობის იმ ფორმაციას ემუქრება, რომელიც მისთვის მისაღები და ეროვნულ და სამუდამოდ დამკვიდრებულია. მოძღვარს არ ესმის, ან უფრო სწორად, არ უნდა გაი-

გოს, რომ ახალმა დრომ ახალი იდეები მოიტანა. თავისუფლების მასშტაბები გაფართოვდა, სასოგადოებრივი და პიროვნული აზრი ერთმანეთს გაერთიანდა. რელიგიას აღარ შესწევს ძალა ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე, რომელიც გაირებული, შეგნებაგათიშული, მოაზროვნე, საკუთარი თავისადმიც კი კრიტიკულად განწყობილი ინდივიდებისაგან შედგება. სიცოცხლის წყურვილი, ბედნიერებაზე ოცნება მას მერტყლობად და ამბოხებად მიიჩნია: „აჰ, სწორედ ეს გახლავთ ამბოხების სული, ბედნიერების მოთხოვნა აქვე დედამიწაზე! ამა მაუწყეთ, რა უფლება გვაქვს ჩვენ, ადამიანებს, რომ ბედნიერება მოვითხოვოთ. არა, ფრუ ალვინ, ჩვენ მოვალენი ვართ შევასრულოთ მხოლოდ ჩვენი ვალი“. იგი არაფრად დაგიდგვს იმას, რომ მხოლოდ აწონილ-დაწონილი, რაციონალური ცხოვრებით ცხოვრება გრძობას კლავს, ხოლო გრძობის სიკვდილთან ერთად კვდება ინდივიდიც. ადამიანებს აღარ სურთ სასუფეველის დამკვიდრების იმედი ამქვეყნიურ ბედნიერებაზე ხეული აიღონ. სწორედ ასეთი კაცია იყო კაპიტანი ალვინგი და როცა პასტორმა გაიგო, თუ როგორ აღვირახსნილი, ამორალურ ცხოვრებას ეწეოდა ალვინგი, მისი სახელობის ბავშვთა თავშესაფარი, რომლის გახსნასაც სიტყვა უნდა წარმოეთქვა, შეგნებულად დასწვა. ამით მან თითქოს დაასამარა იმ კაცის სახელი, ვინც ღირსად არ ჩათვალა პატივისცემაში, მაგრამ ეს იყო უღმრთესი კაცის შურისძიება, რომელსაც თავის საქციელისათვის თონვედ ემინია და როცა მის მიერ ჩადენილ დანაშაულს დურგალი ენესტრანი დაიბრალებს, იგი შეგნით ამოხუნთქავს და გასამჯელოდ დურგალს ფულად დახმარებას დაპირდება. ასე რომ, პასტორი არც ისეთი მამა აბრამის ბატკანია, როგორც თავი მიაჩნებს და საკუთარი კვიოდლობისათვის ისევე ზრუნავს, როგორც მეტყობაზე დამყარებული საზოგადოების ყველა წევრი.

პასტორს კიდევ ერთი ნაკლი აქვს. იგი მოვლენებს, ადამიანებს, ოჯახის ცხოვრებას გარდენს უყურებს, მსჯავრი დარხეული ხმების, მემწანური საზოგადოებრივი აზრის მიხედვით გამოაქვს და წარმოადგენს არა აქვს, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს მის ნაცნობ ოჯახებში. რისხვით იგი მხოლოდ მაშინ ივსება, როცა ფაქტის წინაშე დაყენებენ. პასტორ მანდერსში ცხოვრობს რაღაც დრომოჭმულად, რაც მას ისეთივე მოჩვენებად ხდის, როგორც კაპიტანი ალვინგია.

საქართველოში ოლბათ ცოტაა მსახიობი, რომელსაც ამ როლს ისე მიორგებდა, როგორც აკაკი ვასაძემ მიორგო. მსახიობის გარეგნობა, ხმა, მოძრაობა, თითქოს შინაგანი სამყარო კი ისეა შეთანხმებული-შეკავშირებული, როგორც ამას მანდერსის როლის შესრულება მოითხოვს. არავითარი გაუაზრებელი შესტო, არავითარი დაკვეება საკუთარი რწმუნება და პიროვნების უპირატელობაში. მკაცრი, თითქმის ფანტატიკურად მკაცრი სახე, შემოკონტრული წინადადებათა გაწვევას მიუ-

ჩვეულებრივ ხმა, მუნწი, მაგრამ შემპარავი მოძრაობა, ზრდილობის ფორმებამდე დამყოლი, მაგრამ უდრევი ნება. აკაკი ვასაძე მხოლოდ იმიტომ კი არ იწვევს კოლეგებისა და მაყურებლების მოწიწებას, რომ ასეთი როლი აქვს დაკისრებული და პირობითობის იმედით მოქმედებს, არა, მას შარ-თლა გააჩნია იმის უნარი, რომ ირგვლივ მყოფ ადამიანებს შორის მოწიწების გრძნობა გამოიწვიოს და ამიტომ მეტისმეტად ბუნებრივად გრძნობს თავს სცენაზე. მაყურებელს ისეთი გრძნობა ექმნება, რომ თითქმის იგი კი არ თამაშობს, არამედ იმ ცხოვრებით ცხოვრობს, როგორცაც მასთან ერთად მისი პარტნიორები ანსახიერებენ. როცა აკაკი ვასაძე სცენაზეა, სიტუაცია უფრო მძაფრ და დრამატულ ხასიათს იძენს. იგი მოშვების, სულის-მოთქმის საშუალებას არც თავის თავს აძლევს და არც პარტნიორს. მანდერის მოძრაობები და გამომეტყველება თითქმის უცვლელია, ერთ რიტმზეა აგებული, მაგრამ ცხადი ნიუანსებით მსახიობი კიდევ უფრო ზუსტად გადმოცემს თავისი გმირის სულის მოძრაობას და შინაგან ბრძოლას. აკაკი ვასაძემ ამ სპექტაკლში საკადრისი პარტნიორობა გაუწია ვერიკო ანჯაფარიძეს და ის დირსებები, რაც სპექტაკლს გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, მათი დამახსურებაა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი დიდი ღირსება ჩვენს სახელმძღვანელო მსახიობებისა. ეს გახლავთ როლის შესრულების კულტურა, სწორედ ის, რაც სამწუხაროდ, ბევრ ჩვენს ახალგაზრდა მსახიობს აკლია.

სპექტაკლში ყველაზე ძნელად შესასრულებელი როლი ნოდარ მგალობლიშვილს ხვდა წილად და არა იმიტომ, რომ ოსვალდის ხედვრითი წონა პიესაში სხვა გმირების ხედვრით წონაზე მეტია, არამედ მისი ავადმყოფობისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების დამაჯერებლად გადმოცემის გამო. მხოლოდ მაშინ დაბრუნდა სახლში, როცა მიხვდა, რომ განწირულია, ჭკუიდან შეიშლება და ბავშვივით უმწურო გახდება. მშობლიურ კერას ცოცხალმა ადამიანმა კი არ მოაშურა, არამედ მოჩვენებამ. ცოცხა, რომელმაც იგი დასაჯა, პირადად მას არ ჩაუდენია, მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან. ასეთი სასჯელი კი გაცილებით უფრო გამაწამებელია, ვიდრე საკუთარი ალვირანსნილობით თუ თავქარიანობით ჩადენილი ცოდვა. ამიტომაც ემალება იგი სხვებს, ამიტომაც რჩება სადილობამდე საკუთარ ოთახში, სადაც თავის ტკივილისა და უძილობისაგან გაწამებული, შრომის უნარს მოკლებული, შიშით ელოდება იმ წამს, როცა უკურნებელი სენი ჭკუიდან გადაიყვანს. ოსვალდი ებრძვის წარსულს, მოჩვენებებს, სურს გაანგრის ქვის ნესტიანი კედლები, მაგრამ წარსული, მოჩვენებანი მის სხეულში, მის სისხლში ჩასახლებული და ბოჭყვენ, გარდაქმნის, გადასხვაფერების საშუალებას არ აძლევენ. მამის წყალობით მის სისხლში ათამანგის ბაცილები ბუ-



ღრუ ალვინგი — ვერიკო ანჯაფარიძე




ოსვალდი — ნ. მგალობლიშვილი.

პასტორი მანდერისი— აკაკი ვასაძე.



დობენ, ტვის უმწვარავენ, საშინელ მომავალს უზადებენ. ოსვალდმა იცის, რომ ერთ მწვენიერ დღეს ველარაგის ოცნობს, საკუთარ თავს ვერ მოუვლის, საპყარი, სხვისი ხელის შემყურე გახდება და ამიტომ მუდამ თან დააქვს მორფის მომაკვდინებელი დოზა. ამავე დროს, მასში ჯერ კიდევ ბუდობს შემოქმედის პოტენციალი, სინათლისა და სინარუსისაკენ სწრაფვა, ფართო გზაზე გახვლის სურვილი და რადგან არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ეთიშება არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც. ეწევა, სვამს და ბოლოს რეგინას ცოლად შერთვასაც კი მიონდობებს. შინაგანად

ობს შეუსრულებია და ყველა თავისებურად ხსნიდა მის სახეს. ზოგი რომანტიკულ სამოსელში ახვევდა და ლირიკული ლეიტმოტივებით ამდიდრებდა. ზოგი მის ტრავმების ავადმყოფობით კი არ ხსნიდა, არამედ სულიერი კრიზისით, ხელმოცარულობით, უმრავლესობა კი ცდილობდა რაც შეიძლება ზუსტად გადმოეცა ინფექციური ავადმყოფობის განვითარების პროცესი, რაც ყოველთვის სიგიჟით მთავრდება. ამიტომ ხაზს უსვამდნენ კლინიკურ ნიშნებს, იმ პათოლოგიურ ცვლილებებს, რასაც ავადმყოფობა ოსვალდის ფსიქიკაში იწვევდა — მელანქოლიურობას, უკიდურეს



სცენა სპექტაკლიდან.

იგი ფაქიზი და მგრძობიარეა. რეგინა ისე უყვარს როგორც ჰამლეტს ოფელია, მაგრამ ცოლად მას სიყვარულის გამო კი არ ირთავს, არამედ იმიტომ, რომ განსაცდელის გამს მოეხმაროს და მორფის მომაკვდინებელი დოზა შეაშაბუპუნებინოს.

ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ოსვალდი პაროზიდან დაბრუნდა — ავადმყოფობაა. პარიზში იგი თავისუფლად ცხოვრობდა, ხტავდა, საინტერესო ადამიანებს ხვდებოდა, ამკვიდრებდა სინათლეს, სიცოცხლეს და თვითონაც ისწრაფოდა ამქვეყნიური ბედნიერებისაკენ. სახლში კი ყველაფერი მუქი ფერისაა, გადაუღებლად წვიმს და მის ამღვრეულ სულში შიში და უიმედობა ისადგურებს. იგი კვლავ ბნელეთის სამყაროში აღმოჩნდა: „იმისი თქმა მინდოდა, რომ აქ ადამიანებს ისე ზრდიან, რომ მათთვის შრომა წვევლა და სასჯელია, ცოდვების საზღაური, ხოლო სიცოცხლე — უმწარესი ხედრი, რომელსაც, რაც მალე დააღწევ თავს, — მით უკეთესი“, ვუთხრა იგი დედას. სახლში მას არასოდეს განუცვლია არსებობის სიხარული.

ოსვალდის როლი ბევრ სახელმწიფეჭილ მსახი-

იმპულსურობას, შინაგან მოშვებულობას, დანაწევრებულ მეტყველებას, ჭირვეულობას და ამას ზოგი ისე ნატურალისტურად აკეთებდა, რომ მაყურებელი თავზარდაცემული გამოდიოდა დარბაზიდან.

ნოდარ მგალობლიშვილმა ამ სახის რომანტიკულად, ლირიკული შტრიხებით გახსნა არჩია. გარეგნულად იგი მიმოიღველია, მოძრაობს სხარტად. მეტყველებს გამართულად, სვამს და ეწევა სიამოვნებით, საშინელ ავადმყოფობაზე ის თვითონ ლაპარაკობს, თორემ ამის ნიშნები არც მის მოძრაობაში სჩანს და არც სხვებთან დამოკიდებულებაში. ჭკუაზე იგი მხოლოდ ფინალში იშლება და ეს ხდება არა ეტაპობრივად, არამედ ერთბაშად. ამიტომაცაა, რომ მაყურებელი მის განცდებს უფრო ხედავს, ვიდრე მის ამღვრეულ სულს, მის ფსიქიკას. ოსვალდის ტრავმები მარტო ავადმყოფობა კი არ იყო, არამედ ადამიანებთან კავშირის გაწყვეტაც, საკუთარი თავის ამაზა დარჩენაც და მსახიობს ამ მნიშვნელოვან ფაქტორისათვისაც უნდა გაესვა ხაზი.

ნოდარ მგალობლიშვილმა შესძლო თავისი

წვლილი შეეძინა სპექტაკლის საერთო განწყობილებაში, აეღო ის ტონი, რაც სცენური მოქმედების განვითარებას შეესაბამებოდა, ეპიზოდებიდან ეპიზოდამდე ეტარებინა ის სულისკვეთება, რაც წარმოდგენის მთლიან სურათს ქმნის, მაგრამ მას უფრო ღრმად უნდა გაეაზრებინა გმირის ხასიათი, მისი განსაკუთრებულობა, ტრაგიზმის გამოწვევი მიზეზების არათვავაროვნება და მაყურებლისათვის უფრო ცხადად უნდა დაენახებინა საშინელი სენით დაავადებული, განწირული ადამიანის, შემოქმედის რთული ფსიქიკა.

გულჯათხრობილი, თავის პირად სამყაროში ჩა-

იქცეს. ამისთვის კი საჭირო იყო მეტი ინიციატივის გამოჩენა და ბრძოლა. რეგინა ფროსლოდ ეკველუცება ოსვალდს, არ უნდა ფრო ალვინგი რამეში დაეჭვდეს და ამიტომ საკუთარ გრძნობას მალაეს, მითმინებით ელის იმ დროს, როცა უფლება ექნება თავისი ინტერესები დაიცვას. მაშინ იგი თავის ძალასაც გამოამჟღავნებს და თავის სიცოცხლისუნარიანობასაც. მხოლოდ ესაა, რომ მარტობას მის სულში უკვე ღრმად აქვს ფესვები გადგმული, მთელი მისი არსება ეკონსტრუირებულია გრძნობებითაა გამჭვავული და როცა აღმოჩნდება, რომ ოსვალდი მამით მისი ძმია, იმედ-

პასტორი — ა. ე. ვასაძე.
რეგინა — ს. ქაალაძე.



კეტელი რეგინა, რომელმაც ისიც კი არ იცის ხეირიანად, ვისი შეილა, ანდა რატომ შეიფარა ფრო ალვინგმა, ისევე გაორებულია, როგორც ამ კარდახშული ოჯახის სხვა წარმომადგენლები. მამას უხეშად ექცევა, არაფრად აგდებს, ქალბატონ ალვინგთან ურთიერთობაში კი გამგონი, თავმდაბალი და თავშეკავებულია. ყველა მის თხოვნასა თუ ბრძანებას უხმოდ ასრულებს. რეგინა ერთსა და იმავე დროს ალვინგების ოჯახის წევრიცა და მოსამსახურეც, ქვეცნობიერად გრძნობს, რომ ენსტრანის შეილი არ უნდა იყოს, მისი სისხლი მთლად სუფთა თუ არა, ნარევი მაინცაა და ეს გაურკვევლობა, წარსლის აწმყოსთან და მომავალთან დაკავშირება მას თავშეკავებულს, გულჯათხრობილს ხდის. მაგრამ გაერეგული სიმშვიდე მხოლოდ ნიღაბია, სინამდვილეში კი იგი სიცოცხლემოწყურებული, გართობასა და დროსტარებას მონატრებული ქალიშვილია, რომელიც ადრე მხოლოდ ოცნებობდა თავისი ბედი ოსვალდის ბედთან დაკავშირებინა, მაგრამ მას შემდეგ რაც ოსვალდი შინ დაბრუნდა. მან ინსტიტუტურად იგრძნო, რომ ოცნება შეიძლება სინამდვილედ

დაკარგული, მოჩვენებებით გარშემოტყმული რეგინა, რომელმაც იცის, რომ მომავალში ორ ღაერდომილ ადამიანს უნდა მოუაროს, გამწარებული მოურიდებლად წამოიძაბებს: „დაიხ, ახლა ცოდვა ამის გამხელა. ოსვალდის ავადმყოფობა რომ მცოდნოდა... თუმცა ახლა არაფერი შეიძლება მოხდეს... არა, არაფრით არ შემოიძლია გამოიკეტო ამ სოფელში და ავადმყოფის მოვლაში ჩაგველა ჩემი ახალგაზრდობა“.

აი, ასეთი არათანმიმდევრული, თავის მდგომარეობით უკმაყოფილო, ცივ კედლებს შორის გამოკეტული, მაგრამ ენერგიული და სიცოცხლემოწყურებული ქალიშვილის როლის შესრულება მოუხდა სოფიკო ჭიაურელს. მსახიობს მან გააჩნია სცენური მომზობველობა და გარდასახვის ნიჭი, ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ჩვენ მხოლოდ იმაზე ვილაპარაკებთ, როგორ გაიგო და შეასრულა მან რეგინას როლი. უპირველეს ყოვლისა, სოფიკო ჭიაურელმა დაგვანახა, რომ რეგინა მარტოხელა ადამიანია, რომლის კეთილდღეობისათვის ფრო ალვინგი ზრუნავს, მაგრამ ეს ზრუნვა მისგან სამაგიეროს, ვალის გადახდას,

მოვალეობის აღსრულებას მოითხოვს და ამიტომ მისივე ტვირთად აწევსა მხრებზე, მოჭავს, საკუთარი თავიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევს. ამიტომაცა იგი გულწაფლობითი და თავშეკავებული. მამის მიმართ იგი იგი მკაცრი და უხეშია, რადგან მამას სურს მისი სილამაზე და ახალგაზრდობა საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენოს. ერთადერთი ადამიანი, ვისი იმედიც მას აქვს, ისეა დედა. და სწორედ მამონ, როცა ისეა დედა გადაწყვეტს იგი ცოლად შეირთოს, აღმოჩნდება, რომ ერთი მამის შვილები არიან. სოფიკო ჭიკაურელი თანმიმდევრულად გვიჩვენებს იმედის ჩასახვიდან იმედის გატრუნვამდე განვლილ გზას და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მისი მოძრაობა, უხეშობა, გამოუმტკველება თვახში შექმნილ ვითარებას ემორჩილება, იგი მაინც ახერხებს დავაზანახოს თავისი გმირის მარტობა, სიფაქიზე მიჩვენებათაგან თავის დაღწევის სურვილი და უკომპრომისო ეგოიზმი. მსახიობის რეაქცია ამა თუ იმ მომენტის მიმართ ბუნებრივი და ადამიანურია, ხოლო განწყობილებიდან განწყობილებაზე გადასვლა რიტმიული, დამაჯერებელი. იგი ყოველთვის ბოულობს ლოკალურ საღებავებს გმირის ფსიქოლოგიისა და პიროვნული არსის გასახსენლად. სოფიკო ჭიკაურელის თამაშმა დიდად შეუწყო ხელი ამ სპექტაკლის ერთ მთლიან ნაწარმოებად შექვრას.

სპექტაკლში არის კიდევ ერთი მოქმედი პირი, რომელიც ისევე უმეყოფილია თავისი წარსულით და აწმყოთი, როგორც სხვა პერსონაჟები. ეს გახლავთ დურგალი ენგებრანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მარტო დარჩენილიყო და მხოლოდ საკუთარ თავზე ეხრუნა. ფეხგაბრტყელებულ, დაოკლებულ დურგალს მიითხოვდა, უფრო სწორედ, შინათხვეს რეჟინას დედა, ფრუ ალვინგის ხელზე მოსამსახურე, რომელიც ფეხმიმედ იყო კაპიტან ალვინგისაგან. ჯვრისწერის შემდეგ ენგებრანების თვახშიც ისეთივე დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო ცოლსა და ქმარს შორის, როგორც ალვინგების თვახში მიმდინარეობდა, მაგრამ თავის „კეთილშობილური“ საქციელით გამედიდურებული ენგებრანი კაპიტან ალვინგზე ძლიერი აღმოჩნდა და ცოლს უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე, ხოლო ერთადერთი ქალიშვილის ბედზე ზრუნვა ფრუ ალვინგს მიანდო. ენგებრანი უხეშო, ღვინის მოყვარული, ძლიერაა წინაშე თავმოდრეკილი, გამოძალაველი კაცია, რომლისთვისაც სულერთია, რა დატრიალდება ამქვეყანაზე, ოღონდ თვითონ იყოს კარგად. მას მხედველობიდან არაფერი ეპარება, იცის, ვისთან აქვს საქმე და ამიტომ არც პასტორის მიერ თავშესაფრის დაწვა დარჩენია შეუმჩნეველი. ამით მან ისარგებლა, სხვისი დანაშაული თავს იღვა და საკუთარი საქმე მოაგვარა. ენგებრანმა არც სიყვარული იცის, არც ავი და კარგი და არც ცოდვა-მადლი. მისთვის მთავარია ფული, ფული და ღვინის სმა. შინაგანად ენგებრანი ისე-

ვე გათელილი და დაცარიელებულია, როგორც ყველა ისინი, ვინც შინაგან კრიზისს განიცდის. ენგებრანის როლს თამაშობს მსახიობი გივი ბერიკაშვილი. მას ყოველთვის მოჭონდა სცენაზე ცხოვრებისეული სიმაბრთლე და ამ მეთოდისათვის არც ამჯერად უღალატნია. მისი ენგებრანის მძიმე ყოფისაგან გაუხეშებული, სულიერად გათელილი, გამოძალაველი კაცია, რომელიც ბუნებით ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ ცხოვრებამ გულცივი და მკაცრი გახადა. მსახიობი ენგებრანს ისე წარმოგიდგენს, რომ ერთსა და იმავე დროს, უარყოფითი შთაბეჭდილებაც შეგიქმნას მასზე და შეგვაპრალის კიდევ, რადგან ენგებრანი თუ ძლიერ შეჭურვებს ხელებში და სურს ცოტა რამ ეკონსძალოს მათ, ეს სრულდებით არ ნიშნავს, რომ იგი მათზე უარსიცა, პირიქით, ძლიერნი, ასე თუ ისე, დაცული არიან, იგი იგი ცხოვრების სისასტიკისაგან სრულიად დუცველია. გ. ბერიკაშვილი რომ სახასიათო როლების ისტატურად შემსრულებულია და ნათლად გამოსატული ინდივიდუალობის მატარებელი მსახიობია, ეს სპექტაკლმაც დაამტკიცა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თითოეული მსახიობის წვლილს ამა თუ იმ სპექტაკლში მოქმედების განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ყველა ერთად ჰქმნიან იმ ანსამბლურ მთლიანობას, რაც სპექტაკლს დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებად ხდის. ჩვენი აზრით, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა შესძლეს სპექტაკლის როგორც ტონალურად, ასევე ანსამბლურად შექვრა.

რეჟისორმა წინა პლანზე წამოსწია არა ინტრიგა, ამბავი, არამედ ინდივიდუა ღრმა იმაჟულსები, მათი ისტორიული კავშირები და სპექტაკლს მიენიჭა ის სერიოზულობა და სიმკაცრე, რაც დამახასიათებელია დიდი ნორვეგიული დრამატურგისთვის.



ისტორიული მხატვარი

იოჰან კელერი

თამაზ სანიკიძე

წელს, აპრილში, ესტონელმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა დიდი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის იოჰან კელერის დაბადების 150 წლისთავი. იუბილეზე მოწვეულნი იყვნენ სტუმრები საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქიდან და რესპუბლიკიდან. ზეიმში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ წარგზავნილმა, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა დელეგაციამ.

საიუბილეო ღონისძიებები დაიწყო ტალინში და ტარტუში გაგრძელდა. 13 აპრილს მუზეუმში — კადრიორგის სასახლეში (სასახლე აშენებულია რუსეთის იმპერიისთვის — პეტრე I მიერ და, ირგვლივ გაშლილ მშენებრივ საბაჟო ანსამბლთან ერთად, ბაროკოს სტილის ფორად ააინტერესო ნიშნულია). აქვე ორ დღეს მიმდინარეობდა კელერის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ტალინის თეატრისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა საზეიმო სხდომა. კელერის მშობლიურ სოფელში შედგა მხატვრის სახლავის გვირგვინებით შემკობის ეროვნულ ყაიდაზე ორგანიზებული ცერემონიალი; ითქვა მრავალი გუთობილი სიტყვა, უკრავდა სასულე ორგესტრი, მღეროდა გუნდი. ბოლოს, ესტონეთის მინისტრთა საბჭოს ოფიციოზის მოადგილემ გამართა საზეიმო სადილი. მასპინძლებმა თავიანთი ეროვნული მოღვაწის იუბილე საქმით გულმოდგინებით ჩააგაერეს. ზეიმს განსაკუთრებულ ელვერს აძლევდა ჩრდილოეთში ადრეული გასაფხუსლის მზიანი დღეები.

კელერის იუბილეში ჩვენი მონაწილეობა იმითაც იყო განპირობებული, რომ მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები — „იურიევას პორტრეტი“ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენდა და 1974 წელს, ორი მომხმ რესპუბლიკის ხალხებს შორის მეგობრობის ნიშნად, საჩუქრად გადაეცა ესტონეთის მუზეუმს.

ამასთანავე, სწორედ ამ პერიოდში, იმავე კადრიორგის სასახლის დარბაზებში გამოფენილი იყო ნიკო ფირსიმანაშვილის 45 რჩული ნაწარმოები ჩვენი მუზეუმის კოლექციიდან. გამოფენას სასახლის თითქმის მთელი საბურთალოსი ეჭირა. ფირსიმანის „გასაოცარი ტალანტი“ (კელერის შემოქმედების ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარის სიტყვებით) სრულყოფილად გამოვლენას ღიდად უწყობდა ხელს მასპინძლების მიერ მისი ნაწარმოებების გონივრულად და კარგი გემოვნებით მოწყობილი ექსპოზიცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთსა და იმავე შენობაში გამოფენილი ორი მხატვრის ნაწარმოებთა შორის არსებული სრული კონტრასტი დასურვების საშუალებას აძლევდა მეტი სიხსადით დაენახა თითოეულის ინდივიდუალური ღირსებათვისებურებანი.

იოჰან კელერის ხსოვნის ესოდენ ფართოდ აღნიშვნის საუფქველს წარმოადგენდა მისი, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის უდიდესი როლი ესტონელი ხალხის ისტორიაში. იგი იყო ერთ-ერთი მოთხვეთავანი XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ბალტიკისპირეთში გერმანულ და აღგილობრივ მრავრელთა წინააღმდეგ გამლილი ეროვნულ-გამანათიისუფ-

ლებელი მოძრაობისა. კელერი ესტონური ფერწერის სკოლის მამამთავარია და, ამასთანავე, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის რუსული ხელოვნების ისტორიაშიც. იოჰან კელერი დაიბადა 1826 წლის 8 მარტს ვილიანდის მაზრის, ვასტემიოზას თემის სოფ. სურრეიანში, ღარიბი, მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. სამი წელი სწავლობდა ვილიანდის სამაზრო სასწავლებელში, მაგრამ გერმანულ სკოლაში ბავშვს სწავლა გასჭირვებია და ამიტომ იგი მშობლებს ქალაქ ცესანში გადაუყვანიათ პროფესიის — სამღებრო საქმის დასაუფლებლად.

კელერი თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ მას სწორედ აქ გაუღვივდა ფერწერისადმი ინტერესი და გადაწყვიტა მხატვარი გამხდარიყო. 1846 წელს იგი ბუდის საძიებლად პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც, ღარიბმა და მიუსაფარმა, სამხატვრო აკადემიის სულამის კლასში მეკადნიერობის უფლება მოიპოვა. მისი მორჩილი გულმოდგინება და სისტემატური მუშაობა საწინდარი გახდა იმისა, რომ იგი 1851 წელს აკადემიის სრულუფლებიან მოსწავლედ ჩარიცხეს პროფესორ მარკოვის კლასში.

კელერმა მკაცრი აკადემიური წერონა გაიარა. ბეჯითმა მოსწავლემ სრულყოფილად აითვისა ამ სკოლისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. რაც მთავარია, შემდეგაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, იგი ძირითადად აკადემიური და სალონური სტილის მხატვარი დარჩა.

კელერი ხაზის, ფორმის, კომპოზიციის კარგი ოსტატია, მაგრამ მის

წარმოებებს ხშირად აკლია შემოქმედებითი განცხადება სინამდვილისა, ის გრძობისმთიერი ნაპერწკალი, რომელიც მისი თანამედროვე რუსი თუ, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპული ნოვატორი მხატვრებისათვის ბუნების არსში წვდომის უმნიშვნელოაქვს ფაქტორს წარმოადგენდა.

1855 წელს კელერმა აკადემიის საბჭოს წარუდგინა თავისი სადიპლომო ნამუშევარი — „ქერკულესის მიერ ცერბერის ჯოჯოხეთიდან ამოყვანა“. ამ ნაწარმოებს საიბოილერ გამოუყენა, კადრიორგის სახასილემო, ცენტრალური დაბაზი ეჭრა და თავისი მასშტაბურობით ერთმანედ იქცევდა მყურებლის ყურადღებას. სასურველი სიტრეკს მთლიანად ქერკულესის ტიტანური ფიგურა აკლეს. მისი დაკუნთული, მოძრავი სხეულა, ფორმების პლასტიკური მოდელირება, ორმხრივი განათების სისტემა, მუქი ყავისფერი კოლორითი ავტორს კ. ბრულოვის მიმდევრად, ხოლო ნაწარმოებს რუსული აკადემიუმის დამახასიათებელ ნიმუშად წარმოგვიდგენს. ამ ნაწარმოებისთვის აკადემიის საბჭომ კელერი მცირე ოქროს მედლით დააჯილდოვა.

ამას მოჰყვა პირველი შეკვეთები, რომელთაგან აღებულმა პორთარამა და მხატვრობის ხელშემწყობი საზოგადოების ორწლიანმა სტაჟანტიმ კელერს საშუალება მისცა საზღვარგარეთ წასულიყო. მან მოიარა ვერპანის, შვეიცარიის, პოლანდის, ბელგიის ქალაქები; დიდხანს ცხოვრობდა პარიზში; ათავაიერებდა ვეროპის სახელგანთქმულ მუზეუმებს; გატაკებთ სწავლობდა ძველი ისტატიკის ნამუშევრებს. მოგზაურობის საბოლოო მიზანი იყო იმხანად მხატვართათვის აღთქმული ქალაქი — რომი, სადაც კელერი 1858 წელს ჩავიდა და ოთხი წლის მანძილზე ცხოვრობდა.

რომში ყოფნის პირველსავე თვეებში დაასრულა მან პარიზში დაწყებული კიდევ ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები — „ჯგერცმა“, რომელსაც პირველად ნაწარმა ფსევდონიმით — „ვილიანი“ და ამით თავის ესტონურ წარმომავლობას გაუსვია ხაზი. სურათი კელერმა პეტერბურგში გაგზავნა, სადაც ამ ნაწარმოებისთვის მას აკადემიოსის წოდება მიანიჭეს.

კელერის მიერ რომში შესრულე-

ბული ნაწარმოები. მას უკვე „აკუთარი ხელწერის, საგვებით მომწვევებელ მხატვრად წარმოგიდგინენ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ავტორტიკა“, რომელზე მუქ, ნეიტრალურ ფონზე გამოსასულია ახალგაზრდა კაცი პალიტიით ხელში. ფიგურის ამაყი პოზა, სახასი და თვალბრის დაბაბული გამოიტყველება, სურათის თბილი ნიუანსებით მიდიარი კოლორითი შესანიშნავად გადმოგვცემს ახალგაზრდა მხატვრის ფსიქოლოგიურ განწყობილებას, საკუთარ შესაძლებლობათა რწმენის სიმტკიცეს.

იტალიაში კელერი ბევრს მოგზაურობს. ეწინაა ანტიკურ სიძველეებს. სწავლობს რენესანსის ოსტატთა შემოქმედებას, მაგრამ კლასიციტების და აკადემისტების უფრო იტალიაში, მათთან უფრო მეტს ნახულობს საერთოს. მოგზაურობის დროს ასრულებს უამრავ ჩანახატს, რომლებშიც სამხურეთის მზე და სითბო, ცხოველხატკული ბუნება და მკვირცხლად ამდინაებში რომანტიკულ-იდილიური განწყობილებით არის აღბეჭდილი.

კელერის იტალიურ ნაწარმოებთა შორის მრავალი აკვარელის ტექნიკით არის შესრულებული. აკვარელით იგი სწორედ იტალიაში დაინტერესდა და შემდგომში ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ბელგიის აკვარელისტთა საზოგადოებამ იგი თავის საპატიო წევრად აირჩია. ტალინის გახმოფხვრა წარმოდგენილი მისი „იტალიელი გოგონა ერთგულ ტანსაცმელში“ და „იტალიელი გოგონა მანდილითში“ ფერთა ფაქიმი შერწყმით, სისასხის და გამჭვირვალეობით, დასტურია იმისა, რომ იგი შესანიშნავად გრძნობდა აკვარელის სპეციფიკას.

1862 წელს კელერი პეტერბურგში დაბრუნდა. აქ ცხოვრობდა და მუშაობდა იგი სიცოცხლის ბოლომდე. სამომბლოს მონატრებულ მხატვრის მალე მცირე ხნით ესტრინიშთა ვაჟმგზავრა, ნახა და განიცადა თავისი ხალხის მიმე ხვედრი. აქტიურად ჩაება ესტონელი ერთგულ-ვაჟანთავისუფლებელ მოძრაობაში. გამოდიოდა ესტონური სკოლის და ესტონური გაზეთის დაარსების მოწოდებით. და, რა თქმა უნდა, ხატავდა. ხატავდა სიყვარულით, გატაცებით. შექმნა მთელი სერია აკვარელებისა,

რომლებშიც ესტონელ გლეხთა ცხოვრება ასახული და რომლებიც მხატვრის ნაწარმოებთა შორის „სურათი“ ლური ევროპლობით გამოირჩევა.

განსაკუთრებული ღაბრისხითა და სითბოთა გამსჭვალული ამ ხანებში შესრულებული შრომების პორტრეტები. ფორმითა და კომპოზიციით ორივე პორტრეტი ერთნაირად არის გადაწყვეტილი. ორივე თვალურ ჩარჩოში ჩასმული. გამოსახულებმა სურათის მთელ არეს ავსებენ. მხატვარი თითქოს განგებ იზულებდავს თავს. მოხუცია მომწველი მხრები, დასრული თავები, მოხუცული თვალები, ნაწარმოებთა ძუნწი, მოყავისფრო კოლორითი თავისთავად გამოირცხავს გარეგნულ ეფექტებს. მეტყველებენ მთლიან დღეში იმ ცხოვრებით დალილი, ნაოჭებით დაღარული სახეები, რომლებიც მოყვარული შეილი დიდი სიფაქიზით ელოლიავენ.

კელერს ადრეც და გვიანაც მრავალი პორტრეტი აქვს შექმნილი. ამ ეპოქის მისი გვიანდელი ნაწარმოებები შესრულებული არსებობს ნაკლებით მაღლა დგას შრომობის პორტრეტებზე, მაგრამ მხატვარი ასე გულწრფელი, ასე მათი იარ ყოველი არც ერთი თავისი პერსონაჟს მიმართ. არცერთი სახე არ არის მის მიერ ასე ღრმად, მთელი არსებით განცდილი.

სამშობლოში მიღებული შთაბეჭდილებები დიდხანს კვეყნავდა მხატვრის ფანტაზიას. აქედან წაღებულმა ჩანახატები და ესკიზები კელერმა პეტერბურგში დიდ ფერწერულ ტოლოებად აქცია. მრავალი მათგანში ეთნოგრაფიული სისუსტით არის ფიქსირებული ესტონელთა ყოფის თავისებურებანი, მათი ღარიბი მიწა და კარმიდამო, ერთგულ კოსტუმები გამოწვიბილი ესტონელი სტილიზაციები. ამ თემაზე შექმნილი აკვარელების სერიასათვის კელერს მოსკოვის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე ვერცაღის მედალი მიაკუთვნეს.

1865 წელს კელერს ფართო საზოგადოებისათვის წარუდგინა დიდი ფერწერული ტილო — „ჯადოსნური სიხრიდან გამოფხიზლება“. რთვორც ჩანს, თვით ავტორი ამ ნაწარმოებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისივე სიტყვებით, სურათს მყურებლისათვის უნდა ეწევენბინა ესტონელ გლეხთა დუჰპირი

ყოფა, რაც მასში ალგორითმი ფაორ-
მით იყო მოცემული. სურათი ავტო-
რის სიციცლემივე დაკარგულა. დარ-
ჩენილია მხოლოდ მისი რეპროდუქ-
ცია და მცირე ესკიზი.

მომდევნო პერიოდში კელერი ძი-
როთადად პორტრეტებს ხატავდა. მა-
სი პერსონაჟები არიან რუსი და ეს-
ტონელი სწავლუნი, მხატვრები,
კომპოზიტორები, მხედართმთავრები,
მინისტრები, სენატორები, სამეფო
ოჯახის წევრები და სხვანი. ზოგიერთ
მათგანში კელერი შესანიშნავად ახერ-
ხებს პორტრეტირებულთა რეალის-
ტურ დახასიათებას; გონებასხველუ-
რად მიგნებული შტრიხებით ცდი-
ლობს დავგანახოს პიროვნების შინა-
განი საწყარო თუ წარმავალი განუ-
ყობილება, მისი ადამიანურა თუ
პროფესიული თავისებურებანი და
ინტერესები (რუსეთის საგარეო საქ-
მეთა მინისტრის, სახელმწიფოს კან-
ცლერის — ა. მ. გორჩაკოვის პორტ-
რეტი, რომელც დიდად მოწონებია
ე. სტახეს. ცნობილი რუსი მეცნიე-
რისა და მოგზაურის — პ. სემიონოვ-
ტიან-შანსკის პორტრეტი), მაგრამ
მათ გვერდით საკმაოდ მრავალდ
უხვდებით ისეთ ნაწარმოებებს, რომ-
ლებშიც კელერი რუსეთის არისტოკ-
რატის წარმომადგენელთა აშკარად
შელამაზებულ, იდეალიზებულ, პა-
რადულ სამეგბს იძლევა, რაც ავტო-
რის მხატვრული შეხედულებების გარ-
კვეულ მუსულდულობაზე მეტყველებს.
სწორედ ამიტომ კელერმა მხარი ვერ
აუბა რუსული ხელოვნების ისტორია-
ში უდიდესი მნიშვნელობის მოვლუ-
ნას — პერედვიჟნიკულ მოძრაობას,
რომლის წარმომადგენელთა ღმრე-
რატული და ჰუმანისტური იდეა-
ლები მათთვის სრულიად გაუგებარი
დარჩა. უფრო მეტიც: კელერი პე-
რედვიჟნიკების მოწინააღმდეგეთა
შორის იყო და თავგამოდებით იცე-
და აკადემისტთა შემადგასულ პრინ-
ციპებს.

აკადემისტური შტამში შედარებით
ნაკლებად იგრძნობა კელერის პეისა-
ჟეობა. პეისაჟით იგი განსაკუთრებით
შემოქმედების ბოლო პერიოდში ლა-
ინტერესდა, კერძოდ, 1872 წლიდან,
როდესაც პირველად ჩავიდა ყირიმ-
ში და ნახა მისი წარმტაცი ბუნება.
მას შემდეგ მხატვარი ყირიმის ხში-
რი სტუმარი გახდა. ეროხანა აქ
დამკვიდრებაც კი სცადა, მაგრამ ფე-

ხი ვერ მოიკიდა. ყირიმში შექმნა მან-
თავის სასუკეთესო პეისაჟები: „მშა-
ტისი მამული ბაიდარის კარიბჭით“,
„აი-იურის მამული ყირიმის მახ-
რეთ სახაპიროზე“ და უამრავი ვე-
რული. ამ სერიის ერთ-ერთ პოპულა-
რულ ნაწარმოებად ითვლება „ეირო-
გული დარაჯი“, რომელშიც პეისაჟის
ფონზე მოცემულია ილიური ჟან-
რული სცენა.

რუსეთის არისტოკრატისთან
ახლოებას კელერისათვის ხელი არ
შეუშლია დარჩენილიყო თავისი კან-
ქნისა და ხალხის ჭეშმარიტ პატრიო-
ტად. ყირიმშიც იგი თავგამოდებით
მუერვეობდა აქ გადმოხვეული ესტო-
ნელებს. მშირად ჩადიოდა ამძიმე-
ლოში. ბეჭდავდა თავისი სურათების
რეპროდუქციებს ესტონურ პრესაში.
1879 წელს ტალინის ლუთერანული
გელესიის ახსილის კონქი მოსატა.
მას ესტონელ მხატვართა შორის მ-მ-
ღვერებიც კი გაუჩნდა.


კელერი არც პეტერბურგიდან აკ-
ლებდა თავის ხალხს ყურადღებას.
წერდა სტატიებს, სხვადასხვა ინს-
ტანციებში გზავნიდა მემორანდუმებს,
რომლებშიაც მთავრობისაგან მოით-
ხოვდა ესტონელ გლეხთა მდგომარე-
ობის გაუმჯობესებას.

კელერი ვარდიცვლა 1899 წლის
22 აპრილს. ესტონელებს მხატვრის
ნეულ პეტერბურგიდან გადმოუსვენ-
ებით და მშობლიურ სურერე-იანის
სასაფლაოზე დაუკრძალათ. მალე
საფლავზე აღუმართათ მოქანდაკე
ადამსონის მიერ შესრულებული მშვე-
ნიერი ძეგლი — კელერის ბრწყინ-
აბიუსტი, რომელიც მაღალ კვარცხლ-
ბკვეთა შედგმულია.

იოჰან კელერმა, ერთი შეხედვით,
სრულიად შეუთავსებელი ფაქტებით
აღსაესე ცხოვრების გზა განვლო.
ლარბი გლეხის ბიჭი, შემდეგ მლე-
ბავი, გახდა რუსეთის მეფის კარის
მხატვარი, რომლის ნაწარმოებები
მრავალჯერ იყო ექსპონირებული რუ-
სეთსა და ევროპაში. ამასთანავე, მან
მყარი საფუძველი ჩაუყარა ესტონურ
ეროვნულ ხელოვნებას. იყო ერის ქო-
მაგი და მუერვე. სწორედ ამიტომ
აღნიშნა ესტონელმა ხალხმა ესოდენ
ფართოდ მისი, როგორც ილი მშა-
ტრისა და საზოგადო მოღვაწის,
დაბადების 150 წლისთავი.



დელის პორტრეტი.



ავტოპორტრეტი.



იურევის პორტრეტი.



სოფელი ჰაღინი.

მოკუაროთ ეთნობრაჟიულ კიბლას

ლევან ფრუიძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ხაზგასმით აღინიშნა: „ძალიან კარგია, რომ ახლა გვაქვს იურიდიულად დასაბუთებული ნორმები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ მიზანდასახულად გაწარმოთ მუშაობა ბუნების დასაცავად“.

აკად. გ. ჩიტაიას კლასიფიკაციით, ეთნოგრაფიული ძეგლები ორი რიგისაა! ადვილზე დასაცავი (ეთნოგრაფიული ნიშანთვისებების მატარებელი — ქალაქი, სოფელი, უბანი, ქუჩა, კარმიდამო, ნაგებობა და ა. შ.) და მუზეუმში გადმოსატანი (ნაგებობანი — უმეტესად ხისა, საყოფაცხოვრებო თუ სხვა დანიშნულების ნივთები). პირველი რიგის ძეგლები ეთნოგრაფიულ ნაკრძალთა კატეგორიას განეკუთვნებიან, ხოლო მეორეთაგან მუზეუმებში დასაუნჯებელი ექსპონატები შეირჩევა.

საერთოდ, კოლექციების შეკრებას სპორადული ხასიათი აქვს. როგორც წესი, თითოეული მეცნიერ-მუშაკი ცდილობს მოიპოვოს თავის საკვლევ თემასთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა, ხოლო სხვა დანარჩენს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ეს დაღს ასევე როგორც სამუზეუმო ფონდების შევსების საქმეს, ისე ეთნოგრაფიულ ძეგლთა აღრიცხვასა და დაცვას. არ შეიძლება არ

გაღიაროთ, რომ მუზეუმების მესვეურები კოლექციების გამოსავლენად იშვიათად აწყობენ სრულყოფილად ორგანიზებულ სამეცნიერო ექსპედიციებს; ამიტომ, ზოგჯერ, სარბიელი საეჭვო რეპუტაციის განძისმაძიებლებსა და კერძო კოლექციონერებს რჩებათ.

საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმმა ექსპონატების გამოსავლენად და შესაქმნად რამდენიმე ექსპედიცია განახორციელა. ამათგან გამოირჩეოდა 1973 წლის მარტის სამეგრელოს ექსპედიცია, როცა შექმნილი იქნა ძველი ხალხური ავეჯისა და ქსოვილების უნიკალური ნიმუშები, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე შეჩერდა. მუზეუმის ხელმძღვანელობამ გეგმარეზიუმით ექსპედიციების მოწყობა რატომღაც მიზანშეწონილად არ ჩათვალა და ეს წამოწყება ჩაიშალა. ამ მხრივ არც აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია სასარბიელო მდგომარეობა. მაშინ, როდესაც არქეოლოგიური გათხრები წინასწარ განსაზღვრული მტკიცე გეგმით მიმდინარეობს და მოპოვებული მასალის აღწერა და დაუნჯება მაღალმეცნიერულ დონეზე ხორციელდება. ეთნოგრაფიული ძეგლების გამოსავლენად თითქმის არაფერი კეთდება. კოლექციების შემკრები საგანგებო ექსპედიციები იშვიათია, თან მცირე

ჯგუფები და ისიც მოკლე ვადით მუშაობენ. მიუ-
 ელი ყურადღება გადატანისა მთხრობელთაგან
 ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერაზე, ნივთები კი
 მეტწილად უუყრადღებოდ რჩება. გამონაკლისს
 წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო მუზეუ-
 მის 1972 წლის სპეციალური სამეცნიერ-კომპლექ-
 სური ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ
 ეთნოგრაფები, არქეოლოგები და ხელოვნებათ-
 მცოდნეები (ხელმძღვანელი მ. ჩართოლანი). დი-
 დი სამუშაოები ჩატარდა ზემო სვანეთის კვლე-
 სებში შემონახული ნივთების აღწერა-დაცვი-
 სათვის. ასეთი ღონისძიებების გატარების შედე-
 გად ფასდაუდებელი განიხივნა გადარჩენილი,
 რომლის ისტორიული მნიშვნელობა ეროვნულ
 ფარგლებს სცილდება.

მავგავი ექსპედიციები უნდა მოეწყოს საქარ-
 თველოს ყველა კუთხეში და კარგი იქნება, ამ
 თვალთახედვით, მარტო ველისებს კი არა, ცალ-
 კეულ ოჯახებსაც თუ შევისწავლოთ. მხოლოდ ამ
 გზით შეიძლება სახლური საწვავე შთამომავ-
 ლობას შემოვინახოთ. ამოცანის გადასატრედად
 აუცილებელია შესაბამის ინსტანციათა (საქარ-
 თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კულტურის
 სამინისტრო, მეფლად ადგილის საზოგადოება, საი-
 სტორიო საზოგადოება და სხვ.) ძალების გაერ-
 თიანება, საკოორდინაციო სატყის და სახელმწი-
 ფო კომიტეტის შექმნა, რეგიონურ ერთეულთა ჩა-
 მოყვანება და გაძლიერება, სამოქმედო, გენერა-
 ლური პროგრამის შედგენა, ეთნოგრაფიულ ძეგ-
 ლთა დაცვის იურიდიული სტატუსის შემუშავება
 და, რაც მთავარია, ყველა მცენიერ-მუშაკისა და
 აქტივისტის დარაზება.

დანიტრეფებულმა პირებმა საველე მუშაობის
 დროს უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: კულ-
 ტურის ზოგიერთი ელემენტი, ემპირიული მიგნე-
 ბის შედეგად, განსაზღვრულ გეოგრაფიულ გარე-
 მოშია დაშვიდრებული და ლოკალურ ფარგლებს
 გარეშე ნაკლებ ეფექტს იძლევა. თუნდაც მისი
 მატარებელი ადგილობრივი მოსახლეობა აიყარ-
 როს, ის მაინც ადგილზე რჩება და მოსულთ ძა-
 ლანებურად თავს აათვისებინებს. მაგალითად,
 გაიკრება, რომ ქვემო ქართლის ნასოფლარებში
 დასახლებულმა უცხოტომელებმა ათივისეს კულ-
 ტურის ადგილობრივი რელიეფი: მაღალი საწარ-
 მოო ყოფა, თუენინა წაშალი ქვეული, მაინც ზეგა-
 ვლენის ქვე მოიქცევის მოსულთ. და ვინ იცის,
 რამდენი ცდა, თავისებება და დავიდარაბა დას-
 ქორდათ ახალბედებს, რათა გამკრალი მოსახ-
 ლეობის მიღწევანი შეეცნოთ და პრაქტიკულად
 გამოეყენებინათ. ამის ცოცხალი დადასტურება
 აკად. ნ. ბერძენიშვილს მოუპოვება თავის „ბორ-
 ჟომის ხეობის დღიური“¹³.

ამრიგად, მატერიალური კულტურის მკვლევარ-
 მა, და, მით უმეტეს, სამუზეუმო კოლექციების მა-
 ძიებებლმა, გვერდი არ უნდა აუაროს საქართვე-
 ლის მცხოვრებ სხვა სახლებს. შესაძლოა, მოთიან
 ქართული კულტურის მასხასიათებელი უფრო ძვე-

ლი ელემენტები კი აღმოჩნდეს, აღუშლოდ მიწის
 ქვეშიდან ან ნანგრევებშიც უშუალოდ.

ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც აკად. გ. ჩიტბაია
 გვასწავლის, დამახასიათებელი მკვეთრად გამო-
 ხატული ვერტიკალური ზონალობა: მთა, მთისძი-
 რი ანუ ფერად და ამათ შორის არსებული ბარი.
 რელიეფი დასერილია ხეობებით, რომელთაგან
 ზოგი სივრცის, ხოლო ზოგი ვერტიკალური მიმარ-
 თებით არიან კავასითადა და მცირე კავასითო-
 ნის ქედებთან. თეთვეულ ძირითად ზოლს საკუ-
 თარ, წიაღმივე მავკოვება თავის ბარი, ფერად
 და მთა. მამასადაც, მთავარი დაყოფის ძირითად
 და მარტენებლებს მცირე რაიონის (მიკრორაიონ-
 ნის) ფარგლებშიც მტვანდება. ასე მაგალითად,
 „ბარისათვის დამახასიათებელია: დიდი ქვენი
 7-8 უღელი ხართი, დიდი მოდგამი, დიდი ქვე-
 რი, დიდი გელაზი, დიდი ბარულ ურბი, კვერი,
 ხოლო მთისათვის ანაჩა სახენელი ერთი უღელ
 ხართი, მოძარევი საქონლის ფეხით ლეწვა; ფერ-
 დამი ორხელა სახენელი 2-4 უღელი ხართი,
 ჩოჩიალა ურეში და ბოლოთრია, მოდგამი და სხვ.
 ნაგებობების მხრივ მკვეთრად გამოირჩევა მთისა-
 თვის — ვერტიკალური განზომილებით ერთ-
 ქვექვე მოქცეული შენობა, რომელშიც მოცემუ-
 ლია, როგორც ადამიანის საცხოვრებელი, ისე სა-
 ქონლის სადგომი, როგორც ადამიანის, ისე სა-
 ქონლის მარაგის სათავსოები, ხოლო ბარში ნა-
 გებობანი პორიზონტული განზომილებებისა მო-
 ცემული: ცალკე ნაგებობა ცალკე სახურავით
 თეთვეული დამარხული შემობისათვის. რაც
 შეეხება გარდასადა ზოლს, აქ უპირატესად ნარ-
 რევი ტიპის ნაგებობებთან გვაქვს საქმე“¹⁴.

ამასთან ერთად, საველე მუშაკს წარმოდგენა
 უნდა ჰქონდეს დასახლებების ტიპსა და კარმიდნა-
 მთია სტრუქტურაზე. იცოდეს ამა თუ იმ უბნი-
 სათვის დამახასიათებელი საცხოვრებელ და სა-
 მუერნეო ნაგებობათა თავისებულებანი, მეურნეო-
 ბის და საერთოდ საწარმოო ყოფის სპეციფიკა.
 მხედველობიდან არ უნდა გამოირჩეს ეზოებისა
 და სავარგულთა შემოკავების საშუალებანი, აგრ-
 ეთვე მიჯნები, სამანები, ტყეშვები; სოფლი-
 თაშვეურის (საერთო), სახეხნო, სამანხო და
 სხვ.) და საკულტო ადგილები ნაგებობებით თუ
 მოწყობილობით; ისტორიული ძეგლები (ტაძრები,
 ციხე-კოშკები, სასახლეება და სხვ.), რომლებიც
 ცანკველ ზეგანებზე ახდენენ მახლობლად
 მცხოვრებთა ფსიქოლოგიაზე და ყოფაზე. მავა-
 ლითად, წრომის ტაძრის კონსტრუქციები დამკ-
 ვიდრებულთა ხაშურის რაიონის მცხოვრებთა საფ-
 ლავის ქვეზე, ნიკორწმინდის ბარელიეფებისა და
 ჩქუქრთმების მიბაძვას ნახავთ რაჭულ სახლებსა
 და ჭიჭურებზე. ამ გზით ისტორიული ძეგლი ეთ-
 ნოგრაფიული კვლევის სფეროში შემოდის, რაც
 უსათუოდ გასათვალისწინებელია.

თანამედროვე ქართულ სოფელში ამჟამად მან-
 სიურად დამკვიდრდა რეინაბეჭიანი, აგურით ან
 ქვით ნაგები ე. წ. „ქალაქური სახლი“, ხოლო


ძველი კოლორიტული ნაგებობანი იშვიათი გახდა, მაგრამ აქ-იქ ჯერ კიდევ შემორჩა მიწურ-ბანიანი და ერდოიან-გვირგვინიანი სახლი¹, დარბაზი, შუასახლი, დუროიანი სახლი, ოდა, მარები, ციხე-სახლი², ჯარგვალი, ფაცხა, ფაქუბა და სხვ. არის თანამედროვე „მოდაზე“ გადაკეთებული ძველი შენობებიც. ეთნოგრაფმა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ძველი ნაგებობანი უნდა აღრიცხოს, რის-წყალის მათი მდგომარეობა, სახელდობრ, რამდენად აკმაყოფილებს ისინი ეთნოგრაფიული ძეგლის ყველა მოთხოვნას, ე. ი., არის თუ არა ტიპური და იმდენად კარგად თუა შენახული, რომ მათი დაცვა შეიძლებოდეს.

სამეურნეო ნაგებობანი (რომელთაც რაჭა-ლეჩხუმში „შრამელ-ბურულბს“³ უწოდებენ, ხოლო იმერეთში „ნამშრალბს“⁴) მურნების იმ ლოკალურმა თავისებურებებმა წარმოქმნეს, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონს ახასიათებს. საერთოდ, საქართველოს ყველა კუთხეში მურნების ძირითადი და წამყვანი დარგები იყო მემინდვეობა, მევენახეობა-მელვინეობა და მესაქონლეობა. ისინი საუკუნეთა მანძილზე შერწყმულად, სიმბოიზურად ვითარდებოდნენ, რა თქმა უნდა, ვერტიკალური ზონალიზის შესაბამისად, მეტ-ნაკლები დასპეციალებით, რამაც თავის მხრივ განაპირობა სამეურნეო ნაგებობათა პროფილი. სახელდობრ, ხორბლულის შესანახად აღმოსავლეთ საქართველოში მოხერხებული აღმოჩნდა ორმოსარეობა, დასავლეთში კი ხულა-ბეღლები. ბზემ საბძელი მოიხიზება, ხოლო ჩალამ და თივამ — ზვინები. ღამისა და სიმინდის კულტურას ნაღია დასქირდა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა აგრეთვე მარნის განსხვავებული ტიპები: ღია და დაბურული, მარანი სახლის კომპლექსში, „მითილთა მარანი“⁵ და ა. შ.

მესაქონლეობის ხასიათი და დონე განსაზღვრავს ამ დარგისათვის განკუთვნილ ნაგებობათა ტიპებს. თუ მესაქონლეობა მომთაბარულია (არა ნომადური გაგებით), მაშინ მთავი მსუბუქ სამწყვდევებს აშენებდნენ, ხოლო სოფლად, როგორც წესი, ხშირად მკვიდრ ქვეითების ნაგებობას ვხვდებით (საბძელ-ბოსელი, თვალა და სხვ.). საბძელი, ბზის გარდა, პარკოსანთა (ლობიო, ცერცვისნარიები) ჩენს და თივასაც ითავსებს. ეთნოში ზვიჩქემა მშრალი ადგილი ხშირად წუნლთითა მოზღუდული ან სახელდახლოდ შეფიცულია (გურ. „გორდლი“). გამოყენება სხვადასხვა მიზნით: პირუტყვის სამწყვდევად, ხილის, ხმელი ფოთლის, ფუჭრის, ნაფოტების შესანახად.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით ბევრი იყო ნაგებობანი მეფრინველეობისა და წვრილფეხა მესაქონლეობისათვის: საღორე, საცხვრე, სათხე (მარაკა), საჭათმე, საბატრე-საიხე და სხვ.

იქ, სადაც ტექნიკური კულტურები (სელი, კანაფი, კაკალი და სხვა) მოჰყავდათ და ამუშავებდნენ, გამართული ჰქონდათ ზეოსახლდები. წყლის წისქვილები (ღილაბი, ბუჭულა, გვიმიანი-



პალატინი სახლის წინა ხედი. იმერეთი.

კოდიანი და სხვ.) ხომ ქართული ყოფნს არცებითი დეტალი იყო (აგრეთვე სამკვდლო, სამეთუნეო ნაგებობანი და ა. შ.).

ეთნოგრაფის ფხიზელ თვალს არ უნდა გამოეპაროს ისეთი „სურვილები“, სადაც გადასწვმიებულად ან მზეზე გასაშრობლად თავსდება დაუბინავებელი მოსავალი, ასეთია: ფარდული, ლაფარო, დომანი, ცალმაგი, ჩხანჭი, საფრცობილი და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა საკულტო დანიშნულების ნაგებობანი: ეკლესია, სამრევლო, სამლოცველო, ნიში; სამალავი, სახიზარი, დილეგი, ხარო, გვირაბი, დარანი, წყაროსთავი, აბანო, საპირფარეო, დუქანი, ფუნდუკი, აბაყა, მუზერის ქიხი, მეველის კარავი და სხვ.

თვით ამ არასრული, სახელდახლო ჩამოთვლილთაც კი ნათელია თუ რა მდიდარი და მრავალფეროვანი ის ყოფილი რელიეფი, რაც ქართველ ხალხს თითქმის დღემდე შემორჩა. გაიგოს ათიოდე წელი და არამეტუ ნივები, მათი სხიფაც გაქრება. ამიტომ, საზოგადოებრივ საქმედ უნდა ვაქციოთ ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვება და თუ ეს დროულად არ გაკეთდა, ჩვენი მატერიალური კულტურის ისტორიას აუნაზღაურებელი ზარალი მოუვა.

სასურველი მდგომარეობა არც ძველქართული კარმიდამოების შენარჩუნების საქმეში გვაქვს. ჩვენი აზრით, უკვე დადგა დრო საქართველოს თითოეულ კუთხეში შევარჩიოთ ტიპიური, ძველი კოლორიტის კარმიდამოები და ვიფიქროთ მათ დაცვა-შენარჩუნებაზე. თუ ეს დღეს არ გაკეთდა, ხვალ ამაოდ გავიჩქავით.

მრავალი ეთნოგრაფიული ძეგლია გამოვლენილი და შესწავლილი ხელოვნებათმცოდნეთა



(გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, ლ. ჩრეელიძე-ლი, ლ. სუმბაძე, ი. ადამია და სხვ.) მიერ. მათი ღვაწლის შედეგად შეამოწამა ლეონის შემოწამება უნიკალური ნაკვობათა ანაზომები, მაგრამ თვით ნაკვობათა უზრავლესობა მთლიანად ან ნახევრად განადგურებულია. ასეთ ფონზე საგანგებოდ გამოსაკვლევი და მტკად პრობლემატურია ეთნოგრაფიული ნაკრძალების შექმნის საკითხი. ამ თვალთახედვით სპეციალური ძიება ჯერ არაფერს ჩაუტარებია. ნაკვლებად იცნობის ევროპის ქვეყნების გამოცდილებასაც. დრო კი არ ითმენს, ჩვენს თვალწინ ქრება ერთნული კოლორიტის მქონე სოფლები, ქალაქებში უნებში. ამისათვის თბილისის მაგალითიც კმარა (ორთაჭალა, რიყე, ვერა, ავლბარი...). ვინ მოთვლის, კიდევ საქართველოში რამდენმა დასახლებამ დაკარგა თავისი სახე, რამდენი ძვირფასი ეთნოგრაფიული ძეგლი განადგურდა უკომუნარობისა თუ გულგრილობის შედეგად. ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილი წუხდა თბილისური აივნების მასიურად გაქრობის გამო. 1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ დასვა საკითხი ორი ეთნოგრაფიული ობიექტის — სოფელ ლახირის (ზემო სვანეთი) და სოფელ შატილის (პირიქით ხევაშიეთი) სახელმწიფო ნაკრძალებად გამოცხადების შესახებ. მოაგრობის სახელზე დაიწერა სათანადო მოხსენებით ბარათი, რომელმაც ყველა ინსტანციამ დადებითი დასტური მიიღო, მხოლოდ იურისტების მხრით წააწყდა წინააღმდეგობას. მათ ვერ გაითმანეს სათანადო იურიდიული მოდუსი ამ წინადადების ცხოვრებაში გასაძირებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი სახელმწიფოებრივი ნაკრძალები ბევრ სოციალისტურსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არსებობდა⁹.

დღეს ნაკრძალთა შექმნის საქმეში გარკვეული პროგრესი იგრძნობა. ასე მაგალითად, „სამი წლის წინ საქართველოს მთავრობამ არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადდა დაბა მესტიის ძველი განაშენიანება, მდ. მესტია-ჭალის მარცხენა მხარეს, რომელშიც შედის მესტიის თემის ძველი სოფლები და უბნები: სეტი, ლანჩავლი და ლალამი. 1973 წლის დასაწყისში მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დაბა მესტიის გენერალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ხუროთმოძღვრული ანსამბლის არ მარტო დაცვას, არამედ ყველა ღირსი ძეგლის, მამართლუ იმისკენ, რომ ზემო სვანეთის ეს ცენტრი გადაიქცეს სანნიშუმოდ კეთილმოწყობილ დასახლებად¹⁰. მიღებულია დადგენილება თბილისის ისტორიული უბნების ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. ნაკრძალებად ითვლება ვარძია და მცხეთა, მაგრამ აქ უფრო მეტად არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგლები იგულისხმება, ხოლო ეთნოგრაფიულს ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ვალიარათ, რომ ზოგი რამ მაინც გაკეთდა, სახელდობრ შექმნა ქართული ხალხური ხუროთმოძღვ-

რებისა და ყოფის თბილისის ღია ცის ქვეშე შეუშო და ზოგიერთი ეთნოგრაფიული ძეგლის დაცვაც არის შემდგომი ორგანიზების დადგენილება.

„ზღვა კოვზით დაიღვევა“ — თუქმება ხალხს, მეტეკიდრობას მოვლა და შენატება სჭირდება. ჩვენში ძეგლთა ხალხური ერთგვარი ნიპილიზმი დაბადა. მეშვიდე, მათე თან მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების თუ არის ნაკვობთა, კიდევ პო, მიწყალების თვალთ დადავებდებო, მეჭვიდმეტე მეთორმეტე საუკუნის ძეგლი თითქმის არაფრად მიგვჩანია, ხოლო მეცხრამეტე-მეოცეში რაღა სალდაპარაკოა. ასეთი ფუფუნება თუ თვითდამწმენდება არა მარტო საგულალთა, არამედ ძალზე მიკნებელიც. მართალია, ძეგლის ასაკი საპატოთა, მაგრამ ხანდაზმულთა ყოველთვის მისი ღირსება (მით უმეტეს ეთნოგრაფიული ძეგლისი) საზომად არ გამოდგება. წინაპართა გარჯის ნიშანი რასაც ამჩნევია, ყველაფერს სათუთი ყურადღება და დიდი გულისხმიერება სჭირდება. ვინც შრომის ფასი იცის, სხვის ნაშაგარს იოლად ვერ გაიმეტებს. ამიტომ თითოეული გულამოღებული თუ გამოკოპიტებული ქვა, კლდეში გაჭრილი სახიზარი თუ დარბაზი, ყველა ფასეულია, მეცივრებისა და მომავალი თაობებისათვის ისევე საჭირო, როგორც ჯვარი, სვეტიცხოველი თუ ნიკორწმინდა. ამ დღებში ღაძრებისა და ხუროთმოძღვრული კომპლექსების დაცვაც ხშირად იწვევება, ხოლო მცირე და უწინარი ძეგლები დვითნანაზარდად მიტოვებული. ამა ვის რაში ენადლევა თუ სადმე ბუღდოზურმა საფლავის ქვა, წებრის ტაბატი და დღობაი ხეში გადამჩა, გზის გაფართოების დროს აფეთქებათა შედეგად დარან-სახიზრები და კლდეგარნი დაანგრია. როცა 1932 წელს ყოფილ სამეფო სასახლეში აკად. ნ. ბერძენიშვილმა ქათმების ფერმა ნახა, აღშფოთებულმა ეს სტრიქონები დაწერა: „სადა ჩვენი სიძველეთა დაცვის განყოფილება, რომელზედაც საკმაოდ მორჩილი თანხა იხარჯება ყოველწლიურად. რატომ არ აქვს ასეთ ადგილს დაცვის ტრაფარეტი, რატომ არ მოგვეპოვება დღემდე ბროზურა დასაცავი ძეგლების აღნიშვნით, რატომ არ ეწევა ეს დაწესებულება ზეპირსა და წერილობით პროპაგანდას ძეგლების დაცვის საჭიროების შესახებ, მაგრამ იცის კი განყოფილებამ, სადა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები? ან რა ძეგლებს სთვლის იგი ისტორიის ღირსად და დაცვის ღირსად? არის ერთი ციხე ან ხიდის ნანგრევი ან სასახლის ნანგრევი მისი მხრუწველობის ქვეშ? ან ყველასათვის ცნობილ ეკლესიების გარდა სხვა რაიმე ძეგლები იმყოფებიან ვინმეს მეთვალყურეობის ქვეშ? და რა საცკვირია, რომ რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ იცოდნეს ასეთი ნაშთების მნიშვნელობის, მათი დაცვის საჭიროების შესახებ. დამნაშავე იქ კი არა, აქაა საქმებარი¹⁰.

სამხრეთ საქართველოს ძეგლების მდგომარეობ-

ბის შესწავლის შედეგად 1948 წელს აკად. ნ ბერძენიშვილმა ასეთი პრაქტიკული წინადადება წამოაყენა: „საქართველოში, განსაკუთრებით, ქვემო ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, სამცხეში, თორმე მრავალი ისეთი ძეგლი, რომლის დაცვა ადგილზე მეტად ძნელია. ასეთი ძეგლები უნდა შედმოწვიან შესწავლო იქნას და თბილისში ჩამოვიტანოთ, სადაც შესაძლებელია ამ ქვებისაგან აშენდეს ორიგინალური სასახლე ისტორიული ძეგლების დასაცავად. ვფიქრობ, ეს წინადადება დროულია, პრაქტიკულიც და შეასფერისიცი... მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე და დღესაც ასეთ ქვებს კერძო პირები (მოსახლეობა) თუ დაწესებულებანი იტაცებენ (მარტო აწყურის ტაძრის პერანგი რად ღირს)... უნდა შეგროვდეს, სადაც ეს შესაძლებელია, ხოლო ისეთები, ცალკეულად რომ ყრია მიწის ზედაპირზე ან დამარცხალია, უნდა თავი მოეუყაროთ და თბილისში ჩამოვიტანოთ“¹¹.


გამორჩეული მეცნიერის ამ ცდას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. სამწუხაროდ, ძეგლთა ხელყოფა დღესაც გრძელდება. თავი რომ დაეანებოთ ძველ სასახლადათა მასივს უნდა განადგურებას, უპატრონოდ დარჩენილი ქვეყრ-მარნების, საწახლების, ჭაჭის საწნხთა ტაბაკ-ავაზების, ზეთსახდელთა, საცეხელთა, საპორტული დანიშნულების საჯილდო ქვების, შემეხური და შეუქმებელი ნიშნულსეკველების, სამანების და მისთანათა მტკრევა-განაივებას, კვლავ მიწასთან სწორდება მონუმენტური ძეგლები, როგორცაა ჰამამლის ქვა-ჯვარი და მისი წარწერის მოსპობა, ამავე სოფლის ეკლესიის დასაკლეთის კედელთან ორი წარწერიანი ქვისა და საპირე და მონუმენტური ქვების ამოგლეჯა, დამტყევე, „ლამაზი საყდრის“ დიდი წარწერიანი ქვის მოსპობა, სოფ. კიანეთის ეკლესიის კედლებთან საპირე ქვების ამოღება და ზოგიერთ ქვაზე ჩუქურთმების ამოკოვდა (ეს იმ დროს, როდესაც ეკლესიას მშველი ჰყავს), სოფ. მუშანის ეკლესიის აღმოსავლეთის კედლის დანგრევა, სოფ. ჩაბახში სამრეწველოს ზედა თაღოვანი ნაწილის აფეთქება და მოსპობა და სხვა, არ არის ცხოვრებისეული მიზეზით გამოწვეული. ეს არის შეუგნებელი ადამიანის ბოროტმოქმედების შედეგი. ჩვენი საზოგადოებისათვის უნდა ნათელი გახდეს, რომ თითოეული ძეგლის დაზიანებას აუნაზღაურებელი ზარალი მოჰქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნის კულტურისათვის, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობისათვისაც და რომ ამ ფაქტების შერიგება არის მთელი დანაშაული. დროა ბოლო მოეღოს ამ გუადრეხსად აღმამყოფთებელ და სრულიად შეუწყნარებელ მოპყრობას ისტორიული ძეგლებისადმი¹².

სწორედ ასეთი ფაქტების შედეგად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში საგანგებოდ გაიხილეს კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის საკითხი. ხაზგას-

მით აღინიშნა, რომ „კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში არის ნაყოფიანებანი, რომელთა დაუყოვნებლივ სწრაფი აღმოფხვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიანია პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მთელი საზოგადოების დიდნიშნელოვან ამოცანად. დადგინდა ფაქტები, როცა ისტორიულ ძეგლებს არა თუ გულგრილად და უპასუხისმგებლად ეკიდებიან, არამედ განზრახ აზიანებენ და სპობენ კიდევ. 1969-1970 წლებში დამინის ტაძრის ტერიტორიაზე მოხსეს XI საუკუნის ძეგლი — მიჩუქურთმებული ქვის ჯვარი, რომელზედაც ძველი ქართული წარწერა იყო, დაზიანეს XII საუკუნის ეკლესია, განადგურეს შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები, აფეთქეს ძველი სამრეკლო. რაიონის თანამდებობის პირებმა რომლებსაც არათუ არ აღუკვეთიათ ამგვარი მოქმედება, არამედ ფაქტების გამოძიების დროს არასწორი პოზიციის დაიკავეს და გააყალბეს მონაცემები. ეს პირნი განათავისუფლებულნი არიან თანამდებობიდან და მცაკადმდ დაისაჯენ პარტიული სახით, მაგრამ დღემდე დადგენილი არ არიან პირები, რომელთაც ბოროტმოქმედება ჩაიდინეს“¹³. ამასთანავე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაჭრით მოსთხოვა რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყებას, საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს შეანრულონ წარმოების ზონაში არსებული, ან აღმოჩენილ კულტურის ძეგლთა დაცვის ის წესი, რომელიც მოქმედებდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებანი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულეებით კულტურისა და ბუნების ძეგლთა ხელყოფით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დავისრაით¹⁴. მაგრამ ძეგლებს ბოროტმოქმედებანი მიიწვევ ვიცავთ. ხუთიოდე წლის წინათ, გზის გაფართოების მიზნით, რაჭაში აფეთქეს ისტორიული ნაგებობებით გარშემოტყმული ბიციკარის კლდეკარი, ხოლო მარმანჭინი ასეთი აფეთქების მსხვერპლი გახდა ლეჩხუმში მურის კლდეკარი, რის შედეგადაც არა მარტო კლდეკარი დაზიანდა, არამედ ძველი თაღოვანი ხიდი ცენტრისწყალში ჩაიანქა. რა თქმა უნდა, გზის გაფართოება აუცილებელია, მაგრამ ისტორიულად ცნობილი კლდეკარები ხელულებელნი უნდა დარჩენილიყო.

რაჭა-ლეჩხუმში თავმოყრილია ძველქართული არქიტექტურის მრავალი ნიმუში: მინდაციხე, კვარაცხე, დემციხე, დეხვირის ციხე, მურის ციხენი და ფრილო კლდეკარი; ვალკატინის შთავიანება — ნიკორწმინდა, ზემო კრიხი, მრავალძალი, ბარაკინი, პატარა ინი და ხელთუქმენი ლაბეჭინა... მართალია, მათ მოვლასა და აღდგენას სათანადო ყურადღება ექვეყნა, მაგრამ დროდადრო აღდგენა აქვს რევიდირება.

ენთოგრაფიული ძეგლების გამოკლების, აღ-





ღმავი. საზარე.
ქიზრის სვეტი იმერეთიდან.

რიცხვის და დაცვის საქმე, საერთოდ, რესპუბლიკის მასშტაბით მოუგვარებელია. უფრო მეტიც, ამ თვალსაზრისით საგანგებო, თანმიმდევრული მუშაობა ჯერ არავის უწარმოებია. თითო-ორთა, თუკინდ წარმატებულ ცდას მდგომარეობის შეცვლა არ შეუძლია. სწორედ ამის შედეგია, რომ თვალსა და ხელს შუა გვევლება თიანეთის მონუმენტური ნაგებობანი და სოფელთა განლაგების განუმეორებელი კოლორიტი. ჯერ კიდევ ორიოდ წლის წინათ სოფ. გლოლის (ონის რაიონი) ძველი უწინა ეთნოგრაფიულ სურნელს ინარჩუნებდა. ქვიტიკრის მრავალსართულიან ნაგებობათა შორის ძეგლებით მობიკეთებული ქუჩაანდები ჩახლართულიყო. თიბო-ბოკრო ყორეები, სანახშინი (თავშესაყარი და სასაბურთო ადგილი) და წყარონი თვალს ახარებდა. მთელს უბანს თავსებურ სილამაშეს მატებდა ე. წ. „სასატურმო სახლი“ მოჩუქურთმებული სვეტებითა და ფართო მერხებიანი აივნით. სოფლის მშენებება იყო ადგილობრივი, ორიგინალური სტილით ნაკები ვარდო სულთანიშვილისა და გლახო ლობჯანიძის ორსართულიანი, ქვიტიკრის სახლები. საშუაზროდ, ახლა მათი მხოლოდ ნანგრევებილია დარჩენილი. ზედაქაქის ეკლესიაც, რომლის კედელს ოღესდღე თამარ მეფის

ფრესკა ამშვენებდა, თანდათან დადნა, დაილია. უკეთესი მდგომარეობა არც ჭიორაშია. ამჟამად ფელზე თქვა ფრანგმა მეცნიერმა და მოგზაურმა დიუბუა დე მინბერემ, რომელიც გნებათ შუასაუკუნოვან გერმანულ ციხე-ქალაქს შემურდებამო მისი. ეს იყო XIX საუკუნის 30-იან წლებში. ახლანდელი ჭიორა ძველი და ახალი ნაგებობების კონგლომერატს წარმოადგენს. აქა-იქ კიდევ დგას გადაკეთებული, მაგრამ მაინც სახეშენარჩუნებული, მრავალსართულიანი ციხე-სასახლეები საოფურებით, თახჩა-კვებოებით, ურდულ-საგდულებით, ნარტყელა-აყრულებით და მტრის რისხვა სამდურღავებით. სამდურღა -- შიშინანობის დროინდელი ეს გამოგონება ნაკლებად ცნობილია: მეორე სართულის კვებოდან ქვიტიკრში კარისაკენ გადიოდა სადინარი. იქ ჩახსმული მდღღარე კარზე მომდგარ მტერს თავზე ევებებოდა.

ღები — რიონის სათავეებთან მდებარე ეს სოფელი რაჭის თავი და სიამაყეა. ვისაც ერმაკონისეული ფოტოსურათი უნახავს, სადაც ღების განუმეორებელი არქიტექტურაა ასახული — მრისხანე, დუროიანი ციხე-სახლებით და ზეცისაკენ ისარივით ატყორცნილი უმარავი კოშკით, დამერწმუნება, რომ დღევანდელ ღებში იმ ღების ვერ იცნობს. კოშკი მხოლოდ ერთიდა დარჩა, დედალეთისას სახელობისა, აგრეთვე ერთადერთი დუროიანი სახლი გადაურჩა ფაშთა სიაყეს. 1958 წელს ამ სახლის მფლობელსა და ონის რაიონის კულტურის განყოფილებას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მის დაცვას და შიამიშვილობისათვის შემონახვას, მაგრამ პრაქტიკულად დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში არ დარჩენილა შესაბამისი ინსტანცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო-ტელევიზია, არ გამომხსურებოდეს აღნიშნული ძეგლის საგანგებო მდგომარეობას, მაინც ყველაფერი ძველურად რჩება, მხოლოდ ბუნების წყალობით თუ რაღაც სასწაულით იგვიანებს კატასტროფა. ე. ი. მოთველებული კედლების, უსახურად დარჩენილი სახლის ნგრევა.

ჩვენი აზრით, ძეგლთა დაცვის სულყოფილი ორგანიზაციისათვის, პირველ რიგში საჭიროა მათი სწორი მეცნიერული კლასიფიკაცია. ცალკე უნდა გამოიყოფოს ისეთი გრანდიოზული არქიტექტურულ-სპელოლოგიური ობიექტები, როგორიცაა ვარძია, უფლისციხე, დავითგარეჯი, აგრეთვე ნაქალაქები — სამშვილდე, დმანისი, უჯარმა. კვებურა, ნოქალაქევი და სხვა მრავალი. მათი თხრა ისე უნდა წარმოამთოს, რომ ითვალისწინებდეს მთელი ქალაქის პირავადი სახით აღდგენას, ასევე მასოფლოვარო მიმართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიხრებს უარყოფითი შედეგი მოაქვს და ისედაც იაკარქმნილ ძველ დასახლებებს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს, რაც მთავარია, მომავალ თაობებს უკარგავს ამ ფასდაუდებელ

ძველთა გვერდსა მოიხრად აღდგენის შესაძლებლობას.

გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა დაისახოს დღემდე მოღწეული ციხესიმაგრეების, საკულტო ნაგებობების, ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშების რესტავირება-შენარჩუნებისათვის — მისასვლელი გზებიდან მოკიდებული, კედლების გამაგრება-გადსურვამდე. სანამ ეს გაკეთდებოდეს, რაც შეიძლება მალე, უნდა შევძლოთ მიწის ზედაპირზე არსებული ყველა ძველის მეცნიერული აღრიცხვა-პასპორტიზაცია, რათა ბოლოს და ბოლოს, დაგადგინოთ მათი რაოდენობა. როგორც ჩანს, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შესაბამის განყოფილებებს, ჯერჯერობით, ამ ამოცანის გადასაწყვეტად სათანადო ძალა არ შესწევთ. ასეთ ტემპით თუ წარიმართა მუშაობა, სანამ ძველთა განზრახულ მრავალტომეულს გამოვაქვეყნებდით, ეს ძველები ხელში შემოვაადნება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევძლიოთ ძველების სრული სიის შედგენა და დაცვის საჭიროების მიხედვით რაღაც რიგის დაწესება. ეს დაგეგმარება სამუშაოთა განსაზღვრაში და მეტად საჭირო წინასწარ ცნობებს მოგვცემს საერთო მდგომარეობის შესახებ. ამ საქმის განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამის ინსტანციათა არა მარტო კოორდინაცია, არამედ ერთი პასუხისმგებელი ორგანოს ჩამოყალიბება, სადაც გაერთიანებული იქნება სახსრები და სპეციალისტები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუვშაოთ უწყებათა შორის, არსებული ფინანსური შესაძლებლობების გაუმართლებელი განთესვა, რისი უარყოფითი შედეგი ამჟამად ასე თვალნათლივ ჩანს.

ძველის დაცვა მისი მართოდენ რესტავრაციით არ განისაზღვრება, მით უმეტეს, ზოგიერთი ნაგებობა რესტავრაციას ვეღარ აიტანს. ასეთ შემთხვევაში უმაღლეს დონეზე უნდა გადაწყდეს მათი მოხარბა აგების საკითხი, თოვლდ სანამ ეს მიხერხდებოდეს, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე უნდა მოხდეს თითოეული მათგანის დეტალური ფიქსაცია (კინო-ფოტო გადაღება, არქიტექტურული აგებნარება-აზომვა და სხვ.). კომპლექსური ფიქსაცია ძველის დაცვის არსებითი მხარეა, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვითვალისწინებთ.

ეთნოგრაფიულ ძველთა გამოვლენა-შენარჩუნების საკითხი უფრო რთულია, რადგან მრავალი დასახლება და ოჯახია შესასწავლი. ამას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ მეცნიერულ მეთოდისკა შევიშუშავებთ და სათანადო მომზადების შემდეგ ამ საქმეში ფართო აქტივს ჩავაბრუნებ, მეტადრე ახალგაზრდობას და პენსიონერებს.

არ არის სავალდებულო მოსახლეობაში თავმოყრილი ყველა ეთნოგრაფიულად ღირებული ნაგებობის თუ ნივთის მუზეუმში დაუნჯება. ეს არა მარტო შეუძლებელია, არამედ არასასურველიც (ჩვენ გვაქვს ფაქტები მუზეუმებში ექსპონატების გაფუჭების). უნდა გაკეთდეს მეცნიერულად ფასეული ნივთი აღრიცხვა და მათ მფლობელს დაგაცისროთ შესახებ მისი პასუხისმგებლობა, საფუძველზე კანონისა „ისტორიისა და კულტურის ძველია დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს მუზეუმებში, თავმოყრილი ეთნოგრაფიული კოლექციების, განსაკუთრებით ისეთი, ადვილად რომ ფუჭდება (ხე, ქსოვილი, ტყავი და სხვ.) ნივთების სადღეისო მდგომარეობა, გამოინახოს მათი დაცვა-შენახვის გზები და სახსრები, რაც მოვაგროა, აწმენდეს მიწისზედა და მიწისქვეშა (ექსპონატების მოთხოვნათა შესაბამისად) საცავები, სადღეისო მდგომარეობა იქნება საჭირო ტენიანობა და მუდმივი ტემპერატურა. აღნიშნული საცავები ისე უნდა დაპროექტდეს, რომ ნივთის იქ განლაგება ექსპონირებად გულისხმობდეს, მაშასადამე, სანახაობით მხარესაც. მით უმეტეს, ბევრ კულტურულ ქვეყანაში მუზეუმში, მატერიალური კულტურის ძეგლი არამეტოვ თავისთავს ინახავს, არამედ მოვება იძლევა, ხოლო ჩვენთან ამის განხორციელება რატომაც ვერ ხერხდება. და თუ ამ მოვალეობულ ვერს გადვლახავთ, ძველზე გაწეული ხარჯები მოკლე ხანში ანაზღაურდება და მუდმივი შემოსავლის წყაროდ იქცევა.

გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძველთა დაცვის შესწავლათა და ძველების მონახულების მსურველთა შორის სასურველი კოორდინაცია არ არსებობს. იქნებ არსებობს, მაგრამ ცხოვრებაში ეს არ იგრძნობა. ასე მაგალითად, სოფელ გოლომისთან მდებარეობს რესაუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე ტურისტული ბაზა. სად იყვნენ აღნიშნული ბაზის ხელმძღვანელები, როცა ამ სოფლის უძველესი უძნძი ხელოვნებით ინეროდა! შოვის დღეთაგორი ბუნების შემდეგ, რა უნდა ენახათ ტურისტებს მასზე უკეთესი? ანდა, ტურისტულ მარშრუტში რატომ არ უნდა იყოს ჩართული ჭიორა და ღები, თუკი იქ, გადარჩენილ ეთნოგრაფიულ ძველებს სახეს დაგებურნებთ ე. ი. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ესთეტიკურ ღირებულებას აღვუდგენთ. სანამ გვიან არ არის, ღირს ყოველივე ამაზე დაფიქრება.

არანაკლებ საყურადღებოა ექსკურსიების კვალიფიციური გიდებით მომსახურების საკითხი. გიდის მოვალეობას ხშირად ძალაუხერხად ძველის მცველი ასრულებს და, ბედნიერი გამოთვლით, სის გარდა (ნიორჭონიდა, არმაზი), ცნობის მოყვარე სტუმრებს რაღაც აბაღუბლით ვუმსახიძლდებით. სამწუხაროდ, ტურისტულ ბაზებსა და ბიურობშიც იშვიათად ნახავთ სათანადო ცოდნის და მომზადების ექსკურსიამფლობელს. ხომ არ აჯობებდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს დაცისრებოდა ეს მოვალეობა, რომელთანაც შესაძლოა შეიქმნას კვალიფიციურ ექსკურსიამფლობელთა განყოფილება. ვფიქრობთ, ეს ადვილი განსახორ-

ციულებელია, რადგან მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თითქმის ყველა რაიონში არსებობს, ხოლო სადაც არ არის, უნდა შეიქმნას. ასეთოდ, ჩვენი აზრით, უმჯობესია ისტორიულ-ეინოგრაფიულმა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა, რესპუბლიკურ დაწესებულებებთან ერთად, იკისრონ ძველთა გამოვლენის, დაცვისა და პოპულარიზაციის საშვილიშვილო საქმე, მათთვის განკუთვნილ რეგიონებში. ეს უფრო ქმედითად და მოხერხებულად გვესახება, თუგინდ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა უფრო კონკრეტული და ზღვარდადებული იქნება.

ტურიზმის განვითარების თანამედროვე დონე, მოსახლეობის ინტერესი საკუთარი ისტორიისა და მხარისადმი, აზრიანი, კულტურული დასვენება, შესაბამის დარგებში აუცილებელს ხდის მუშაობის კარსინალურ გარდაქმნას. ძველი კულტურის განძეულის ბუნებრივ და ისტორიულ-ენოგრაფიულ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნება დიდ-მნიშვნელოვანი სადღეისო ამოცანაა.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დავთმოდ ახალგაზრდობის ესთეტიკურად აღზრდის საქმეს. მოპოვებულ წარმატებებთან ერთად აღინიშნა, რომ „ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკურად აღზრდისათვის გულგრილად ვერ მოგვეიდგებით იმას, რომ ჩვენთვის უფრო ნაკლებად, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში, დადიან თეატრებში, კინოთეატრებში, ბიბლიოთეკებში, კარგი იქნებოდა, რომ ამ პრობ-

ლემის შესწავლა დაეწყათ ჩვენს სოციოლოგების ლიტერატურათმცოდნეებსა და ხელოვნებათმცოდნეებს“.

ამ რიგის პრობლემათა შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური კულტურის ძეგლებს. დასაძალი არ არის, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ძეგლის სანახავად იშვიათად მიდის, ანდა თუ წაა, მისი ისტორია და მნიშვნელობა ნაკლებად იცის. სწორედ ამ ზერელე დამოკიდებულების შედეგია, რომ ისტორიის მძეინვარე ქარტიხილებში გამოტარებულ ჩვენს ძეგლებზე „უკვდავების მაძიებელი“ ამაზრუნ კვალს ტოვებენ, ხოლო ძველთა წმინდა შემოგარენი უაზრო ღრეობის ადგილად იქცევა ხოლმე. ახლა, როცა ხალხის ჯანსაღი ტრადიციების დამახინჯების წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლა გაიშალა, მოუთმენელია და სოციალისტური ყოფისათვის შეუთავსებელია ისტორიული რელიქვიებისადმი ვულგარული დამოკიდებულება.

საჭიროა ძველი ახალ მოთხოვნათა სამსაზრეში ჩაეყენოთ და მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის კერად ვაქციოთ. ეს რომ მიზანწარუფულად განხორციელდეს, აუცილებელია ძველთა შესახებ, რაც შეიძლება მეტი, კომპლექსური ხასიათის ლიტერატურა გვეწოდეს. ამ ამოცანის შესრულებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესაბამისი დისციპლინები პირნათლად მოიხდიან სპატიო ვალს პარტიისა და ხალხის წინაშე.

შენიშვნები:

1 გ. ჩიტიია, ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები, „ძველის მეგობარი“, № 25, 1971, გვ. 42.
2 ბუნებრივია, რომ სტატუსის საფუძველი გახდება ანონი, „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოვლენის შესახებ“.
3 ლ. ფრუძე, ქვემო ქართლის ენოგრაფიული ექსპედიცია, მაცნე, № 4, 1971; ლ. შოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიად (ხალხური ზეთსახელები აბაფეხი); თბ. 1962; ვ. ბეღუაძე, ქვის დამუშავება ალგეთის ხეობაში, თბ. 1973.
4 ნ. ბერძენიშვილი, თხზ., ტ. I, თბ. 1964, გვ. 256.
5 გ. ჩიტიია, ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები, გვ. 48.
6 თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებლები, თბ., 1960; თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიად, თბ. 1967.
7 ე. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, საცხოვრებელი ნაგებობანი, თბ. 1967.

8 „ძველის მეგობარი“, 25, გვ. 40.
9 ლ. სუბაძე, საქართველოს შიონეთი: ზეზროთმოდრეული ტრადიციები და თანამედროვე პრობლემები, „საბჭოთა ხელოვნება“, № 1, 1974, გვ. 33.
10 ე. სოხაძე, შ. პაპიძე, დამოიანები და ძეგლები.
11 ნ. ბერძენიშვილი, თხზ., 1, 1964, გვ. 13.
12 ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 274.
13 რ. შეფიკაშვილი, კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ, „ძველის მეგობარი“, № 26, 1971, გვ. 30.
14 კულტურის ძეგლთა დაცვის შეუნელებელი ყურადღება, „თბილისი“, № 9, 12 იანვარი, 1972, გვ. 1.
15 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისლის სართლის კოდექსის 254-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ, „კომუნისტი“, № 22, 21 სექტემბერი, 1972.

მეგობრებების წიგნი*

ლადო გულიაშვილი

არ მინდა ისე გამოვიხატო პარიზს, რომ იქ ჩემი მეგობარი ქართველი მხატვრების საქმიანობაზე არაფერი ვთქვა... არაფერი ვთქვა დავით კაკაბაძეზე, ელენე ახვლედიანზე, ქეთო მალალაშვილზე... მხოლოდ სიყვარული და მადლობის გრძობა მაკავშირებდა ამ ადამიანებთან მუდამ, მთელი ცხოვრების მანძილზე... განსაკუთრებით დავითთან...

დღეს დავითის სახელს მოფერება აღარ ჭირდება... ყველამ კარგად იცის, რა დიდი და საინტერესო მხატვარია... ადრე კი მისი მოუსვენარი, მუდამ ახლის მაძიებელი სული ყოველთვის ერთნაირ გამოსხმურებას როდი პოულობდა, -- პირიქით, ზოგჯერ ძალიან დაუსოგავად და უმართებულოდ ედავებოდნენ და ებრძოდნენ... ყოველივე ამან ბევრი ტკივილი მიაყენა მას...

დღეს კი ყველაფერი რიგზეა... მის სახელოსნოში თავმოყრილი სურათები და სიძველეთა უნიკალური კოლექცია მხატვრისადმი უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას, უდიდეს მოკრძალებას აღძრავს მწახველთა გულებში.

ჩემი აზრით, ჯერჯერობით, ალბათ, გაგვიჭირდებოდა გამოვეცყო თანამედროვე ქართული მხატვრობის მთავარი ხაზი. მხატვრობაში უნდა გამოჩნდეს ეროვნული სახე, ხასიათები, ბუნება, ფერადონება. დიას, ფერადონებას აქვს თავისი სახე... თუმცა საამისოდ უკვე ბევრი რამ გაკეთდა, ეს ყველაფერი ვერ გამოვეყოფილი მაინც არ არის. გვყავან ძალიან საინტერესო, შესანიშნავი მხატვრები, მათგან პირველი დავითია. იგი თანამედროვე ქართული მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი მთავარი წარმომადგენელია, როცა მის პერსაჟებს უშუალოდ, გრძობ, რომ ქართულია, თვითმყოფადი. იმდენად თავისთავადია, რომ აღმოჩენას ჭკავს. ვფიქრობ, ქართული პეიზაჟის აღმოჩენა ჩვენს თანამედროვე მხატვრობაში დავით კაკაბაძის სახელს უკავშირდება.

ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ბედმა სიჭაბუკის წლებიდანვე დამაკავშირა მასთან... ჩვენ ახლო მეგობრები ვიყავით. ერთად გამოვიარეთ და განვიცადეთ ბევრი კარგი და აგი... და ბოლომდე შეგვრჩა ერთმანეთის სიყვარული.

ერთად ვიყავით პარიზშიც... იქ დიდ ინტერესს იჩენდნენ მისი მხატვრობისადმი. დავითის ნამუშევრების გამოფენები ძალიან ხშირად ეწყობოდა ისეთ დიდ სალონებშიც კი, როგორც იყო, მაგალითად, „გრან პალე“... თავყანისმცემელიც ბევრი ჰყავდა. მოუსვენარი კაცი იყო, არასოდეს მიღწეული არ კმაყოფილდებოდა... მუდამ ეძებდა რაღაცას: ხალხს, საინტერესოს... ბევრს მუშაობდა.

